




პეტრე უმიკაზვილი.



სახალხო ლექსები.
მყირე ცომთა ენებზე.
სამშადისი.



ამბ. „ციხესიმართი“-ს გამოცემა
№ 1

ტფილისი
1905

Дозволено цензурою. г. Тифлисъ; 6 февраля 1905 г.



D. 42² - 18616.244.131.c
18616.244.131.c

პეტრე უმიკაშვილი.

ეს პირველი წიგნი, რომელსაც ჰქონდავს ამხანაგობა „ცისკარი“, შეიცავს 3. უმიკაშვილის მიერ შეკრებილს რამდენსამე სახალხო ლექსის, მისს ერთს წერილს ენის შესახებ და პიესას „სამზადისს“. როგორც მასალა ამ წიგნაკისა, ისე თვით პროშერის დაბეჭდვა 3. უმიკაშვილის სახსოვრად, არ არის უბრალო, შემთხვევით არჩეული და განსაკუთრებულ აზრსა და მნიშვნელობას მოკლებული.

1904 წ. 25 მაისს გარდაიცვალა 3. უმიკაშვილი. სწორედ იმ ხანებში (ივნისის პირველ რიცხვებში) ქართველ ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა განიზრახა ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის დაარსება, რომელსაც მიზნად უნდა ჰქონდეს სამეცნიერო და სახალხო წიგნების ბეჭდვა და მათი ქართველ ხალხში გავრცელება. 3. უმიკაშვილს, ვითარცა მწერალს, ერთი სპეციალი და ვიწროდ განსაზღვრული დარგი არ ჰქონდა თავისს. მუშაობის საგნად აღებული, მაგრამ მის სამწერლო მოღვაწეობაში სახალხო სიტყვიერების წაწარმოებთა შეკრებას და სახალხო წიგნების შედგენასა და ბეჭდვას ყველაზედ უფრო დიდი და თვალსაჩინო აღგილი უჭირავს. ამიტომ ახალ ამხანაგობის დაარსების შესახებ მოთათბირე პირთა საერთო სურვილი იყო, რომ

ახლად გაჩენილ გამომცემელ ამხანაგობას, რომელ-
საც სახალხო წიგნების გამრავლება უნდა ჰქონოდა
საგნად, ამავე ასპარეზზე მომუშავე, სულ რამდენი-
სამე დღის წინად გარდაცვლილ, პ. უმიკაშვილისა-
თვის პატივი ეცა და ეს პატივისცემა მის სახსოვრად
პირველი წიგნის გამოცემით აღენიშნა.

ამ სურვილის განხორციელება ეხლა შესაძლე-
ბელი გახდა. სახალხო წიგნების გამომცემელი ამხა-
ნაგობა, „ცისკარის“ სახელით; უკვე შესდგა; მისი
წარმართვა და მეთაურობა იკისრა თავ. პ. ი. თუ-
მანიშვილმა. ამხანაგობა გამოსცემს ქართულს წიგ-
ნებს სერიებად სხვა და სხვა ქართველ მოლვაწეთა
სახსოვრად. შინაარსით წიგნები იქნება როგორც
ორიგინალური, ისე ნათარგმნიც.

ამ პირველ წიგნს, რომელსაც ჩვენი „ამხანა-
გობა“ პ. უმიკაშვილის სახსოვრად პპეჭდავს, ჩვენ
გვინდა აქ წავუმძლვაროთ ავტორის მოკლე ბიოგრა-
ფია და მისი პიროვნების დახასიათება.

პეტრე უმიკაშვილი დაიბადა 1838 წელს (ოქ-
ტომბერში) ქალაქ ტფილისში. მისი დედმამა ძველ
ტფილისის მრქალაქეთა შთამომავალი იყო. მამა პეტ-
რესი, იოსები, განსაზღვრულის ხელობის კაცი არ
იყო, — უფრო იგი წვრილ ვაჭრობას ეწეოდა; ახალ-
გაზრდობაში მსახურობდა საფრანგეთისკონსულთან
შევალიერ გამბასთან, — იყო მდივანი და თარჯიშიანი
საკონსულოსი. აქ მან ფრანგული ენა კარგად ის-
წავლა და ერთ დროს, გამბასთან ერთად, საფრან-
გეთიც მოიარა და იქაური ცხოვრება გაიცნო. გა-
ნათლებულ საფრანგეთის წეს-წყობილება ისე მოე-

წონა და შეუყვარდა, რომ, დაცულშვილების შემ-დეგ, მუდამ ოცნებობდა თავისი შვილი საფრანგეთ-ში გაეგზავნა და სწავლა იქ მიეღებინებინა. მაგრამ ამ ოცნების განხორციელება მას ველარ მოუხდა. პეტრე ბავშვობაშივე დაობლდა: იგი ს წლის იუმ, როცა მისი მამა იოსები გარდაიცვალა (1843 წ.). დედასა და შვილს დარჩათ იოსების მონაგარი თოხასი თუმანი. აქედან ორასი თუმანი ვიღაც ჩილინგიანზე იყო გასესხებული, რომელმაც მხოლოდ 25 წლის შემდეგ გადაუხადა პეტრეს ამ ორას თუმანში რაღაც სამოცი თუ თოხმოცი თუმანი. ამგვარად იოსების ქვრივს ნამდვილად ორასი თუმანი დარჩა თავის სარჩენად და შვილის გამოსაზრდელად. რასაკვირველია, ეს ფული მთელი 20 წლის განმავლობაში დედა-შვილს არ ეყოფოდა. ამიტომ პეტრემ თავისი ახალგაზრდობა სილარიბესა და გაჭირვებაში გაატარა. დედა მისი ახალგაზრდა იყო, როცა დაქვრივდა, მაგრამ მეორედ გათხოვება მაინც აღარ ისურვა და თავისი მეტადინეობა და ძალ-ლონე თავისს ერთად-ერთ შვილის გამოზრდას მოახმარა. პეტრე მოხუცებულობაშიაც დიდის გული თაღობითა და პატივის ცემით იხსენიებდა თავის დედის დაუვიწყარს ამაგა—და სიყვარულს და როცა მისს სიკვდილს მოიგონებდა, ყოველთვის ცრემლი მოადგებოდა ხოლმე თვალებზე. „დედა,—სწერს თვითონ თავისს ავტოპიოგრაფიაში,—იყო ტფილისის მოქალაქის სტეფანე კაკალაშვილის ქალი. მომთმინო, კვეიანი, შორს მხედველი და საკვირველის ესტეტიურ გემოვნების დედა-კაცი. სა-

ხით მშვენიერი იყო. მაღალი აზრი, რომელსაც ამო-
ვიკითხავდი ხოლმე უდიდებულეს მსოფლიო მო-
აზრეთა ნაწერებში, ესმოდა ხოლმე და მაოცებდა
ისი მსჯელობა უსწავლელ, წიგნის ვაი-ვაგლახით
ჰკითხველ დედის პირისაგანაც. გაგონებით ბევრი
გაეგონა, ხსოვნა ჰქონდა შეუდარებელი. მრავალი
საქვეყნო ისტორიული ამბავი, ძველი და ახალი,
ანეგდოტები ერთგვარად ახსოვდა“.

როგორც კათოლიკე სარწმუნოებისამ, პეტრემ
პირველი სწავლა მიიღო ქართულს ენაზედ მიძინების
ცკლესიის სამრევლო სკოლაში. შემდეგ რაოდენი-
სამე მომზადებისა დედამ მიაბარა საკომერციო გიმ-
ნაზიაში, რომელიც მოქალაქის შვილებისათვის იყო
დაარსებული. ეს გიმნაზია 1854 წელს შეაერთეს
ეპლანდელ პირველ გიმნაზიასთან, რომელსაც მა-
ნამდის სააზნაურო გიმნაზია ეწოდებოდა. პეტრე
გიმნაზიაში გვარიანად სწავლობდა, უჭირდა მხოლოდ
რუსული ენა,—როგორც მართლწერა, ისე გა-
რითქმაც. ~~1860 წელს მან დაასრულა გიმნაზიის~~
კურსი.

ახალგაზრდა, სულ 21 წლის პეტრეს სწყურო-
და უნივერსიტეტში შესვლა და სწავლის განგრძო-
ბა, მაგრამ სახსარი არ ჰქონდა და იძულებული იყო
შინ დარჩენილიყო. დედას მის მეტი არავინ ჰყავდა
დამხმარე და მარჩენელი. პეტრეს დაუდგა დრო „ცხოვ-
რებაში გამოსვლისა“ და ლუქმა პურის მოსაპოვებ-
ლად შრომისა. იგი მუდამ სხვა და სხვა დაწესებუ-
ლებებში დარბოდა, რომ სადმე თავისითვის აღგიღი
და სამუშაო აღმოვჩინა, მაგრამ ყველგან კარები

დაკეტილი პხედებოდა და, ნაცვლად დახმარებისა, ხშირად დაცინვასა და თავმოყვარეობის შელახვას ითმენდა. მისს ქალალდებში არის არა ერთი და ორი საბუთი, რომელიც ამტკიცებს, რომ გიმნაზიიდან ახლად გამოსული პეტრე დედასთან ერთად დიდს ხელმოკლეობას ითმენდა და ხშირად სასოწარკვე-თილებამდისაც აღწევდა.

მაგალითად, იგი სწერს თავისს დღიურში 1860 წ. 23 მაისის თარიღით: „აი, შენი ფითიაშვილიც! სამი დღე იმის უკან დავდიოდი. პირველად ვნახე და ატესტატი მთხოვა. მივუტანე გუშინ. ჯერ ერთი ჩარექი ხანი გასაწმენდი სულივით ელი,—როდის იქნება, რომ ვიხილო იმათი პირიო. აგერ გამოვიდა მაღალი და სქელი; თვალებში რომ შეხედო, გაუ-მაძლრობისა და ხარბობის მეტს ვერასა ნახავ იძათ გამომეტველებაში. გადიკითხა ატესტატი, ჩუმად დამიბრუნა და შევიდა შინ... ღმერთო ჩემო,—ჩემ გულში ვამბობ,—პასუხსაც არ აღირსებენ კაცა ეს ლორები! მეტი ლონე ალარ იყო, ერთი ნახევარი საათიც მოვითმინე. მეტი ველარ შევძელ და მოსამ-სახურეს ვუთხარი: მოახსენე, რა პასუხს ბრძანებს მეთქი. — ხვალ დილაზე მობრძანდიო, შემომითვალა. მაშ, ხმის გაუცემლობა უარი არ ყოფილა მეთქი,— გავივლე გულში.

„წავედი დღესაც. ერთ მექანტორეს უთხრა, ეს წაიყვანე და რამე დააწერინეო. დავწერე ორიოდე სტრიქონი რუსულად და ქართულად. მივიტანე. საცინელი ის იყო, რომ თვითონ კაცი არ არის იშ-

ხარისხისა, რომ დამეწერა: „Высокоблагородие“, მე მაინც ასე დავწერე, ესე იგი დამაწერინეს.

— ოჯ, „პოჩერკი“ არ გივარგათო, სწავლობთო და არა სწავლობთო. მე ვუთხარი, გიმნაზიაში ხელს არ უყურებენ-მეთქი. არაფერი აღარ სთქვა,— თან შეიტანა ქალალდი.

„მე ჩემ თავს ვუთხარი: მოიცადე, იქნება გუშინდელსავით იყოს დღევანდელი ამბავი და რამე მელირსოს-მეთქი. ვუცადე კარგა ხანი. მერე ბიჭს ვუთხარი: პასუხი თქვას რამე-მეთქი. თითონ გამოვიდა:

„— ჩვენში „პოჩერკი“ ძალიან საჭიროა და... მაშ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ-მეთქი, ავდექი და გამოვედი...“

„ყველასაგან მოველოდი დაჩაგვრასა და ასოებისაგან კი არა. აბა, მოდი და ლექსები სწერე, როცა ანა-ბანის წერა არ იცი. სახელმწიფო სამსახურშიაც,—ამბობენ,—ძალიან უყურებენ ასოების გამოხატვასაო. ეს ოხერი და ტიელი, რუსები რვა წელიწადს გიმნაზიაში კაცს რაღას აკარგვინებენ დროსა,—ასოების დახატვა ასწავლონ ლრამატიკისა და სიტყვიერების მაგივრად. ეს უფრო გამოსადევი იქნება.“

„ვაი შენი ბრალი, მთელი ბუნების შემაგინებელო, შემარცხვენელო აღამიანო! ოხერო და ტიელო, შენთან მოდის ობოლი, შეწუხებული ყმაწვილი კაცი, გთხოვს პირდაპირ, იქნება ერთი რამე ადგილი უბოძო. შენი ხელის გამართვა ეს არის, რომ თითო საათობით ბალკონში აცდევინებ და მერე, როცა მოგაგონდება, მაშინ ნახავ?“

„ასეა, — ათასი ვებრძოლო ჩემს თავსა, რომ
ბედი არა მაქვს, არა მაქვს!...“

ასე გულმოდგინედ ეძებდა პეტრე აღგილს, რომ
ცატათი სახსარი მოეპოვა და გამოეკვება საყვარე-
ლი დედა, რომელმაც, მიუხედავად ქვრივობისა, გა-
მოზარდა იგი და გაათავეპინა გიმნაზია. მას სტან-
ჯავდა ერთი მხრით აღგილის უქონლობა და სრუ-
ლი უსალსრობა და მეორე მხრით ის, რომ უნი-
ვერსიტეტში ვერ ახერხებდა წასვლას და სწავლის
განვითარებას. თვით დღიურში იგი იხსენიებს ერთს
აღგილას თავისს ამხანაგებს, რომლებიც პეტერბურგს
გაემგზავრნენ უმაღლესს სასწავლებელში, და შემ-
დეგ ჯანაგრძობს: „მე რალას ვარიგებ? ჯანაბასა.
უდილოდ დავეხირები... ფუჭი სიცოცხლეა ჩემი
სიცოცხლე, უგზო-უკვლებდ, ურგებადა ვსცხოვ-
რობ... ღმერთო ჩემო, როდემდის უნდა ვიყო ასეთ
მდგომარეობაში! ვად, ჩემო თავო, ნუ გექნება იმე-
ლი, რომ აგისრულდეს რამეში სურვილი. ან მერმის
როგორ წავალ მე უნივერსიტეტში? იქნება ასე
მუკვდე... ოჯ, ღმერთმა ნუ ინებოს, — მე ბევრი
რამა მაქვს ასასრულებელი მამულისათვის... ერთ
წიგნს დავწერ მერქა დანტესთან რუსულად, აქ ვის-
მეს სანდო პირს ან ბრიყვს (რომ არა გაიგოს-რა)
გადავათარგმნინებ და გავგზავნი. ვითხოვ, რომ, თუ
შეეძლება, თავის ხარჯით გამამგზავროს და მასწავ-
ლებინოს. ჩემს სურვილს ცხადად გამოვხატავ. ვნა-
ხოთ... იქნება არც კი მივწერო, სათავილოც კია
თხოვნა. მაგრამ რომ ვიღუპები შეუწევნელად!..“

ამგვარს პირობევში, რასაკვირველია, ახალ-

გაზრდა კაცს არ შეუძლიან თვით-განვითარებისათვის. იზრუნოს და თავის თავად მაინც შეივსოს ის გონიერივი ნაკლებობა, რომელიც სასწავლებლისა და ამხანაგთა წრისაგან დაშორებით წარმოსდგება. პეტრე-ი და პეტრეს დედის სილარიბე ისე დიდი იყო, რომ მას სანთკლზედაც-კი უნდა ეყაირათნა და ლამით მუშაობას მოპრიდებოდა. „დავკარგე ენერგია, თუ მქონდა,—სწერს იგი. მა რა იქნება; თავისს დღეში ყველას მოკლებული ვყოფილვარ, შეჩვენებული სიცოცხლე მრგებია... ეხლა წერის გუნებაზე ვარ. ჩაგრამ აგერ, საცა დედა წამოიძახებს,—დოვლათი მოგმატებია, დისწერ სანთკლი, დისწერი... დღე კარას უკამია. რომ დღისით დასერეროვთ...“

ბევრის ძებნისა და წვალების შემდეგ პეტრემ, როგორც იყო, იშოვა მცირე ჯამაგირიანი ადგილი ვიღაც ტერ-აკოფოვის პანსიონში. ჯამაგირად ეძლებდა თვეში 12 მანეთი. ამ ფულით მას უნდა ეცხოვრებინა დედა და ეცხოვრა თვითონაც. პანსიონში ისე ბევრი დრო და შრომა მოსდიოდა, რომ ახალგაზრდა პეტრე აქ დაბინავების შემდეგაც სულიერად უკმაყოფილოა და მუდამ თავისს ბეჭს უჩივის. „რა საძაგელ სიცოცხლეს ვატარებ!—სწერს თვითონ. რა თვეზე მეტია, რაც ადგილი ვიშოვნე, მაგრამ რა ყოფნაა ამისთანა ყოფნა! თორმეტი მანეთის გულისთვის სული უნდა ამოვირთო. დილით სალამომდინ პანსიონში ვზივარ, —გასაკვეთი უნდა გავაკვეთინო; ახლა მე უნდა მივუე გაკვეთილი, —რამდენი ჩიჩინია და რამდენი ხათაბალა... ათასი უსიამოვნება უნდა გამოვიარო თორმეტი მანეთის გუ-

ლისათვის. ზოგჯერ ასეთ გულზე მოვდივარ, რომ
გამოსვლა მინდა. ყველა გზა დამეხლართა ქალაქში
და სხვაგან ვერ ვიშოვნე აღგილი”.

ტერ-აკოფოვის პანსიონში პ. უმიკაშვილი მსა-
ხურობდა 1864 წლამდის, ე. ი. სამი წლის გან-
მავლობაში. იგი ასწავლიდა ქართულს ენას აგრე-
თვე წერა-კითხვის სკოლაში, რომელიც ბატონი-
შვილის ერეკლეს თაოსნობით დაარსდა ტფილისში.
გარდა ამისა, ჰქონდა კერძო გაკვეთილებიც. ამგვა-
რად, მუდმივის შრომითა და გარჯით იგი აკოფო-
ვის პანსიონს გარედაც ახერხებდა ორიოდე გროშის
შოვნას.

1864 წელს პეტრეს აუსტულდა ის, რასაც
დიდი ხნიდან ნატრობდა,—უმაღლეს სასწავლებელ-
ში შესვლა: რამდენიმე ფული ისესხა ნათესავე-
ბისაგან და პეტერბურგს გაემგზავრა უნივერსი-
ტეტში ლექციების მოსამენად. აქ დარჩა ის შე-
მოდგომამდის 1867 წლისა. უნივერსიტეტში აღმო-
სავლეთის ფაკულტეტზედ მან დაიჭირა ეგზამენი ქარ-
თულის ენის მასწავლებლობისა, რადგან იმ დროებ-
ში ქართულ ენის მასწავლებლობისათვის უნივერ-
სიტეტის მოწმობა იყო საჭირო. 1867 წლის შე-
მოდგომაზევე იგი დაბრუნდა ტფილისში და შემდეგი
წლიდან დაინიშნა ქართულის ენის შტატის მასწავ-
ლებლად გიმნაზიაში. მაშინ გიმნაზიების ყველა
კლასებში ქართული ენა სავალდებულო საგნად
ითვლებოდა. ეს წესი შეიცვალა 1874 წელს, რო-
ცა ქართული ენა „არასავალდებულო საგნად“ იქმნა
გამოცხადებული და განიდევნა საგიმნაზიო პრო-

გრამიდან. 3. უმიკაშვილი ქართულს ენას ასწავლიდა გიმნაზიაში სტული 25 წლის განმავლობაში, 1868 წლიდან 1893 წლის შემოდგომამდის. 25 წელიწადს ეწეოდა იგი ამ უმაღურს შრომას, ასწავლიდა ყველასაგან მოძულებულს ქართულს ენას, რომელსაც მისთვის არც „ჩინები“ და არც პენსია არ მოუპოვებია. იგი, ვითარცა „არასავალდებულო საგნის“ მასწავლებელი, უპენსიონდ გაისტუმრეს გიგნაზიიდან.

გიმნაზიიდან გამოსვლის შემდეგ პეტრე უმიკაშვილი ჩადგა კერძო საქმეში,—გადავიდა იმერეთში თავისს მეგობარ ნიკოლოზ ლოლობერიძესთან, რომელიც იმ ხანებში შავი ქვის საქმეს აწარმოებდა. ლოლობერიძემ იგი თავის საქმეების მთავარ გამგედ და მართველთა დაუყენა ჯერ ზეტაფონში (1893—1894 წწ.) და შემდეგ ბათუმში (1894 წლიდან). ამ ადგილზედ იყო 3. უმიკაშვილი 1898 წლამდის; ამ წელს ნ. ლოლობერიძემ შავი ქვის წარმოებაზედ ხელი აიღო, თავის საქმეების ლიკვიდაცია მრახვინა და უმიკაშვილი ისევ ტფილისში გაღმოვიდა. — 1899 წელს მას მისცეს მცირე ადგილი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში, სადაც იგი სიკედილამდისა მსახურობდა.

3. უმიკაშვილი ფიზიკურად ძალიან ჯანმრთელის აგებულობის კაცი იყო და ავადმყოფობა იშვიათად იცოდა. თავის სიცოცხლის უკანასკნელს დღეებშიაც მას საღი და „ყოჩაღი“ შეხედულობა ჰქონდა. ვერავინ მოიფიქრებდა, რომ მას ისე ახლოს

უდგა წინ სიკვდილი. იგი იმსხვერპლა ისეთმა სენ-მა, რომელსაც ყველანი უმნიშვნელო ავადმყოფობადა ვსთვლით და ყურადღებას არც-კი ვაქცევთ. რაღაც მცირე გაციებისა გამო მას ასტკივდა ცალი ყური, შიგნით დაუმწიფდა და ბალლამმა დენა დაუწყო. ექიმი, რომელიც სწამლობდა, აიმედებდა და მოკლე დროში სრულიად მორჩენას ჰპიტდებოდა, მაგრამ სენმა არ გაამართლა ეს დაპირება. ყურის ანთებაუცებ ტვინის აპაზედ გადაუვიდა, რამაც ტვინის ანთება გამოიწვია და ეს ფრიად ტკბილი და ყოვლად უწყინარი ადამიანი ორს დღეში წუთის სოფელს გამოასალმა.

3. უმიქაშვილი 23 წლის იუნ, როცა პირველად დაიწყო ჩვენს მწერლობაში მუშაობა. 1861 წელს უურნალ „ცისკარში“ მან დაბეჭდა ნათარგმნი წერილი: „მწერალს რა ეჭირვება?“ იმ ხანებშივე შეაგროვა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები და „ცისკარში“ დააბეჭდვინა. 1864 წელს შეადგინა პირველი იაფ-ფასიანი ანბანი და დაბეჭდა, რომელიც შემდეგ ორ-სამ წელიწადში სამჯერ დაიბეჭდა. 1866 წლიდან წერილებს ბეჭდავდა ზოგს საკუთარის სახელით და ზოგსაც პსევდონიმებით („ანჩისხატელი“, „მ. პეტ-რიძე“, ინიციალებით: „პ. უ.“, „პ.“) უურნალ-გაზე-თებში: „დროებაში“, გ. წერეთლის „კრებულში“, „სასოფლო გაზეთში“, უურნალ და გაზეთ „ივერიაში“, „კვალში“, „მომბე-ცნობის ფურცელში“. „სასოფლო გაზეთი“ 1873 წელს გ. წერეთლმა გადასცა მას და 1874 წლიდან რამდენისამე წლის განმავლობაში მისის რედაქტორობით გამოდიოდა.

1880 წელს 3. უმიკაშვილი იძულებული გახდა ეს გაზეთი მოქსპო, რადგან ხელის მომწერლები ცოტა ჰყავდა და თვითონ-ჯი საჭირო სახსარი არა ჰქონდა.

3. უმიკაშვილის საუკრნალ-გაზეთო წერილებისა და ფელეტონების საგანი იყო მწერლობა, მწიგნობრობის საქმე, თეატრი, სახალხო სწავლა-განათლება, სკოლები, ქართული ენა, სასოფლო მმართველობა, სასოფლო ბანკები, სურათები (სცე-ნები) ტფილისის ცხოვრებისა, სურათები სოფლის ცხოვრებისა (ფელეტონებში), წერილები ოსმალოს საქართველოზე, წერილები სომეხთა მწერლობაზე და ცხოვრებაზე და სხვ. „ჩემი სურვილი იყოვო, — სწერს თავისს მოკლე ავტობიოგრაფიაში, — დავხმარებოდი მკითხველის აზროვნების გაღვიძებას, აღმერა მასში კეშმარიტების სიყვარული, კაუპბრიობისა და სამშობლოს სიყვარული, თვითმუნიბელობა, თვითმოქმედება და საზოგადოდ მოქმედება ქვეყნისა და ერის წარმატებისათვისო”.

ამ 20 და 30 წლის წინად ქართულს ენაზედ წიგნები ისე მრავლად არ იძებლებოდა. როგორც დღეს. არ არსებობდა სრული გამოცემანი ცნობილ მწერალთა და პოეტთა ნაწერებისა. 3. უმიკაშვილი, ვითარცა მასწავლებელი, ახლოს იყო მოზარდ თაობასთან და მწვავედ ჰერძნობდა ამ ნაკლებობას. რადგან არ შეეძლო ქართველ მწერლების ნაწერები მოწაფეებისთვის მიეცა და ამგვარად ქართულის ენისა და მწერლობის სწავლება სასურველად მოეგვარებინა. ამ ნაკლულევანების შესამცირებლად მე-70 წლებიდან მან დაიწყო ქართველ ავტორების ნაწე-

რების შეგროვება და გამოცემა. ზოგს თხზულებებს თვალის ხარჯითა ჰქონდავდა. ხოლო უფრო ხშირად თვითონ სარედაქტო შრომას ეწეოდა და წიგნს სხვა და სხვა გამომცემლებს აბეჭდვინებდა. მისის ორგანიზაციის მიერ დაიბურდა სოული ტექსტი საპა რჩდელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ (1871 წ.), გურამიშვილის „დავითიანის“ პრაკტიკულონიწილი (1870 წ.), გრ. ობდელიანის ლექსები (1873 წ.), ნიკოლოზ ბარათაშვილის (1876 წ.) და ალექსანდრე ჭავჭავაძის (1881 წ.) ლექსები. დავ. გურამიშვილის „დავითიანი“ (სოული გამოცემა, 1881 წ.), „დასტურლამალი“ ვახტანგ მეფისა (1886 წ.), ვახტარბდელიანის ლექსები (1894 წ.). „ვისრამიანი“ (მასთან ერთად ილ. ჭავჭავაძისა და ალ. სარაჯიშვილის რედაქტორობით. 1884 წ.).

მესამე მხარე პ. უმიკაშვილის სამწერლო მოღვაწეობისა სახალხო წიგნაკების შედგენასა და ხალხში წერა-კითხვის გავრცელებას შეეხება. „რადგანაც, — სწერს იგი, — ხალხში წერა-კითხვის გავრცელება უსკოლობის გამო გაძნელებული იყო, წვრილ წიგნების ბეჭდვას ვეხმარებოდი. ხელნაწერებს აღრიდანვე ვკრებდი. ამ ხელნაწერებს ყურადღება მივაქციე. — ზოგი ისეთი აღმოჩნდა, რომლებშიაც ემჩნევოდა შეუჩეველის ხელით ნაწერობა და ერთი და იგივე ამბავი ათ-თხუთმეტ სხვა და სხვა წიგნში ერთი და იგივე იყო. ამ ამბავმა ჩამაგონა, ეს ამბები ხალხში გავრცელებულია სიტყვიერად და დაბეჭდილიც მალე გავრცელდება-მეთქი“. ამ მიზნით მან იწყო მასალების შეგროვება და 1872—1875

წლებში შეადგინა რამდენიმე პატარა იაფ-ფასიანი წიგნაკი და დააბეჭდვინა სტამბის ასოთ-ამწყობებს, რომელთაც მაშინ ამგვარ წიგნაკების ხალხში გავრ-ცელება იყისრეს და ამით თვითონაც ხეირი ნახეს. ეს წიგნაკებია: ბეჭანიანი, ქალ-ვაჟიანი, ვარდ-ბულ-ბულიანი, ალექსიანი, ზოგიერთი სახალხო ლექსე-ბი, არსენას ლექსი, რჩეული არაკები სიბრძნე სი-ცრუისა და სხ. მართალია, ამ წიგნაკების უმრავლესო-ბას შინაარსის მხრივ ღიღი ნაკლულევანება ახლავს, — ეს თვით შემდგენელმაც კარგად იცოდა, — მაგრამ მათი ხალხში გავრცელება მაინც არ იყო უსარგე-ბლო და უმნიშვნელო. ვინ იცის, არსენას ლექსმა, მაგალითად, ან ქალ-ვაჟიანმა რამდენი წერა-კითხვის არ მცოდნე დაინტერესა და ქართული წიგნის სწა-ვლის წყურვილი აღუძრა! ეს წიგნაკები ათი-ათა-სობით გავრცელდა მდაბიო ხალხში და ბევრმა მათის შემწეობით ისწავლა ქართული წერა-კითხვა. „ნა-კლულევანება ზოგ ამ წიგნებისა კარგად ვიცოდიო, — სწერს პ. უმიკაშვილი, — მაგრამ ჩემი საკუთარი სა-ცველური და სხვების საცველური იმით გამიქარვებია, რომ ეს პირველი ნაკადული იყო, რომელიც დაიძრა და თუ ამ ნაკადულს კუჭყი მოჰყვა, ამას დრო წაჰ-რეცხს და წაიღებსო“.

სახალხო წიგნაკების შედგენასა და გამოცე-მასთან პ. უმიკაშვილის სამწერლო შრომა-მოლვა-წეობაში ახლო კავშირი აქვს სახალხო სიტყვიერე-ბის ნაწარმოებთა შეკრებას, რომელსაც იგი ღიღის ხნის განმავლობაში ეწეოდა. მას, როგორც „სა-სოფლო გაზეთის“ რედაქტორსა და გიმნაზიის მა-

სწავლებელს, მრავალი ნაცნობები ჰყავდა სოფლებში: კორესპონდენტები, ყოფილი მოწაფეები და სხვანი. ბუნებით თვითონ ისეთი კეთილი და უწყინარი კაცი იყო, რომ ყველა პატივს სცემდა. ისიც „სარგებლობდა“ თავისის ასეთ მდგომარეობით და ყველა თვისს ნაცნობ-მეგობრებს ემუდარებოდა, რა-მდენიმე ზღაპარი, სახალხო ლექსი, ანდაზები, შე-ლოცვები და სხვ. ჩაეწერათ და მისთვის გადაეცათ. ნაცნობებიც უსრულებდნენ თხოვნასა და უგზავნიდნენ ხელნაწერებს. ამგვარად მას თან და თან მოუგროვდა კარგა დიდი მასალა სახალხო სიტყვიერებისა, ჩაწერილი და გამოგზავნილი მის ნაცნობ-მეგობრებისაგან. გარდა ამისა, ზაფხულობით, როცა სასწავლებლებში სწავლა აღარ იყო და მას თავისუფალი დრო ჰქონდა, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში (ხევში, აჭარა-ქობულეთში, გურიაში და სხვ.) მოგზაურობდა და სახალხო სიტყვიერების ნი-მუშებს იგროვებდა. შეგროვილ მასალიდან ანდაზები (1875 წ.) და ორიოდე წიგნაკი სახალხო ლექსებისა კიდეც დაბეჭდა, მაგრამ უდიდესი ნაწილი მაინც გამოუცემელი დარჩა. ყოველთვის ფიქრობდა, რომ ეს მასალა სისტემატიურად დაეწყო და დაებეჭდა. მისს ქალალდებში ვნახე შენიშვნა სამახ-სოვროდ, 1903 წლის 19 სექტემბრის თარიღზ, სადაც უწერია, რომ „მომავალ წელს უნდა შე-ვუდგე სახალხო სიტყვიერების გამოცემასო“. მაგრამ სიკვდილმა აღარ აცალა და სწორედ „მომავალ წე-ლში“ (1904 წ.) იმსხვერპლა. ხსენებული სახალხო სიტყვიერების მასალა დღეს მე მაქვს და ვიმედოვ-

ნებ, რომ მოკლე ხანში შევძლებ მისს დალაგებასა და ერთად გამოცემას.

როგორც ჰქედავთ, პ. უმიკაშვილის სამწერლო მოლვაწეობა არ იყო ვიწროდ შემოფარგლული და ერთს რომელსამე განსაკუთრებულს დარგზე დამყარებული. მთელის +10 წლის განმავლობაში იგი მუშაობდა უურნალ-გაზეთებში და ამავე დროს ჰბეჭდავდა ქართველ მწერალთა ნაწერებს, ადგენდა სახალხო წიგნაკებს და აგრძელებდა სახალხო სიტყვიერების მასალებს. ამაზე მეტიც რომ სხვა არაფერი გაეკეთებინა მას თავისს ცხოვრებაში, მისი შრომა-მოქმედება ამითაც დიდად დასაფასებელი იქნებოდა ჩვენს მწერლობასა და საზოგადოებაში, მაგრამ პ. უმიკაშვილს სხვა ასპარეზზედაც შესამჩნევი ღვაწლი მიუძღვის. ეს ასპარეზია ქართული სცენა და სათეატრო ხელოვნება, ქართულ სამუდამო სცენის დაარსებამდე (1879 წ.) იგი, სცენის მოყვარეებთან ერთად, მხურვალე მონაწილეობას იღებდა წარმოდგენების გამართვაში. სამუდამო სცენის მოწყობის შემდეგ დასწერა რამდენიმე პიესა: „მისანი“ (1879 წ.), „მახლასა ჯოჯოხეთში“ (ფარსი, 1881 წ.), „ალერსთა ბადე“ (გადმოქართულებული, 1886 წ.), „დამარცხებულნი“ (1889 წ.), „სამზადისი“ (1892 წ.), „ბენეფისის წინ“ (1900 წ.) და გადმოთარგმნა პაოლო ფერრარის კომედია „გოლდონი“ (1903 წ.). ამ პიესათაგან ზოგიერთი რამდენჯერმე ყოფილა ქართულ სცენაზე წარმოდგენილი.

ეს არის მოკლედ პ. უმიკაშვილის შრომა-მოლვაწეობა ქართულს პრესსასა და ლიტერატურა-

ში. ყველამ ვიცით, რომ 3. უმიქაშვილი არ იყო არაჩვეულებრივის ნიჭისა და ცოდნის პატრონი: მაგრამ მისი შრომის ნაყოფიერება ცხადად გვიმტკიცებს, ~~რომ~~ ჩვეულებრივთან და საშუალო ნიჭის აღამიანსაც შეუძლიან უაშშახური გაუწიოს და თვალსაჩინო სარგებლობა შოშურანს თავისს ხალხს, თუ აქვს ენერგია, შრომის მოყვარეობა და აღფრთოვანებული მამული შვილური გრძნობა-მისწრაფება.

და ასეთი გრძნობა და მისწრაფება სწორედ ძლიერი და მუდამ გაუნელებელი იყო 3. უმიქაშვილ ში. იგი ყოველთვის მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყოველგვარ ჩვენს საზოგადო დაწესებულებებში და შეძლების დაგვარად, სიტყვითა თუ საქმით, ეხმარებოდა მათს წინმსვლელობასა და წარმატებას. უეჭველია, ჩვენს მკითხველებში არა ერთსა და ორს ჰქონია შემთხვევა მოესმინა მისი ლაპარაკი წერა-კითხვის საზოგადოებისა ან დრამატიულ საზოგადოების კრებებზე და ცოტად თუ ბევრად ეცოდინება, თუ როგორის გულწრფელობითა და სიყვარულით ლაპარაკობდა იგი ყოველთვის საზოგადო საქმეებზედ.

მაგრამ ეს მხარე მისის ბუნებისა საცხებით მხოლოდ იმას ეცოდინება, ვინც პეტრეს პირადად იცნობდა და მასთან ახლო დამკაიდებულება ჰქონდა. ჩვენი საზოგადო საქმეები და საჭიროებანი პეტრეს ისე უყვარდა და ეინტერესებოდა თავისს მოხუცებულობაში, როგორც ახალგაზღვობაში. ხშირად მოხუცებულობაში შესული აღამიანი მოეშვება, მოდუნდება, გონებრივი სიფხიზლე ეკარგება და საზო-

გადო საკითხები ნაკლებ ან სრულიად არ ეინტერესება. განსვენებული პეტრე-კი ამის წინააღმდეგს წარმოადგენდა. საცა უნდა ყოფილიყო, რომელს ნაცნობსაც უნდა შეჭხვედროდა, უექველად ჩვენს საზოგადო საქმეებზე დაუწყებდა ლაპარაკს და ამ ლაპარაკში მთელი საათობითაც არ მოიწყენდა. თეატრი, უურნალი, გაზეთი, დრამატიული და წერა-კითხვის საზოგადოება, წიგნების გამოცემა და სხვა ამგვარები—აი, ეს იყო მისი საყვარელი საგნები მასლიათისა. უნდა გენახათ, როგორ მთელის გულითა და სულით მხიარულობდა და სტკბებოდა, როცა რომელსამე ქართულს გაზეთსა ან უურნალში რამე ფხიან წერილს წაიკითხავდა. მის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ეტყოდნენ, რომ ქართულს გაზეთს მკითხველი და ხელის მომწერი ემატებაო. ეს სიხარული და აღტაცება იყო ნამდვილი გულის სილრმიდან ამოსული, მასში არ ერთა სიყალბე ან თვალთმაქუბა. და ეს ჰეიბლავდა გარეშე აღამიანს და აყვარებდა ამ სულით ცოცხალ, მოხუცებულ კაცს. მოხუცებაშიაც, როცა კი თავისუფალი წუთი ჰქონდა, სკლილობდა რამე დაწერა, ან გადმოეთარგმნა და ამნაირად ჩვენს მწერლობაში თავისი წვლილი შეეტანა. საქმეში ისეთი დაუზარებელი იყო, რომ ბევრს ახალგაზრდას შევმურდებოდა. მაგალითად, ახალგაზრდების ერთმა წრემ სერგეი მესხის სახსოვრად სალამოს გამართვა განიზრახა: პეტრეს სთხოვეს მესხის ცხოვრებიდგან რამე სცნის დაწერა. ისიც ხელად საქმეს შეუდგა, დიდი ნაწილი დასწერა კიდეც, მაგრამ მთლად დასრულე-

ბა სიკვდილის გამო აღარ დასცალდა. სწორედ იმ დროს, როცა სასიკვდილოდ ავად იყო, მოუვიდა საზღვარ-გარეთიდან პიესები იტალიურს ენაზედ,— უნდოდა ცნობილ დრამატურგების პიესები გადმო-ეთარგმნა და ჩვენს სცენაზე დაედგმევინებინა.

მაგრამ პეტრეს შეპრჩა თავის სიკვდილის დღემ-დის არა მარტო საზოგადოებრივი ინსტინქტი და მამულის შვილური გრძნობა, არამედ ოპტიმისტი და სულით ახალგაზრდობაც. ყველა მისს მცნობს აკ-ვირვებდა ამ მოხუცის მუდმივი იმედი და სასოფა. იმისგან ვერ გაიგონებდით უიმედობას და სასოწარ-კვეთილებას. ყოველს პატარა ნაბიჯს, ჩვენს საზო-გადოებრივ თვით-ცნობიერების საქმეში წინ გადა-დგმულს, იგი დიდ მოვლენად სოვლიდა და „პესი-მისტი“ ამით შავს ფიქრებს უქარწყლებდა. როგორც კი დალვრემილ ჩაცნობს შეპევდებოდა, მაშინვე ამ სიტყვებით მიშმართავდა:

„რაა, რომ ცხვირი ჩამოგიშვია, — ნუ დაძაბუნ-დებიო“. უყურებდი და გავიწყდებოდა, რომ ასეთი ნუგეშისა და გამამხნევებელ მოძახილის მომცემი იყო თვითონ მოხუცებული კაცი ნა წლისა.

პეტრე არ იყო აზიზად გაზრდილი; თავისს კერ-ძო ცხოვრებაში მას არ გამოუცდია დიდი სიტკ-ბოება და კმაყოფილება, რომ ამის გამოისობით მასში განვითარებულიყო კარგი მომავალის იმედი და ოპტიმისტური შეხედულება. ამიტომ, გვგონია ჩვენ, მას მართლა დიდი სულიერი ძალა და ენერ-გია უნდა მოეხმარა, რომ თავისს ბუნებაში ასეთი სოვისება განევითარებინა. ამ ჩვენს აზრს ამტკიცებ

მისი სიტყვები, რომელიც ჩვენ ერთ მის მეგობართან მიწერილს ბარათში ამოვიკითხეთ:

„ნათელი და მხიარული ფიქრები—სწერს იგი—ძალათი უნდა მოვათრით, თუ არ ვხედავთ ჩვენს კერძო ყოფა-ცხოვრებაში. მომავალი საზოგადო წინსვლის რწმენა, მისი მომავალი აუკილებლობა აღამანის ცხოვრებაში ნათელია და იმისი სხივი გვინათებს კერძო საჯუთარ და საზოგადო ყოფის სიბნელეს, მახინჯობას, ჩაგვრას, სიძაბუნეს, შეურაცხუფას... ვიმუშაოთ, რამდენადაც შეგვიძლია, ნათელის ფიქრებით, ოღონდ ვიმუშაოთ და გვწამდეს მომავალის სიკეთე, თორემ შავი ფიქრი გვადუნებს. წინსვლა ადამიანისა უეპველია. საჯუთარი კერძო უბედურება, სიღარიბე, წმინდა სურვილების აუსრულებლობა ნახევარ სიცოცხლეს გვტაცებს, თუ სრულად არა, მაგრამ ვინც ადამიანობის—კაცბრიობის ბედს და ყოფას უერთებს თვის ატომ-კერძობას, ის მომავალის იმედით მხიარულია. მეც ბევრი მწუხარება და უბედობა გამომივლია, განწირულებაშიაც ვყოფილვარ, სიღარიბე, პატიოსან სურვილის აუსრულებლობა, გარს მყოფთა უბედურება,—ყველა ესეები გადამხედია. ვიყავი გულდახურული, ნალვლიანი, მხდალი, მაგრამ რწმენამ, რომ მე ატომი ვარ საზოგადო ჩარხის წინმავალ ჭრიალში, გამომატხიზლა და აგერ მხედავ პირმოცინარს, მხიარულს, თითქოს აღარაფერ ნალველს, ზრუნვას და ფიქრს ჩემს გულში და თავში აღგილი აღარ ჰქონდეს. ნალველი და ფიქრი როგორ მოჰშორდება კაცს, მაგრამ როდესაც შავია ის ნა-

ღველი და ფიქრი, წიხლსა ვკრავ და საზოგადო
ჩარხის ტრიალს ვანაცვალებ, იმაში ვლესავ და ვა-
წყალებ... მე ჩემს თავს არ ვუყურებ,—გარს მყოფს,
ახლო მყოფს თუ შორეულს ცხოვრებას ვუყურებ
და მიხარიან თითო ნაბიჯის გადადგმაზედ, იმით ვიმ-
ხნევებ იმედს და თან-და-თან თვალითაც და შეგნე-
ბითაც ვრწმუნდები საერთო ბედნიერების მოახლოვე-
ბაში, არ მაშინებს მისი წაბორძიკება,—ეს წარმა-
ვალია, როგორც ახლად ფეხ-ადგმულის ყმაწვილი-
სა... კაცთა ბედნიერების იმედით ვიმედოვნებ და
ჩემის სიცილ-ხარხარით, ნათელის ფიქრით მინდა
სხვასაც შევყარო ნათელი ფიქრი, შეწუხებულ გულს
იმედის რწმუნება ჩავუსახო, განწირულებით და-
ჩაგრულს სიცოცხლისაკენ მოსაბრუნებელი გზა
გავუაღვილო და სიმწარის ცრემლი სასიცოცხლო
ლიმილად შევუცვალო. ნათელი ფიქრი, მხიარული
გული ენერგიაა, ელექტრონია, მიმზიდველი ძალაა
კეთილ საქმეშიაც და ბოროტშიაც. მოწყენილი
ფიქრი, მოწყენილი სახე დამჩავრელია გარს მყო-
ფისათვის, არ არის მიმზიდველი, ენერგიას ჰეუთავს.
რად მინდა შემხუთველი რამ მეტი,—უმისოდაც
ცოტა არაა, რომ მეც მივუმატო ჩემს გარს მყოფს,
ან თვით ჩემს გულს.”

ამასთან განსვენებული პეტრე ფრიად მართა-
ლი და პატიოსანი კაცი იყო. ეხლანდელს დროში,
როცა ადამიანებში სიყალბე და ორპირობა ძალიან
ფეხგადგმულია, ხსენებული თვისება მართლა რომ
დიდად მისაჩნევი და დასაფასებელია. განსვენებუ-
ლი სწორედ საარაუკ სიმართლის მომხრე და აღ-

მასრულებელი იყო. თავისს დღეში ~~იყო~~ სხვის მოტ-
ყუებას არ მოინდომებდა და ვინმეს განზრას პრუო-
ბას არ ეტყოდა. ადვილად არავის არ შეჰვირდე-
ბოდა რამეს, მაგრამ შეპირების შემდეგ კი აღ-
თქმულს უეპველად შეასრულებდა. ეს ისეთი კაცი
იყო, რომელთანაც თამასუქები და პირობები არ
გქირდებოდათ. ერთი სიტყვით, სიმართლე და პირია-
ნობა ისე ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯგარი,
რომ არა მგონია სიყალბე მას არა თუ მოექმე-
დოს, არამედ გულშიაც კი ოდესმე გაეტარებინოს.
ისე არაფერი ეჯავრებოდა, როგორც ცრუობა და
ტყუილის მოლაპარაკე აღამიანი. როგორც კი ვის-
მე ერთს, თუნდა სულ პატარა ტყუილს შეამჩნევდა,
მერე მისი აღარაფერი სწამდა და სჯეროდა. სიმარ-
თლე და სიტყვის გაუტეხელობა მისი მთავარი მცნე-
ბა იყო ცხოვრებაში.

დასასრულ, უნდა ალვნიშნოთ აგრეთვე პეტრეს
მოსიყვარულე, ტკბილი და უწყინარი ბუნებაც. ხშირად
იტყვიან, რომ უცოლშვილოდ დარჩენილ,
კას სიბრალულის გრძნობა ეხშობა და ეგოისტი
ხდებაო. არ ვიცი, იქნება ეს რამდენიმედ მართა-
ლიც იყოს, მაგრამ პეტრეს შესახებ-კი მაინც არ
არის მართალი, თუმცა იგი ისე დაბერდა, რომ
ცოლ-შვილი არ ჰყოლია და საკუთარი ოჯახი არ
გაუჩენია. ვინც მას პირადად იცნობდა, ცველაშ
იციან, თუ როგორი გულწრფელი თანაგრძნობა და
მონაწილეობის მიღება იცოდა მან სხვის გაჭირვე-
ბასა და უბედურებაში. იყო დიდი მოყვარე და
მოალერსე ბავშვებისა და უდიდეს სიამოვნებას

ჰერძნობდა, როცა ხან და ხან ტკბილად და თან-ხმობით მცხოვრებს ოჯახში მოჰქვდებოდა და თრიოდე საათს სასიამოვნო მასლაათში გაატარებდა. ეს თვი-სება პხდიდა მას ყველა ნაცნობისათვის საყვარელ და სასიამოვნო პირად. მას არ შეეძლო ვისმესთვის ცუდი სიტყვა ეთქვა და შეურაცხყოფა მიეყენებინა. არ შეეძლო არავისი. მტრობა და შურის-ძიება,— მისი ბუნებით კეთილი გული ამას ეწინააღმდეგე-ბოდა და ვერ იშვნევდა.

ალბად განსვენებულის ასეთი ხასიათი იყო მი-ზეზი, რომ მას პირადი მტრები არ ჰყავდა და რომ მისმა სიკვდილმა ყველა მისი მცნობნი გულწრფე-ლად დააღონა და „ტკბილ პეტრეს“ დაკარგვა და-ანანა.

3. უმიკაშვილის გარდაცვალებით ერთი პატი-ოსანი მუშავი დააკლდა როგორც მთელს ჩვენს სა-ზოგადოებას, ისე კერძოდ ქართველ კათოლიკობა-საც. განსვენებული პეტრე ყოველთვის მონაწილე-ობას იღებდა ტფილისში მიძინების ეკკლესიასთან არსებულ კათოლიკეთა „ძმობა“-ში, სკოლისა და ეკკლესიის საქმეებში. იგი იყო მხურვალე დამცვე-ლი და მოსარჩევე ქართველ კათოლიკეთა ეროვნე-ბისა და სარწმუნოებრივ თავისუფლებისა.

ფ. გოგიჩაიშვილი.

ერეპლეს გლოვა.

ერ გაიგითა, ქართველნო, შაგებსნათ რენინას
კარია! 
შეუეაღარ გუავთ ერებდე, ბაგრატიონთა გეპრია!
აღარ გაქვთ ბაირახები, აღარ სჭებს ზარბაზანია;
დაშავებულან კარავნი, შემეცხვივნეს ემანია!
ლმერთს შესტრიან თავადნია, რად შეგვიძერნენ ბრალნია, *)
შავი დავიცვით ტანზედა, გავსწარეთ საწირავია.
დედოფლი ატიოდება, იმერელთ შეფის ქალა:
„შეფის ერეკლის საკვდალი ვინა თქვა, რა სათქმელია?...“
შეფე ერებდე ზეცას არს. ლმერთიან არს წალანაურია.
შეცხეთაშა თქროს კუბო სდგას, შიგ ნათბოს კელაპრარა;
შაგა წეს შეფე ერებდე, ბაგრატიონთა გვარია.
„შეიღებს დაუკდი ბეგოარი, სისხლში ნაწილში ხმალია;
შანამდინ ვიყავ, ცხენს ვიჯექ, შივსძრენ და მოცსძრენ
ზღვანია!“

*) ბრალნი — შავები.



Pic. D. U. M. N. H. F.
- 1950 -

სოლოლას ლექსი.

(აკარული)



თლოლა სტამბოლის წაგიდა თავის სიმამრის
ბარზე;

რვა ღღე და ღამე იჩრა, ჩავიდა ხონთქრის კარზე,
გეზირი ჰქოცნის კალთასა, სოლოლა ჰეჭცნის
თავზე,

ჩვენცა გვეავს ერთი არაბი, კახთქმული გურჯისტანზე,
შენ თუ იმას ეყირითო, თუდებ დაგადგამ თავზე,
ფაშიობას შენ კაჩუქაშ იმ ახალციხის ბარზე.

სეასები კამოცვავდნენ, რა გადახდება თავზე?

სეასები, სუ გეშინისი, ცხენი მოჰკვარება ბარზე.

აუშევს გამეიუვანეს, ნაბაში შვიდსა ჭაჭვზე.

ხეთას სეისს უჭირავს, ვერ იმავრებენ გზაზე,

კარა-კამედარა იმ ჭირით მეიდაზე,

შავარდნულებ შემოჰკივლა, ხონთქარი დასძრა ტახტზე;

არაბი მოდის, მოჰკივის, გით ნიავქარი მთაზე,

საში ჭირითი უძევს იმ გაშავებულ მკლავზე.

სამიავ სოლოლას აქადნის, რა კადახდება თავზე?

აბა გამექეც, სოლოლა, მოგევი უღურის პვალზე.

ერთა ჭირითი ესროლა, არ წაიგარა ტანზე,

შერარეც რომ გასროლა, მოხვდა ცალ აბჯანდაზე,

ცალი აბჯანდა შესწევიტა, გადგა ცალ აბჯანდაზე.

„რას შერები, თხერო მკლავო, თვალი შეჭირა სხვაზე.

აბა, მობრუნდი, არაბი, მოგუვე ღვთის სამართალზე.”

ერთა ასეთი დაჭივლა, ფერი უცვალა ტანზე,

ცხენი ცხენზე შეაჯდინა, ჭირითი ღაჭერა ბეჭზე,

არამ ძირს გადმოვარდა, სული არ დაჲევა ტანზეა.
შოლიება, ხოჯიება ქითაბისა ბერტეგენ თავზეა,
უქითაბ-მათაბა ქარს არ იქს, ქურქა წაბურვით თავზეა,
სოლოდას კა შეემანა, ნაპუცებს ერიდა გზებზეა.
„შენ, სოლოდა, ნუ გემანას, თუღები დაგადგამ თავზეა,
ფაშაფის შენ კაჩუქაშ იმ ახალციხის კარზეა.“
შერად შერადის ჭირიშე, კარგა ისაქშე კზაზეა,
საცადა შაგაევან თემია, ქალიკით დაგადგამ ქერია,
აბრეშუმის თორიას მოგცემ, საპნათაც დაგიბან ფეხსა;
უფლის კახტას ლორწვაზედა შენ შეგახვეწიებ დმერთსა.

ჩაწერილია 1858 წ.



ლევან ბატონიშვილზე.

შალი სტრის ბაგრატოვნისა მეფისა ერევლისათ,
სალექო შემოამტკრივა, ვით ზეავშა წვერი ტეისათ.
მოჯისენდა რესთ ხელშიწყესა, — ის შაგას ჰევა-
რობდისათ:

„სტავა კაშაცნობინა, — ლევანს უქებენ შეიღსათ!
ეპე შეატეას ლევანშა, წელს ხმალი შეარტეასათ,
წავადა სარუსეთში, მასაც ნახეა ჭისრისათ,
თან გააუთლა გუნდება ქორასა-შავარდნასათ;
მავიდა რესთ ხელმწიფესთან, სალაშიაც მიართვისათ.
„მობრძანდი, ლევან ბატონო, ემაწეილო თის წლისათ!“
დაჭდა და ჰერთხა ამბავი თვიალისის ქალაქისათ,
„რამ კაადადა ჭარენა, ნარჩომა ჩვენის ხმლისათ!..“
— წავიდე, — არ მეჩქარება, არ წასვლა არ ჰედებისათ...“

კამთაყოდა ჭარები, ხერხებია თას-ფრასათ.
ქალაქში შევა ღევანი, წეხი შეაქნა ცისათ;
შეშინდა ღევითა ბელადნი, — ჩვენებენ კი იზავს ჩარსათ.
მაგას ვინ დაუდგების, — შიში აქვს ზარბაზნისათ!

დათუნას ლექსი.

 მერეთის თავს გადადის ვეუხ-ლომთა სატოტარით,
წვიმს დასწვიმეს ღრუბელთა, დამდგარა საგუბარით,
გარდის ჩაურილა ფურცელი: დაღბერნეს — დას-
ძრავს ქარით,
მაგას საპრეივლად წასელა ბაკრაონთა ქალით.
სამაუროთ გადმოსხევია ერთი ურჯულო მერალით;
ქვენით მოვიდა ამბავი, — დაძროს ვასალ ხანით,
ალბერთ გადმოიარა, გამდით დალახნა მთანით,
გახეთით ბოლოთ ჩავიდა ადგილი დაუხედა ბარით,
დასჯდა, დასწერა წაგნები, კახთ ბატონთანა ძალათ:
„სასმელათ არ მეუთვისო აღაზანა და მტკვარით,
მოსაძოებლად ბალახნა თრიალეთასა მთანით,
ქალი მე მამეც რუსედან, ლამაზა ღერწამ-ტანით!“
ქალმა გაიგო რუსედან, — გაჭავრდა დედოფალით:
ჩანაუა საუკრაეჭედი, — საღრისა იქნია განით,
მამას შეკაზმა უურ-თეთრი, ზედ შეჯდა, ვითა ქარით.
„ან მიმატრონეთ, მამანო, ან ქალ შემაბით ხმალით.
არვინ გაზდილა სათათრეთ ბაკრატიონთა გვარით!“
დათუნა ბატონიშვილმა გადიცვა სამან-ქანით,
შესხურებს კუბნებოდა, — ჩემი მოშვარეთ ჩქარით!

ემაგი ცხენის ნახტომი დიდი გვეგონა ხრამით,
პახეთის ბოლოს ჩავიდა, ცას არ გაუდავს კარალ;
გამეერთა დაშქაოსა, განახვრა ჯარით;
შეწილმეტეზედ მავიდა, — დადგა, ჩაგო ხმალით:
„შემინდავ ღვთასა ბძანება, ოცსა დამაჟლდა სამით!..“
ცოლი ძმაშ ჩამოურბინა, გვერდს ჩაშეეგდო ხმალით;
ათსა რომ იმანაც მოსკრა ამ თარაქამას თავით,
ერთმა ურჯელო თათარმა თოფსა დაჭხვია ალით.
ცხენ ზეით გადმოიტანეს დათუნა ალის ტანით,
გაისახელა თათარმა, წაჟერა სამან-ქანით.
აშას ჰყვირობდნენ თათრება, — ის ტევია რამ იჭირათ, —
ჭაჭვშა მორტემული ტევიანი ორ ლიტრა გამოვიდათ.
იმა გლევიათ ჩამატარეს სიასმურის ქალით:
„ჩემი მაჩვენეთ დათუნა, ცოცხალია თუ მკვდარით?..“
— დათუნას ვინდა გიჩვენებს, წითელ ღვინით არს მთვრა-
ლით.

১০১৬০১৬০

ამ აღვილს თურმე იმ ქვეყნის ხელმწიფე აბე-
სალომ სანადიროდ გამოსულიყო. ნახა ეთერი მძი-

ნარე, დაკონკილ ტანისამოსითა, მოეწონა, შეუყვარდა და დაუძახა:

შე პანი-ბან დაგვებდი, შენ ბაღი-ბაღჩათ გეძინა,
ბაგებსნა თქრთს საკინძი, ბროლისა მკერდი გეჩინა.

ეთერი შეკრთა და უთხრა:

შენ ხარ დიდი დიდებული, დედ-მამითა ხარ ქებული;
კარ თბოლი, თბლის შვილი, თბლითბით ვარ დაჩაგრული,
შენ შენი ჰქმნა და წახვიდე: გამაშო წეალ-წალებული!

ეთერმა მეორე დღეს დედინაცვალს უარი უთხრა,
დღეს მე ფურს ვეღარ გაყყვებით და სხვას გა-
არანეო. წამაწვა დერეფანშია. მოვიდა კიდევ აპე-
სალომ და ფიცი უთხრა:

ზევიდამ დმიერთი ცეცხლსა ჰყერის, ქვეშ აბესალომ
უდგება!

ეთერთ, შენს ამ დალატსა დვთის შეტი ვინ შეუდგება?
ომში ხმალ-ამთლებულსა ვადაზედ დამიბრუნდება
და ცხენსა გამალებულსა აბჟანდაც ჩამომიწედება!

წეალი უწელოსა ალაგსა, ზღვა იყოს, ამოშიშრება,
შვიდის წლის გზასა მავალსა საგძალი წამომიწედება!

აბესალომ ეს ფიცი უთხრა ეთერსა და ნიშნად
დანა მისცა. აბესალომმა გაუგზავნა სადედოფლო
ტანისამოსი და

აბესალომ ქორწილი ქნა, დაბრძანდა თქრთს ტახტზედა,
საუმო სულ დაბატიყა, არ მოვა სათვალეაზედეა!

ჰყვანდა ვეზირი, მურმანი ერქო. მოიკითხა აბე-
სალომ:

— სად არის ჩემი მურმანი, რომაც არ გვიზის ტახტ-
ზედა?

გადიბარიყეს, დაისვეს თქრთს ხალიჩის თავზედა.

მურმანბა ქალსა შეჭირდა, ურუოდა მოუგა ტანზედა:
„ვინ არის კაცი ასეთი, ეს შეაძლოს წამზედა!“

გახელებული დადიოდა მურმანი. არ იცოდა
თავისათვის როგორ ეშველა. ბოლოს თავის დედას
უთხრა, ეთერის სიყვარული გულში ჩამივარდა და
თუ არ ვიშოვნე, თავს მოვიკლავო.

დედამ უპასუხა: წადი, შენ წამალი მოსძებნეო
და მე თავს დავდებო.

წავიდა მურმან სიყვარულის წამლის საძებრად.
გზაზე ეშმაკი კაცის სახით შემოეყარა და ჰკითხა მურ-



მანს: საით მიხვალ, სად მიემგზავრებიო? მურმანმა თავისი ამბავი უამბო.—ეშმაკმა უთხრა: შორს საღლა მიღიხარ, მაგისი წამალი მე ვიციო, ასეთიო, რომ ქმარმა ის ქალი თავისის ხელით შენ მოგცესო. წამალს გასწავლით, თუ დედიშენის სულს მომცემო. წამოვიდა მურმან დაღონებული და უთხრა დეკადა. წამალი კი ვიშოვნე, მაგრამ შენ ვერ ამისრულებ ძნელ საქმესაო.—დედამ უთხრა: როგორ ვერ აგისრულებო, შვილო? შენთვის სულსაც არ დავზოგავო!

— მაშ თუ არ დაპზოგავ სულსაო, წამალში ერთმა კაცმა შენი სული მთხოვა და უნდა მისცეო?

დედა დაპზირდა, მივსცემო.

წავიდა მურმან და დედის სული მისცა ეშმაკს, კაცის სახით რომ გამოეცხადა. ეშმაკმა მურმანს ერთი ჯამი ფეტვი მისცა: ფთერს შეაყარე და შენი გახდესო.

წამოვიდა მურმან სიხარულით და ფეტვი შეაყარა ეთერსა. შეეხვია ეთერს მკბენარი, ასეთი, რომ უცვლიან და უცვლიან ტანთა და ვერ აშორებენ მკბენარსა. შესწუხდა აბესალომ, გამოიყვანა ეთერი და სთქვა:

თოშებათ შექრიდ მიჯნურნი საშებათს გავიქარენით, გისაც რომ შეურა გეჭუინათ, გავურიდგართ, გაიხარენით, გის გინდათ ქალი ეთერი, თქრთსა გვირგვინთსანი.

მურმან ჩოქვით სალამი მისცა, ბატონო, ქალი მე მამე, ჩემზე ერთგული ყმა შენ ხომ არა გყავს თემზედაო.

აილო აბესალომ, ქალი ვას ჩისტა. მურმანშა
რაკი ხელი მოსკიდა, მაშინათვე გასცევდა პკბენარი,
წაიყვანა და დაისო ცოლათა.

ორი კვარა გამოვადა, ასესაფოშ გაბძნდება,
ზერათ ქადმა გადმოჭიხედა: ასესაფოშ მობძნდება!

ეთერმა უთხრა აბესალომს:

რას ამავდა, რას ჩემივდი მაც თოჩხოკას ცხენათ?
შენ თუ ჩემს ფაცს გადაურჩა, ქორწილა ქენა რთველათ!
შე, ასესაფოშ სატონო, რა ხინჯი ნახე ჩემშაა?

რად დამიწიალე მაქარნა უცხო თემს ქვეუნაშაა,
ზერათ მოსულა გვარგვანა გაღრაე ჩალა-მტკვერშაა!

აბესალომ დაპრენდა შინ. მწუხარე იყო და
სევდიანი. ერთხელ ჰკითხა მურმანსა:

მურმან, მურმან, შენსა შესესა, შენა წლილა რა რაგაა?
მურმანშა უპასუხა:

რას ჰყათხედობ, ცათა სწორო, — ცოდნას ქება აუგაა,
შენც განხევს ბროლის ციხე, როგორ ცემდის მაღალაა,
შაგა ზას ქალი ეთერი, უკლა მოუდერებაა,
წელი წკრალი, ბეჭი ფართე, თემის თავა დაბალაა:
შებლი ბრტყელა, წარბი წკრალა, საფერთქელა მწერალა.
კაჭსა ართავს, აბრუშემსა, იგა ხელთა აუგაა.

ცხრანი მულნი კვერდს უსხედან, კველა ბარის ფარეშაა,
დედამთალი უკან უზის, გაძრის დალელის მწერელაა;
ცხრანი მაზლნა კარს უდინან, დალესილა აღმასია,
მამამთალი ერდოზე წევს, კველეშანსა მეღაჩევაა!

აბესალომ ეთერის სიყვარულით უფრო ზეს-
წუხდა და ავად გახდა. მურმანის მოშორება უნ-
დოდა, რომ ეთერი ისევ დაებრუნებინა და უბრძანა

მურმანს, წალი, უცვდავების წყალი იშვინე და მო-
მიტანეო: ეგება კარვა გავხილო.

მურმანი გულში შეფიქრდა: კარვი აო დაძე-
ყებაო!

ამაღამდელთ დამეო, ნე კათენდება მაღეო,
მახვიე ბროლისა მეურდსა, ველარ ვაშოვნი ხვალეო.
დაღაზე ქვევათ მგზავნან, ჭალასა იღანგოთასასა.
ორუიებსა ჩავლა უნდა, საშაშარა მტრებისასა,
კოჯორას მთასა მოვლა უნდა, მოსირიენსა რობასასა:
იქ ხომ ქვას გამაისვრან, მონა ტერსა დომასასა,
მომარტიუმენ, თავს გამატეხენ, თავსა მა სხალოს ძვლა-
სასა.

აბესალომ ძალიან ავად გახდა და კვდებოდა
თავისს დას მარისსა სთხოვა, ეთერ ნახეო:

აღექ, მარიხო, ვარსკვლავო, ეთერას კარს უარე,
ოუ გაითხოს ჩემა ამბავი, ღაფექ და წვრალათ უამბეკ:
ეთერო, შემოგარე შაგ შენის ცახის მზვარესა,
გადმოგხედე და ავტირდა: ლოგინი გიგავს მთვარესა!

წავიდა მარიხ-ვარსკვლავი ეთერისას და უთხრა:
რათ არ ნახავ შენს დარბაზსა, თემურხანის აგებულსა;
ჭამხა-ატლასს რათ არ ნახავ, ინდოეთით მოტანალსა,
აბესალომს რათ არ ნახავ, შენგან დამწვარ-დადა კულსა?

ეთერმა უთხრა:

არცა ვნახავ ჩემსა დარბაზს, თემურხანის აგებულსა.
არცა ჭამხა-ატლასს ვნახავ, ინდოეთით მოტანალსა.
არცა აბესალომ ვნახავ, ღვთის ფაცადამ კადასულსა!
ჩემთ და, გამეცალე, ნე მომფანტელავ ენათაო,
თავს გვირგვინი აახადა, ემას დაჭინურა ხელათაო!

მარიხ-ვარსკვლავშა უთხრა:

კაზაფხულისა ნარჩენას გადმოეხურა შაისა,
ეთერთ, შენას ნახვათა შენ შაშინჩინე ქმა ასა.

ეთერმა რომ შეიტყო, ჩემის სიყვარულით
აბესალომ ავათ გამხდარაო, უთხრა:

ნეტავა, ჩემის ნახვითა შენ შოგირჩება ქმა ასა!

ადგა და წაჟუპა მარიხ-ვარსკვლავსა.

ქალმა რომ ბანზე ფეხი შესდგა, აბესალომ
ფეხის ხმა იცნა და დაიძახა:

წამწამეს და წამწამეს შეა ბადი აძაშენებია,
ეთერის მოძრაობის საფლა მოძიხესენებია;

ეთერი ტეულად გარწალა, კარ საიქიას შავალი,
უფალის უბრძანებია კზა წერილი, მარტო სავალი.

მოვიდა მარიხ-ვარსკვლავი და ახარა ძმასა:

ძმა, შავალა ეთერი, თუ თევალების გაქვს ნათელი!

აბესალომმა უთხრა:

აუ შოფა, აქაც შემოვა, ცოტა აქვს შემოსავლელი.
ეთერსა აქ მოსვლისათვის ცხენ მიართვათ გაჭა სექელი.
ზედ უნაგირი ღაუდეით, შოთვალ-შოშარგალიტელი.


ეთერმა უთხრა:

ეთერსა ცხენი არ უნდა, არსედ არას წასასკლელი,
შე შენეული ღანაო, უბემა შიძეგს განაო.

ამდვალებ და დავიცებ შარჯვენა ძუძუსთანაო.

ნირა ჩემპენ, ტარი შენპენ, ზედ ღაგავდები თანაო!

ერთათა ღავიხორცებით, ერთათა და ტკმარხიანო.



မြန်မာ

လာရပါ၊ ဇာန်၊ ဇာ တေသာ မြှုပ်ဖြစ်၏။

အပျော်အလွန် ဇာ ကျော်စာ လမ်းမြေတော်များ မျိုးချိုးရှင်၊ ကျော်များ !
ကျော်များ ဇာအောင်မြေပေးသော၊ ကျော်များ ဇာအောင်မြေပေးသော၊

ဂုဏ်စာ စာ အောင်မြေပေးသော၊ ဂုဏ်စာ စာ အောင်မြေပေးသော၊

အောင်မြေပေးသော၊ အောင်မြေပေးသော၊ အောင်မြေပေးသော၊ အောင်မြေပေးသော၊

အောင်မြေပေးသော၊ အောင်မြေပေးသော၊ အောင်မြေပေးသော၊ အောင်မြေပေးသော၊

အောင်မြေပေးသော၊ အောင်မြေပေးသော၊ အောင်မြေပေးသော၊ အောင်မြေပေးသော၊
အောင်မြေပေးသော၊ အောင်မြေပေးသော၊ အောင်မြေပေးသော၊ အောင်မြေပေးသော၊

ზოვიდა მურმან და ნახა ერთათ ასაფლავიან.
შუაში საფლავი გაითხარა და ცოცხალი დაემარხა.
თავით ეკალი ამოვიდა და ფეხთით ლექვები.



აბესალომ და ეთერის საფლავზე ამოსული ია-
ვარდი ერთმანერთს რომ უნდა გადაჭხვეოდნენ,
შუაში ეკალი უშლიდა და აშორებდა.

ე რ მ კ ლ ე.



ვარდა ბატონიშვილი ერებლუე სათათრალია,
 შექმნაში თავის თვალად, ზედ შექმნა თავი ქორით;
 მაგრა მოჯხენდა ბატონსა, — კარა მოვიდა ბევრით,
 ამავ ჭარს გამოერა, წელიცე შეიძა ხმალით.
 ამითის ერებლისსა, ჭარები შეზედ კახა,
 ასი ცხენს გაახეთქია, თრას გარავში კახვა, —
 თმის არ უნდა ტელება, შები ბევრები წახვა.

*

ქადა მოვიდა ურუშათ, თვალები უცამს მწერსათ,
 გახერს გითხულიბს ამიავსა, პრებლუს ფიცამს მყენსათ,
 ერებლებს დაუბრუბია: დავ, ნე შეირთვა მტერსათ!
 ცოცა ხანს შემოიცადე, ქადაქს აგიდენ მტვრსათ,
 შენსას მოვიგდაშ საქმროსა, ზედ გადავაზრენ ცხენსათ,
 მოკაცან სამერანგესა, დარაასა ჭრედსათ,
 ქმრის მაგრებდა აკეთსა, მაცეს რო ჰიფაცებდეს ჩემსათ!



ხ ა რ ი.



რშებათობით აშენდა ციხე-ქალაქი ქვეზედა,
სამშებრის აურ ურალითა ქრისტეს მეფივის
კარზედა.

ხარი და ადამიანი დადგნენ ერთ სამართლზედა,
ადამიანი დარჩენა კურვის ქურ იდვა თავზედა.
ადგა, ხარმა მოახსენა, — მე დამიღვია შხარზედა.
წამოდინენ ახგალოზებია, აკოცეს ორსავ თვალზედა.
დვითი ჩამოახსენედი სახოლი დააპრეს თრსავ რქიზედა:
— წადა, ხართ, და ახარე ცასა და ქამარზედა.
ეძვია დღე გა აძებევე, მეძვადეს დაწეს შხარზედა:
განრ მეძვადეს შენ შეგაბრი, დასხვა მაღდელი კარზედა!

* *

ავა კუონიას დედის სული
დაწერალია ქვეზედა.

ეს უღმერთო ჩემი შეხრე მარტეს ხმელ ბეჭის თავშა,
თათოს ასეის ჩამაშვების, თათქმის ჩამაწვენის პატარშა.
დავიხოქებ და შევსრარი ჩემ მეუფეს ცაშა:
მაშველე, ჩემთ კამარენა, ჩემს გაჭარვების დღეშა!
— მე რა კაშველო, საწყალო, მეტ შაგანებენ ცაშა!
მე მაშან მოურაგდები, როს მოვლენ სამართლშა.
დავადგამ რკინის უღელს, შეკვეთავნა ჯოჯოსეთშა
აწა-აწა, — აძახადნენ. — სულო, აძალდი უეღმა!

მ ი ნ ა დ ი რ ე.



თოიას სინახვედ წევედ, ხადისთვის კავედ
მტბერშაა.

ციხასიმარული კურძენა ჩავტეტნე კადათ შაა.

შე რა იმათა დავათვერ, სამა ღლე ვებდე ლაფ შაა.

მოვადა დედა-ნაცვალი, მაფაჩუნებდა თავ შაა.

სამას დღის ნავადემუოვარი ჯვდებ. წევედი ტეტ შაა,

შავხედე, ღორი მორბოდა, დადი იქო და მრე შაა:

დაგუჩიაქე და ვესროლე, მოვადე ბეჭას ფრთა შაა.

კრთა ამანაც ამამკა აშ სისხლ ბარძუებ შაა.

მურცა თოვი წამოვალე, ვერცა ამასი დე შაა;

აღმსრთა ამოვარბანე, კრთა არ დამიახვნე შაა,

კუსა კარებზედ მოვედი,—კამე, დედა წელ შაა!

— შვალი, დედა რა კი ძველის, მოხადირის წესა.

შენისოւნი მოხადირე ცხეს ბეჭრი კაუსრესა!



6 1 6 5.



სხ, სხ, მამსხ,

კაზრდა-კახერების,

შეპიაბრძმ კაბს.

წათელ-კათელ აუდასს:

ზედ დაგასხმ ღილებს,

ოქროს დავერილებს;

შემოგაკრძმ ქამსხ,

შიგ ჩაგირჩო ხენჯალს;

დაგაეპრებ ჭაბუს,


შიგ ჩაგიყრი ფეფლებს.

აკატარები ბაზარშა.
ჩიგატარები ქუჩაშა.
კლასი შემოგევრება;
ამას მავ ასაზი;
ასიც ბეტევის კაზრდასა,
კაზრდა-განარებასა,
სუპდის მოშორებასა,
ერველ ჭირ მორჩენასა!

ა ფ რ ხ ი ზ მ ე ბ ი.



ყუთის წევის ქვეყანა, წევის წევით იწვება,
წევი ლხინსა, თამაშის, ყოველ უცემხდოთ
— იწვება!



წევის სიღვედმა ჩემა დღე სამწრე დამაღევისა,
მატარა ცხარე ცრემლითა, ზღვისთვინაც შემარევისა,
არც მომედა, არც დამარჩია, არც სული დამაღევისა.

წადა და ჰქონებ ცხედასა, ნეტავ: რა მაქქონება, —
სამი დღი ტილო მიაქვს, ის არის მასი ქონება.

წევის სიღვდის სტუმრება კართ, ჩვენ წავალთ და სხვ:
დარჩება; ბარგა გსვათ და ბარგა გჭებოთ, — იმის მეტი რა შეგვრჩება!

სანამ ცოცხალ ვარ, ასე ვიქ, — ვახარებ ჩემსა ასე,
მოვავდება, — გაუჩარდება სამარის გარსა ჭიასა.

კიტავ, რა ზნე სტირს საპატიოდსა, — ვერ მიჰქედა ჩვენი გო-
ნება: შიგ ამოარჩევს ვაშპაცსა, რომელიც მოეწონება!

—
სოფელთ, შიეთ-შოეთთ, საბრუნავისა მახვი!
ზოგსა ცათამდის აივან, ზოგსა უბუღმა დაჭინება.

—
ას სოფელი ასეთია: მაუთი და მოუთია!

—
გაცსა ვინ მისცა ამ ქვექნად სოელი ბედნიერება?
მიდას და მოდას ტანჯვაშა ეს მოელი ქვექნიერება.

—
არცა გველასა თქმა უნდა, თუ პატი გონიერია,
წავა და გველგან დარჩება, სოფელი ღონიერია.

—
არ ვარგა ჭირში ბატება, თუ პატი გონიერია,
წავა და სხვაგან დარჩება, სოფელი ღონიერია.

—
თავსა სევდესა ნუ მასცემ, — გულს ხავსი მეეპიდება,
პატი ცრუ, ამშარტავანი სილალეს მეეპიდება,
ის უფრო ცრუი იქნება, ვინც იმას მეეპიდება.

—
გარგი ემა მაშინ ვარგია, ხმალი რომ შეიქს ელგასა,
მოციქულთბეჭეს ისარი, შები აგდებდეს ენასა.

—
ნამუსისთვისა ბამოვა ულვაშები და წვერია;
რაც გინდა ელაპარაპე, თუ პი პატს რა რცხვენია.

—
ღმერთო, ნუ შეჭერი ვაშპაცსა ცოლსა უბუღდსა და შძინარსა,
ის შემდის, ის დაბერების, ის მისცემს წესლსა მდინარსა.

ქალი, ქმრის დაწუნებული, სიმშობლის მაჩვდებლიდა.
სიმშობლის შინ არ შეუში, ნირა რომ უშევდებოდა.

დაგწერილ შეაღდი, — დაკაწე. მომე ხარდნები, — აკაწე!

ასეთია პატის გული, კათ მორეფი შევის: რაც უნდ კათ ცოლი ჰეგანდეს, მაინც მოუნდეს სისახს!

დამაზი ცოლის პირობის უნდ ჰეგანდეს ძალია ფრთხილია.

ან უნდ ძალია ფრთხილია, ან დამაზის დედაშითადია.

გაუბატს რას გამოადგეს სოიგელი მკენება თავისს,
ხმადი უნდ აწრუვანებდეს, იმედი ჰქონდეს მაღავის.

საწუთოროს სიმი კსონეოდე: ქნა-ზირა სელოვანი,
ყედ სეჭდომად შედი ცხენია, წინ მანდორი ვეღოვანია.
სეჭდონელი თუთო ქალი. ცანწერილი და ფეროვანია.

არ გათეთოდეს უთონია, რაც უნდ რომ ხეხია ქვაშია,
შტერნია არ შეგვიძრადებუნს ტირილით და ვიშია.

ტირილით და ვიშია მიურნია არ შეგვირადებუნს.
შოვდეს, დაგწები და დაგდაბები, შეს აქოს, — და
გვინედებუნს.

ქარგის კის ცოლობს ნებ გახარიან, ქალი.

წავა და დაშესრი მოგვდება. დარჩებია ცარიელია.

օհայ, — Ֆազենցասն, ուզո՞ւ նյ Ծյմեռը ույս:

როსტომ სიკვდილი: ჩემი ბაზები ჩანაცილი ქვეყნებს სწორია,
გისითვისაც ხმადეს გაქნებდი, ის კანდა ჩემი მტკირია.

სოფლის თემს კუნძღვა, განს, სოფელი ჩემ თემს! ის კი თემის სოფელის, მას რომ სოფელი კონის.

არას კარგი სიმძიმე, უსარტყებლოდ ცრემლით დება!

სუვინავ გაშლილო, დახინი ხარ, ჭრვა, ჩაგრძლი გონებას,
ნამუსი კველის სჯობის, ასის ოუზნის ქონებას.

თუ შოთარები ხარ შიმოვკრე: გადოს გავიძით გადოსხა,
შოთარი ხარ, — შემატეთბინე, ან მისს დაგიხვდე ან ბარს.

მცირე ტოგოა ენებზე

მა პოვეთხლა. უკუნი ჩვენთვის
იღარ-ა ძელია:
ბოროტა ჰელია კეთილმახ...
არხება მის კრძელია!
(ვეფხის-ტყიოსანი).

О существѣ национальной индивидуальности и обѣ образовательномъ значеніи крупныхъ народныхъ ети-ницъ. (არსება ნაციონალურის ინდივიდუალობისა და ტილო ხალხთა თვითოულობის აღმზრდელობითი შენიშვნელობა). დამატებითი ბროშურა კაზეთის „Бавказъ“-ისა 1872 წ.

საკვირვლად კარგ დროს ვამოვიდა ეს ჩვენი პატარა წიგნი! სწორედ მისწრებას ომშ იტყვიან, ის იყო. ჩვენმა მკითხველებმა იციან, ომშ აქაუტ ადვილობრივის ენების (ქართულის, სომხურის და თათრულის) სწავლებაზე წრეულს დიდი ლაპარაკი იყო არამც თუ ჩვენს საზოგადოებაში, აქაუტ ქართულ-სომხურ და რუსულ გაზეთებში, არამედ პეტერბურლის და მოსკოვის გაზეთებშიაც. იყო სხვა და სხვა აზრი გამოთქმული, ზოგი სასარგებლო და ზოგი საწინააღმდეგო, ჩვენშიაც და რუსულ გაზეთებშიაც. აქამდის ასე გაცხარებული ლაპარაკი გაზეთებში და საზოგადოებაში ჩვენს ენებზედ არც ჩვენს მწერლობაში ყოფილა და არც რუსეთისაში. ამის გამო ყურადღება მიიქცია პატარა წიგნმა, რომელზედაც ჩვენ ვაპირებთ ლაპარაკია. ამ წიგნში არის გამოთქმული აზრები, რომ ყველა პატარა ხალხების ენები უნდა გაუქმდეს და შეძოვიდეს დიდი ხალხების ენები. ამ აზრის გამოთქმისა გამო ყველა,

კისაც კი რუსული კათხვა შეუძლიან. ამ წიგნს ეწაფებოდა და კითხულობდა. მიზეზი ამისი, ზემოთ მოვიხსენიეთ, საზოგადო ღაპარაკი იყო, ოორებ რუსულ ლიტერატურაში ეს ძველის-ძველი ამბავია. ავერ ბარებ ათი წელიწადი იქნება, რომ ამისთანა საგანზე ბევრი სჯა, ზოგჯერ ფიცხი ბაასიც ყოფილა და არის დღესაც მომხრეებსა და მოწინააღმდეგებებს შუა. პეტერბურლის და მოსკოვის უურნალგაზეთებს რომ თავი დავანებოთ, საჭმაო იქნება მოვიგონოთ ჩვენი ქალაქის რუსული გაზეთი „კავკაზი“, რომელშიაც 1867 წელს იმგვარი აზრები იყო მოყვანილი, რომ სოულიად უსარგებლოა აქაურ ენებზე სამეცნიერო და სასწავლებელი წიგნების გამოკემაო, და ამით თითქოს ის აზრი უნდოდა გამოეთქვა, რომ კარგი იქნება აქაური ენების მწერლობის და შუკრულის მისამად. ამისთანა წრეს-გადასული ჩზრები, რამდენათაც ვიცით და გვახსოვს, არც ერთს რუსულს პეტერბურლის და მოსკოვის უურნალგაზეთს არ გამოუთქვამს. მაგრამ მაშინ, 1867 წელს, ბევრს არ მიუჰყრია უურადლება. ახლა კი ეს საგანი საზოგადოებისაგან უურადლების ლირსი შეიქნა.

ამ უსახელო ბროშურაში გამოწურულია ის აზრები, რაც ამ ათიოდე წელიწადში გამოთქმულა ენების გაუქმებაზე. ზოგიერთ უურნალ-გაზეთების სიბრძნე ავტორს ციფრებითა და ნომრებით მუხლებათ დაუყვია: შეუდვენია აფორიზმები (პავოდინის ისტორიულ აფორიზმებსავით) და გამოუცია წიგნაკი. სამწუხაროდ, იმით კი აღარ გაუბედნიერებივართ.

რომ სრული თხზულება ეჩვენებინა და არა ნახევარი. მეორე ნახევრის უფრო საჭირო ნაწილის ნახვის ღირსი კი, არ ვიცით, როდის შევიქნებით.

ეს ბროშურა შეიცავს მარტო თეორიულ სჯასა, რომლისაც დამტკიცებას შემდეგს ნაწილში უნდა მოველოდეთ, და იმ განხრახვით არის დაწერილი (როგორც წინასიტყვაობაშია მოხსენებული), რომ გამოაკვლიოს: ხელმწიფობის სხეულში, ესე იგი სახელმწიფო წყობილებაში და გამგეობაში რა ადგილი უნდა ეჭიროს წვრილ ხალხებს თავისი ენებით დოდ ხალხთან.

ამ აზრის ახსნისათვის და დასკვნის გამოყვანისათვის კარგი და საფუძვლიანი მეცნიერებაა საჭირო. არამც თუ მხოლოდ ისტორიისა, ფილოლოგიისა და ეთნოლოგიისა, როგორც ბროშურის დაწერი ჰგონებს, არამედ ჩვენი დროების ყველა სწავლა-მეცნიერებაა საჭირო და იმისი დასკვნა; არამც ისუ მარტო სწავლაა საჭირო, თვით ჩვენის დროების ცხოვრების მომღინარეობის თვისების შეგნებაა საჭირო, რადგანაც ხშირად ხდება, რომ სწავლა და ცოდნა, მეცნიერება, ბევრს კითხვას ცხოვრებისას ვერ უპასუხევს თავის გაუხსნელობისა, შეუმუშავებლობისა და გამოურკვეველობის მიზეზითა. სწავლა და მეცნიერების გაუხსნელობა და იმისი ჯერეთ სიყმაწვილე ყველა მეცნიერებისაგან არის, შემეცნებული. ერთი მხოლოდ წმინდა მათემატიკა არის აღიარებული ყველასგან ნამდვილ, შეურყეველ, კეშმარიტ მეცნიერებად. ერთი ცხადი ნიშანი მეცნიერებათა გაუხსნელობისა ის არის, რომ იმა-

თი კუთხასთან ახლო, მრავალი დასკვნა უმრავლეს
მსწავლულებისაგანაც კი არ არის მიღებული და
კეშმარიტებად აღიარებული. ისე, როგორც მათე-
ბატიკაა მიღებული და აღიარებული. ცხოვრების
მომდინარეობა გვაჩვენებს, რომ ხალხის ცხოვრების
საქმეების გამართვაში და შეცვლაში თუმცა მეცნი-
ერებას პქონია მონაწილეობა, ეს მონაწილეობა
მხოლოდ ერთმხრივი გავლენა, ზედ-მოქმედება ყო-
ფილა და არა სრული. ეს მეცნიერების მონა-
წილეობა, გავლენაც წმინდა მეცნიერებისა კი არა
ყოფილა, არამედ ცხოვრებისაგან თავისებურად გა-
დაკეთებული. გადასხვათერებული და შეცვლილი.
მეცნიერებისათვის ცხოვრებას თავისი გამოცდი-
ლებაც დაურთავს და ამგვარად მიუკია მოძრაობა
თავის ახალ მსვლელობისათვის. რა უბედური იქმნე-
ბოდა ევროპის ხალხი, რომ მართლა-და საშუალო
საუკუნოებში, ანუ თუნდა ახალ საუკუნოებში, თა-
ვისი ცხოვრება იმ დროს მეცნიერების საფუძვლით
გაემართა. ევროპის განათლებას და წინმსვლელო-
ბას აღსასრულის დღე მოუვიდოდა! მაგრამ ცხო-
ველმყოფელი ძალა ცხოვრებისა არ დაემორჩილა იმ
ცრუ მეცნიერებასა, რომელიც იმ დროს კეშმარი-
ტებათა სწაცდათ და ხალხს კეთილდღეობას უახ-
ლოვებდა თან-და-თან თითქმის მხოლოდ თავისი
საკუთარის ძალითა. მეცნიერებამ თავისი ძალის სა-
თავე ამ ძალაში მოიპოვა.

მაგალითით ავხსნათ რუსეთის ცხოვრებისაგან.

რუსეთში სოფლის თემობას ძველის-ძველათგანვე
აქვს საერთო მამულები, სათემო მამულები, რომე-
ლიც ერთსა და ორს კი არ ეყუთვნის, მრთელს სო-
ფელს ეყუთვნის და მომკირნე მამაკაცის რიცხვის
დაგვარათ იყოფება ხუთს, ათს, ანუ თხუთმეტ წე-
ლიწალში ერთხელ. ამის გამო ამისთანა სოფლის
ვაჟკაცს ყოველთვის მამული აქვს, უმიწო არ არის.
ამ უფლებას რუსეთის კანონები აძლევს ყოველ
სოფელს. ეს ისეთი დაწესებაა ორმ,—როგორც რუ-
სეთის და უცხო ქვეყნის ლიტერატურაში გამოუთ-
ქვამთ და როგორც უკანასკნელი ეკონომიკური
სწავლა გვაჩვენებს, —რუსეთის ხალხი ასცდება
ევროპის გლეხი ხალხის სიღარიბესა და უადგილ-
მამულ აბასა. ეკონომიკური სწავლა, სანამ გაიხსნე-
ბოდა, იმისთანა აზრისა იყო, რომ ეს სათემო
მფლობელობა მიწისა ხალხისათვის მავნებელ საქ-
მეთ მიაჩნდა, და ზოგთ, ამ ძველი სწავლის მომ-
ხრეთაც მიაჩნიათ. წარმოიდგინეთ რუსის ხალხის
უბედურობა, რომ მმართებლობას იმ დროს ეკო-
ნომიკურის სწავლისამებრ გადაწყვიტა მამულების
დაყოფა სათვითაოდ! ეს დიდი ნაწარმოები რუსე-
თის ხალხის გენიოსობისა, ეს ნაყოფიერი საქმე
შთამომავლობისათვის უნდა გამქრალიყო, არამც
თუ რუსეთისა და ევროპის კეთილ მდგომარეობი-
სათვის, არამედ მსოფლიოს კეთილ-დღეობისათვის
და ევროპის მეცნიერებისათვის. ძველ მოაზრეთ
ერთი დასამტკიცებელი აზრი მოჰყავდათ, რომ
აქამდის კარგს მეურნეობას ფესვი იმიტომ ვერ
გაუდგამს ჩვენს გლეხობაშიო, რომ მამულები სა-

ერთოა, დღეს ერთს უჭირავს, ხვალ სხვასაც და
აპიტომ მამულს არ აკეთებსო. ცხოვრებამ კი სხვა
დამტკიცა. 1866 წელს ერთ სოფლის საზოგადო-
ებამ გადასწყვიტა, რომ სათემო მამულების წილის
ყრაში გაკეთებული, გაპატივებული მამულები ინ
გლეხებში უნდა გაიყოს, ვინც მამულს აპატიებს
უა აკეთებსო. — ამისთანა მაგალითები ბევრი შეიძ-
ლება მოვძებნოთ როგორც დღდ ხალხების ცხოვ-
რებაში, აგრეთვე პატარა ხალხებისაში. ით ცხოვ-
რების მსვლელობას და პრაქტიკას ჩა შეუძლიან
აღმოაჩინოს. ვგონებთ ამ მაგალითით კარგა და-
ვანახვეთ, რა მნიშვნელობა აქვს ცხივრების გა-
მოცდილებას.

ამ სახით ვხედავთ, რომ მარტო მეცნიერებაზე
დამყარება არა კმარა. თუ კი მართლა და საფუ-
ძელიანად გვინდა დავასკვნათ რამე ცხოვრების შე-
სახებ, საჭიროა თვით ცხოვრების გამოცდილების
კოდნა და შემეცნება ცხოვრების მსვლელობის
მიმართულებისა.

ახლა დავხედოთ ბროშურას, ისეთი საფუძვე-
ლი აქვს თუ არა?

გამოცემულ ნაწილში სჯა არარაზედ არის დამ-
ყარებული, სჯა თავით ბოლომდის დოლმატიკური
აფორიზმებია და საზოგადოთ დაუმტკიცებელი, a
priori აზრებია გამოთქმული. ისტორიული დამტკი-
ცება მეორე ნაწილში იქნება. ამგვარად ავტორი
ისე მოქცეულა, რომ თავის მსჯელობისათვის დამ-
ტკიცება წაურთმევია და საბუთი მაშინვე კი არ
წარმოუთქვამს, არამედ წარმოსთქვამს შემდეგ. რო-

შელი კეთილ-გონიერი მწერალი ირჯება ამგვარათ? ისტორიული დამტკიცება შემდევაო! — რა არის ისტორიული დამტკიცება ამისთანა საგანში, რომელსაც ეჭირვება მეცნიერების ყოველის მხრითი დამტკიცება. ავტორი არც ფილოლოგიურ საბუთებს იხსენებს, არც ანთროპოლოგიურს, არც ფიზიოლოგიურს. ავტორი სრულებით ყურადღებას არ აქციებს ცხოვრების გამოცდილებას და აწმუნ მსვლელობას. როდესაც ცხოვრებას ეხება ორიოდე აღგილს, იქაც ძველის-ძველ ისტორიას აწყვდება და ავიწყდება, რომ მარტო ძველი მოთხრობა სპარსეთისა და ეგვიპტისა ისტორია არ არის; ავიწყდება, რომ ძველ ხალხებს გარდა ახალი ხალხებიც არიან ევროპისა და ამერიკისა. ესენი დავიწყებული ჰყავს და გარეთ განზე მიუგდია. რასაკვირველია, ჯერ ვერ ვიტყვით დაწვრილებით, მომავალში რა და რა ისტორიული ფაქტები ექნება ავტორს ჩამოთვლილი, მაგრამ საზოგადოდ რასაც დაბეჭდილ წიგნში ვხედავთ, ის ფაქტები ვერაფერ დამტკიცებათ გამოადგება ავტორსა. პირ-იქით ეწინააღმდეგება დასამტკიცებელ აზრსა.

რა აზრი აქვს ავტორს დასამტკიცებელი მრთელს თავის თხზულებაში?

ის აზრი, რომ პატარა ხალხები თან-და-თან თავისს ენას თავს ანებებენ და სხვა, დიდ ხალხების ერთ-ერთ ენას ითვისებენ. ეს წარმოსდგება იმ გარემოებისაგანაო, რომ, რადგანაც ყოველი კაცი, ხალხი და კაცობრიობა თავის ნივთიერსა და სულიერს სიკეთეს ეძებს, ამისათვის ერთმანერთს

უერთდება და რადგანაც დიდი ხალხები უფრო კე-
თილ-დღეობაში არიანო, ამისა გამო პატარა ხალ-
ხები ამათ ხან ნებით, ხან უნებურად უნდა შეუ-
ერთდნენო, საკუთრად ენას ითვისებენ, როგორც
მარჯვე მასალს კაცობრიობის განათლებისასაო.

აი მრთელი წიგნის შინაარსი.

პირველი აზრი, ავტორის დაწყობილი, აცხა-
დებს, რომ ისტორიაში ვხედავთო, რიცხვ-მცირე
ხალხები რიცხვ-დიდ ხალხებს უერთდებიანო. ამ
აზრს ამყარებს იმ კანონზე, რომ კაცი თავის კე-
თილდღეობისათვის ერთდება ჯერ ოჯახად, მერე
თემად, ანუ ხალხად და ბოლოს პატარა ხალხი
დიდს უერთდება.

სულ პირველად ავტორის ამ აზრს უნდა და-
ვაკირდეთ, რომ ისტორიაში ასე ვხედავთო. ისტო-
რიაში ბევრს რასმე ვხედავთ, რომელიც არ შეგ-
ვიძლია აღვიაროთ ისტორიის ნამდვილ კუთვნი-
ლებად, კაცობრიობის პროგრესის კუთვნილებად,
არამედ წარმავალ, შემთხვევით მოვლინებად. ამას
გარდა, ყველა, რაც მომხდარა ისტორიაში, იმას ხო
არ გვიტკიცებს, რომ სულ ასე უნდა იყოსო. მა-
გალითად, კაცობრიობის ისტორიაში ვიცით მაგა-
ლითები, რომ კაცები ერთმანეთსა სჭამდნენ და დღე-
ვანდლამდის დარჩენილა კაციქამიობა. დიდ ოკეა-
ნეს ზოგიერთ კუნძულებზე ამ კაციქამიობას თან-
და-თან გადაეჩვივნენ და ეხლა ცოტანი-ლა დარჩე-
ნილან ამ ტკაბილი გემოვნების პატრონნი. უწინ
ძველის-ძველად ცხენის კუდს მოაბამდნენ კაცსა და
ათრევდნენ, სანამ ნაკუწ-ნაკუწათ იქცეოდა ადამია-

ნის ტანი. ევროპაში ერთხელ კაცებს თვალებსა სთხრილნენ, ყურებსა და ცხვირსა სკრილნენ, კაცებს ცეცხლში სწვავდნენ; საღლაა ებლა ამისთანა ამბები ჩვენს დროში ევროპაში. რუსეთში ამ რამდენისამე წლის წინათ როზგი იცოდნენ, ებლა ალარ არის. ნუ თუ ეს დასჯა და წვალება არის უექველი კანონი პროგრესისა, კაცობრიობის წინსვლისა? რასაკვირველია ავტორი ამ აზრისა არ არის. მაშასადამე, ისტორიაში რაც ერთხელ ყოფილა, ბევრჯელ ის ალარ არის, იმას ალარა ვხედავთ.

მაგრამ იქნება მკითხველმა იფიქროს, რომ ვითომც ჩვენ იმ აზრის წინააღმდეგი ვიყვნეთ, რომ ხალხების შეერთება ისტორიულ მოვლინებად არა გვრწამდეს? არა ჩვენ იმგვარს შეერთებაზე ვამბობთ, როგორიც ბროშურის ავტორსა ჰგონია.

ავტორი ამბობს, რომ მცირე რიცხვიან ხალხის შეერთება დიდ რიცხვიანთან იმ გვარი შეერთებაა, რომ მცირე რიცხვიანი ერთ თავისს ენას დიდ რიცხვიანისაზე სცვლის, რაღანაც ორი ხალხი ერთს საზოგადო სხეულს ვერ შეადგენს. აქვე უნდა ვთქვათ, რომ დიდ და პატარა ხალხების განმასხვავებელ თვისებად ენას აღიარებს.

ერთი ხალხი მეორე ხალხისაგან განსხვავდება ენითა, ენა არის თვით ხალხი, ხალხის აგებულება. ეს მართალი აზრია. მაგრამ ორი ენით მოღაპარაკენი რომ ერთად ვერ მოთავსინენ, ეს ისეთი აზრია, რომ თითქოს კაცმა ახალი საუკუნოების ისტორია არ იცოდესო. სხვა-და-სხვა ენის ხალხები ერთ საზოგადოებითს სხეულს, ორგანიზმს ვერ შეადგენენო!

ნეტავი კი გამორკვეული ჰქონდეს ავტორსა, რას უწოდებს საზოგადოებითს ორგანიზმსა? სიტყვას საზოგადოებას მრავალ გვარი მნიშვნელობა აქვს. აქვს მნიშვნელობა ხალხის ნაწილისა, მრთელი ხალხისა, სახელმწიფოსი, მრთელის კაცობრიობისა და კაცობრიობის ნაწილისა, და ზოგი შვიდ-რვა მნიშვნელობას აძლევს. ბროშურის ავტორი ამ სიტყვას რა განსაზღვრას აძლევს, კარგა ვერ გამოურკვევია. ესა სჩანს რქიდან. რამ ერთ ადგილს (10 გვერდ.) ერთის მნიშვნელობითა ხმარობს ორი სიტყვას: ხალხი და სახელმწიფო. აი, არეულ-დარეულობა აზრებისა და გამოურკვევლად ხმარება სიტყვებისა! ხალხი და სახელმწიფო განა ერთი და იგივეა? ვან არ იცის ამათი მნიშვნელობის განსხვავება? სახელმწიფო არის გარეგანი ფორმა, რომლითაც განგებულ და მართულ არის ერთის მრთელის ხალხისა, ანუ ერთი ხალხის ნაწილისა, ანუ რამდენისამე ხალხების საზოგადო საქმეები. ნუ-თუ, მაგალითად, ეხლანდელი, ამ 1872 წლის ფრანციის ხალხი და ეხლანდელი ფრანციის სახელმწიფო სულ ერთია? ან უფრო უკეთესი ვთქვათ, ეხლანდელი გერმანიის სახელმწიფოები და გერმანიის ხალხი სულ ერთია. ამათში დიდი განსხვავებაა. ორი აზრის არევა იმისთანა საგანზე, რომელსაც ეხება ბროშურა, დიდად სამაგალითოა სამეცნიერო სჯაში.

დავანებოთ ამას თავი და ავტორის აზრით გავშინჯოთ. ორი ენით მოლაპარაკე ხალხები ერთ სახელმწიფოს ვერ შეადგენენო:

ჩვენი მოაზრე მწერალი ისტორიის ფაქტებზე

ამყარებს თავის მსჯელობასა და ისტორიას კი საღლაც გაჰქიცევია. თუ ახსოვს, მარტო ძველი ისტორია ახსოვს. მართალია, მოხდენილა ისეთი ამბები, რომ ერთ ხალხს თავისი ენა დაუციწყნია და სხვისა მიუღია, მაგრამ რასაც ამბობენ, ყველა ნამდვილია? მაგალითად, სპარსელებმა დაიპყრეს ასირიელები და ქალდეველები. მრავალმა წლებმა და საუკუნეებმა გაიარეს, ქალდეველების სახსენებელი ალარსად არ ისმის. მართლა აიხოცა ეს ხალხი და იმისი ენა დედამიწის ზურგისაგან? ასე ჰგონია აიხოცა, მაგრამ აბა ახლოდგან დააკვირდეს კაცი. ისინი არიან ქრისტიანები, აქვთ თავიანთ ენაზე სკოლები, წირვა-ლოცვა, სტამბები და წიგნებსა ჰბეჭდვერ. იმათს ნაწილს (ნესტორიანებს) თავისი კათოლიკოზი (მარშიმონი) ჰყავთ. ესეები რომ არა გვცოდნოდა, როგორც აზიასთან დაახლოვებულ მეზობლებს და ჩვენის თვალით არ გვენახა მეთულუხეები, ხომ ი] აზრისა ვიქნებოდით, რომ ვითომც ქალდეველები და იმათი ენა გამქრალან ამიერ ქვეყნითა.—მაგრამ ვთქვათ, რომ სხვა პატარა ხალხები გამქრალან; ეს რას დაგვიმტკიცებს? გაძქრალან ქვეყანაზე დიდი ხალხებიცა: რომაელები და ძველი ბერძნები. იმ-ბნელსა და უკუნ ლამეში, რომელსაც ძველ საუკუნეებს უწოდებენ, ხალხები კი არა, თვითოეული ხალხის ნაწილები, და არამც თუ ნაწილები. კაცი კაცთან, ერთი ერთთან ვერა თავსდებოდა; მუდამ ერთს მეორეზე ბატონიბა ჰსურდა, ერთი მეორეს იმონებდა, სისხლს ლვრიდა და ერთი მეორეს ექსორიას უშვრებოდა,

როგორც სალმანასარმა ანუ რომაელებმა უყვეს ებრაელებსა. განა ამისთანა ისტორიაზე შეიძლება რისამე სჯის დამყარება? ვაქციოთ პირი ამ ბნელსა და საუკუნოდ წაწყმედილს დროსა და მივაპყრათ ნათელსა და მრავალის კეთილით მუცლად-ლებულს ახალ დროსა.

რას ვხედავთ ახალს საუკუნეებში? იმასა, რომ კაცი კაცს უახლოვდება თავის თავის კუთვნილის საკუთრების დაუკარგავად, ხალხის ერთი ნაწილი მეორეს ემოყვრება და ბოლოს, ერთი ხალხი მეორე ხალხს და ხალხებს კავშირს უწყობს. აღარა ვხედავთ იმ საზარელ სისხლის ლვრასა, რომ წლის წლობამდის და საუკუნითი საუკუნემდე ადამიანს მოსვენებას არ აძლევდა; ომები თან-და-თან მცირდება, მშვიდობიანობის მოსურნეობა თან-და-თან ვრცელდება და ღონიერდება. იმისთანა სადავო საქმე, რომლისთვისაც კი აღრე ხოლმე საშინელი ომები გაიმართებოდა და წლეულსაც თითქმის დარწმუნებული არ იყო ევროპა, რომ მშვიდობით გათავებულიყო ორ ძლიერს სახელმწიფოს შეა, შეერთებულ შტატებსა და ინგლისა, ეს საქმე მედიატორეების სამართლით გარდასწყდა და ორივ მხარე კმაყოფილი დარჩა. ამ გვარი მაგალითი კიდევ ორი მოხდა წრეულსვე. ერთს წელიწადში სამი მაგალითი დიდი საქმეა კაცობრიობის მომავალ კეთილდღეობისათვის, და წლითი წლამდე თან-და-თან ეს მშვიდობიანობის სურვილი გავრცელდება. ნუ-თუ თვალები უნდა დავხუჭოთ და მარტო ძველი საუკუნეები დავინახოთ? პრო-

შურის ავტორი არ მგონია, რომ კეთილის თან-და-თან ალორძინებაზე იმედ-გადაწყვეტილი იყოს. თუ კეთილი არა სწამს, მაშასადამე, კაცობრიობის წინ-სვლაც არა ჰრწმენია.

მაგრამ აბა ერთი დავაკვირდეთ ახალი საუკუნეების სახელმწიფოთ შედგენილობასა. ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი და შვეიცარია ხომ სახელმწიფოებია, ორი დიდი და ერთი პატარა. რასა ვხედავთ ამ სახელმწიფოებში? შეერთებულ შტატებში არის ისეთი ნაწილები, საღაც ნებეცური ანუ ფრანცუზული ენები არ გაუქმებულა და ხალხი დღევანდლამდე ხმარობს. შვეიცარიაში ერთ სახელმწიფოთ სამია შეერთებული: ფრანცუზისა, ნემეცისა და იტალიისა; რუსეთის სახელმწიფოში არის ფინლიანდის ხალხი. ყველა ესენი თვითო სახელმწიფოში არიან დაკავშირებულნი ისე, რომ ერთი ხალხი მეორესთან მშვიდობიანათა სკოლ-ობს და სახელმწიფო გამგეობა ამას შესაძლო საქმეთა ჰხედავს. რუსეთის სახელმწიფოში არამც თუ ფინლიანდის ხალხი, არამედ თვით პოლშის ხალხი მინისტრის ტოლსტოის სიტყვისამებრ, რუსულის ენის შეტანის გაძლიერებით სასწავლებლებში „მმართველობა სრულებით არა ფიქრობს რუსებათ გადააქციოს: ეს ვერ შეიძლებოდა“. (ნახე სიტყვა ხალხის განათლების მინისტრის ტოლსტოისა, ნათქვამი ენკენისთვის 12-ს, 1868 ვარ-შვის უმაღლეს სასწავლებელში). ავილოთ მაგალითად ავსტრია. რამდენი სხვა-და-სხვა ხალხები არიან: ნემცები, ვენგრიელები, სლოვენების სხვა-და-სხვა.

თემები. ერთხელ ავსტრიაში იმ აზრისანი იყვნენ, როგორც ბროშურის ავტორი, რომ ერთი ენა უნდა აერთებდეს ხალხებსაო. უამთა ვითარებაშ სხვა სთქვა და ეხლა სხვა და სხვა ენით მოლაპარაკენი უფრო უძლიერესს სახელმწიფოს შეადგენენ, ვიდრე ადრე. აი ეს ოთხი სახელმწიფო, სადაც რამდენიმე ენის ხალხი თვითონ სახელმწიფოს შეადგენს. ახლა ავილოთ სხვა მაგალითი. ირლანდიის ხალხი ერთის ენითა ლაპარაკობს, ინგლისებთან ერთ სახელმწიფოს შეადგენს და რასა ვხედავთ? ირლანდიის ხალხი მუდამ აღშფოთებაშია და დღე მუდამ იმასა ცდილობს, რომ ინგლისს მოშორდეს. საკვირველი არ არის ეს მოვლინება? თუ საზოგადო ენა აერთებს, აკავშირებს ხალხებსა, ეს მაგალითები ვგონებ სრულებით ამას არ გვიხსნიან. ერთ შემთხვევაში სხვა და სხვა ხალხები ერთდებიან ერთ სახელმწიფოზ: მეორე შემთხვევაში ერთის ენით მოლაპარაკენი ერთმანერთის დაშორებას აპირობენ! შვეიცარიაში ნემეცებს გერმანიათან შეერთებისთვის პირი შეუქცევიათ და იტალიის და ფრანცუზის ხალხის ნაწილებთან, ამგვარათვე განკერძოებულებთან, შეერთებულან; დიდ თავის მოძმეს და ერთ სისხლ-ტომს დაპშორებიან ნემეცებიც, ფრანცუზებიც და იტალიელებიც და წვრილ-წვრილად შეჯგუფულან ერთ პატარა ჰამულში! რა არის ეს მოვლინება ისტორიაში? რას გვიხსნიან ეს ფაქტები, ნუ თუ ბროშურის დამწერი ამაგბს არ დაჰკვირვებია? არ ვიცით ამაების დავიწყება შეიძლებოდა ისტორიის ფაქტებზე დამყარებულ

სჯისათვის? დიახ ისეა, რომ დაპირიშებია ავტორსა, თორემ არ იტყოდა, რომ ენა არის სახელმწიფოს შემაერთებელი იარაღიო.

დავაკვირდეთ უფრო ვრცლათა. განა ხალხებს ერთმანერთთან ენა აერთებს? ყველა ადამიანის წა-დილი ცხოვრებაა, კეთილდღეობაა, ნივთიერი და სულიერი სიმდიდრეა. ამას თვითონ ავტორი ამ-ბობს. ყველა ადამიანისა, ყველა ხალხების სურ-ვილი ერთი და იგივეა. მაშასადამე, ყველას წალი-ლი ერთია, ამის გამო კაცი კაცს უერთდება ოჯა-ხობად, ოჯახი ოჯახს უერთდება თემათ, თემები თე-მებს ხალხად. ამითიც არა თავდება ეს ერთობა, ბრო-შურის აზრისამებრ: ხალხებიც თან და თან ერთ-მანეთს უკავშირდებიან. ერთი ხალხის მეორესთან კავშირი დროებითი კი არ არის, როვორც ჰერონებს ავტორი სჯისა, არამედ ისეთივე მკვიდრია, რო-გორც თვით კეთილდღეობის სურვილი კაცობრი-ობისა. რამდენათაც ხალხები გარკვეულ დაინახავენ თავისს ნამდვილს და კეშმარიტს საჭიროებასა, იმ-დენათ თან და თან უფრო და უფრო გაძლიერდე-ბა იმათ შორის მაღლიანი კავშირი. ამ გვარათ ეხლა ფრანციაში, ესპანიაში და იტალიაში ტრი-ალებს აზრი სამთა ხალხთა შეკავშირებისა, შვეი-ცარიის სახელმწიფოსავით. აი ამას გვეუბნება მთე-ლი ისტორია კაცობრიობისა და მეტი ლაპარაკი საჭირო აღარ არის, ვგონებთ ეს აღვილი გასაგები იყოს. ავტორი კი კავშირს მარტოკა თვითონეულს ხალხში ჰქონებს და იმ აზრისაა, რომ ორ ხალხებს შეა კავშირი თუ არის, დროებითიაო. ეს აზრი

იმ უსაფუძვლო აზრისაგან წარმომდგარა, რომ ადა-
მიანის უმაღლეს კავშირათ ავტორს ერთ-ტომობა,
ერთის ენით მოლაპარაკე ხალხი ჰგონია. მართა-
ლია ისტორიაში დროებითი, როგორც ავტორი
უწოდებს, „მეხანიკური“ კავშირი ყოფილა,
მაგრამ ამას ხომ კავშირი არა ჰქვიან. ჩვენ იმ
კავშირს ვაშბობთ, რომელსაც ახალი ისტორია გვი-
ჩვენებს და რომელიც ჩვენ თვალ-წინ თან და თან
ძლიერდება ხალხებს შუა. ჩვენ თვალ-წინ სახელ-
მწიფოები ერთმანეთს ეკვრიან სხვა და სხვა ტრაქ-
ტატებით და კონვენციებით, რადგანაც ხედვენ,
რომ ერთი და იგივე მიზან-აზრი აქვთ: თუ ვაჭრო-
ბაში, თუ მისვლა-მოსვლაში, თუ ფოსტაში და და-
მოუნაში, თუ სამეცნიერო საგნებში, სწავლაში და
ხელოვნებაში. მუდამ წელსა ვხედავთ ამ ერთობის
გახშირებასა. რას გვიჩვენებენ ესენი, თუ არ წი-
ნამორბედს საქმესა ხალხების ერთმანეთთან ნამდ-
ვილ დაკავშირებისასა. ამას შემდეგ ვკითხავთ: შე-
იძლება რომ კაცმა ერთს ხალხს, კალკეთ შეერ-
თებულს, უმაღლესი კავშირი უწოდოს? მაშასადამე,
უმაღლესი ერთობა ხალხების ერთმანეთთან კავში-
რი ყოფილა, რომელიც წარმოსდგება ენის ერთო-
ბისაგან კი არა, არამედ საზოგადო ცხოვრების ინ-
ტერესისაგან.

რასაკვირველია ესევე ინტერესი ხალხებისა
მოითხოვს ერთმანეთის ენების ცოდნასა. ეხლავე
ვხედავთ, ევროპის სწავლულებში, რომ საკმაოდ ნას-
წავლსარ ეძახიან იმ კაცსა, რომელმაც, თავის საკუთარ
ენის გარდა, სხვა ენა არ იცის; მაგალ. ფრანცუზ-

მათუ ნემეცური და ინგლისური არ იცის, ანუ ნემეცმა ფრანგული და ინგლისური.

შემდეგ ბროშურა იმ აზრსა ჰქსნის, რომ მცირე რიცხვიანი ხალხი ვერ შეაღვენს ისტორიულ ხალხსა: ესე იგი არ ექნება სრული ლონისძიება საზოგადოების გაუმჯობესებისათ. მცირე რიცხვიან ხალხს ვერ შეუძლიან თავისი ენა კაცობრიობის განათლების იარაღათ გახადოსო.

რა არის ისტორიული ხალხი? ეს ძალიან მოგონილი აზრია: ერთი ხალხი არის ისტორიული და მეორე არა. განა ყველა ხალხებს ერთი და იგივე საჭიროება არა აქვთ, ერთი და იგივე სურვილი არა ჰქონიათ. ეს ძველებური მოგონებული სიტყვები ჯერაც დარჩენილა მეცნიერების გამოუკვლეველობისაგან. ყველა ხალხების ისტორია რომ ვიცოდეთ, რამდენიც უცხოვრიათ, უეჭველად რასმე ვიპოვნიდით, რომ მსოფლიო ისტორიას შეეხებოდეს. მაგალითად, მსოფლიო ისტორიაში რუსეთს, ვენგრიას, პოლშას საჩენო ადგილი უჭირავთ, რადგანაც ამ სამშა ხალხმა შეაყენა ოსმალები და მონგოლები, რომელნიც კინალამ მოედვნენ მრთელს ევროპასა. ამ გვარივე დანიშნულება აღასრულა საქართველომ, რომელსაც დაეცნენ მონგოლები, რომელშიაც ექვსჯერ გაიარა ლანგ-თემურმა იმასთან მებრძოლ ხალხში და რომელიც რამდენიმე საუკუნე ებრძოდა ოსმალებსა. რუსეთმა, ვენგრიამ, პოლშამ და საქართველომ ამითი დასდევს ევროპის განათლებისათვის დიდი ღვაწლი. და რასა ვხედავთ? საქართველოს მსოფლიო ისტორიაში ძა-

ლიან იშვიათად იხსენიებენ. ყოველ პატარა ხალ-
ხზედ ესევე შეგვიძლიან ვთქვათ. ვინ იცის, ხალხე-
ბის აღგილის ცვლაში და გადასახლებაში, ომებში
და მშვიდობიანობაში, სხვა და სხვა ხალხებთან
ერთობაში რამდენი ღვაწლი დაედვასთ კაცობრიო-
ბისათვის? ვინ გვიამბობს, რომ სიძველისა გამო
გარდმონაცემიც არ დაშთენილა იმათი ცხოვრები-
სა? ეს სიტყვები „ისტორიული ხალხი“ გამოურ-
კვეველი სიტყვებია. ზოგნი ერთს რომელსამე ხალხს
ისტორიულს ეძახიან, ზოგნი კი არა. აი მაგალი-
თად „მოსკოვის უწყებები“ (№ 206, 1872.) რუ-
სეთზე ამბობენ, რომ რაც კი რუსებს „გონებითის
მხრით უმუშავნიათ, სულ რომ გაჰქრესო, ისტო-
რიული კაცობრიობა თავისს ცხოვრებაში ნაკლუ-
ლევანებას არც კი იგრძნობსო,“ მოდით და ამ
აზრს დაეთანხმეთ! მეორე შემთხვევა: საქართველოს,
როგორც ზემოთა ვთქვით, ისტორიულ ქვეყნათ არ
იხსენიებენ. უფ. ლამანსკი კი, რომლისაც ორი
აზრი მოყვანილია ბროშურაში, თავის ლექციებში
(სლოვენ ხალხების ლიტერატურის ისტორიაში)
საქართველოსა და სომხეთს ისტორიულ ქვეყნებს
უწოდებს. მოდით და თქვენ გაარჩიეთ. ერთი პუბ-
ლიცისტი რუსეთს ისტორიულ ქვეყნად არ აღია-
რებს, მეორე პროფესორი საქართველოსა და სომ-
ხეთს ისტორიულ ქვეყნებათა სთვლის.

მაგრამ ავტორი უმატებს ამ ორ სიტყვას ახსნა-
სა, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ; ესე იგი მცი-
რე რიცხვიან ხალხს არა აქვს სრული ღონისძიება
საზოგადოების გაუმჯობესებისათვის. განა არის იმის-

თანა ხალხი, თუნდა რიცხვ-მრავალი, რომ სხვა ხალხის გონებითი ანუ ნივთიერი ნაწარმოები არ ეჭი-რვებოდეს? განა შეუძლიან ნემეცის ხალხს უფრან-ცუზებოთ თავისი ცხოვრების წინ წაყვანა, გაუმ-ჯობესება? ყოველი ხალხი, რომელიც თავისს მიჯ-ნებში ჩაჯდა და ჩიკეტა კარი, დაემზგავსება ჩი-ნეთის უძრავ ხალხსა. თვით ჩინეთი ამ უკანასკნელ დროებში თავს ანებებს თავის ჩაკეტილობას. რაში მღვმარეობს ისტორიული დიდი მნიშვნელობა ვაჭრობისა და ოლებ-მიცემობისა, თუ არა ამ ხალ-ხების გონებითი და ნივთიერი ნაწარმოებით ერთ-მანერობის გამდიდრებაში? ესევე უნდა ვთქვათ იმ აზრზე, რომ მცირე რიცხვიან ხალხის ენა ვერ გახდება კაცობრიობის განათლების იარაღათაო. რომელი ენა შეგვიძლიან დავასახელოთ, რომ ეს არის კაცობრიობის განათლების იარაღი? ყველა ენებზე შეგვიძლიან ჰოცა ვთქვათ და არაცა.

არც ერთი ენა არ არის დედამიწის ზურგზე, რომ კაცობრიობის სიბრძნე დაეტიოს. არამც თუ უგანათლებულესი პირნი მეცნიერებისა, არამედ შუ-ათანათ განათლებულნიც-კი არას დროს თავის საკუ-თარ ენას არ ჰქმაუთილდებიან. ინგლიზი ფრანცუ-ზულს, ნემეცურს და სხვა ენებსა სწავლობს. ყო-ველი გამჭრიახი ადამიანი არას დროს თავის სა-კუთარ ენას არა სჯერდება. მეორეს მხრით ყველა ენაზე (ველურ ამერიკის ენებზეა ეჭვი) შეიძლება კაცობრიობის სიბრძნე გავრცელდეს. ნუ თუ ავტო-რი ბროშურისა მცირე მნიშვნელობას აძლევს ქრის-ტეს სახარებასა? ნუ თუ სახარებას არა ჰქონდა

კაცობრიული ისტორიული მნიშვნელობა? ეს სა-იღგან წარმოსდგა, თუ არ სახარების თარგმნით და ერში გავრცელებით ყველგან, დიდსაცა და პატარა ხალხებშიცა?

მაგრამ ერთი რამ აბრკოლებს ბროშურის ავტორსა. ის აზრი, რომ რამდენიც გონებითი მუშა ბევრია, იმდენად გონებითი გახსნა ხალხისა მაღლა დგასო. რასაკვირველია ეს ნამდვილი აზრია. რამდენათაც ხალხში გონებითი ძალა მეტია, რამდენიც სწავლული, მასწავლებელი, ლიტერატორი მეტია, იმდენად ხალხი წინ არის, მაგრამ ამ აზრის საფუძველი ქვიშაზეა დამყარებული. ავტორს ასე ჰერიტაჟი, რომ რიცხვი გონებით მომუშავე კაცებისა დამოკიდებულია ხალხის რიცხვზე. კიდევ დაჭვიწყებია ისტორია. რამდენი რიცხვ-მრავალი ხალხი ყოფილა და არიან, რომ წიგნიც არა სკოლნიათ და რამდენი რიცხვ-მცირე, რომ უმაღლესი განათლება ჰქონიათ? ნუ თუ ჩენგის ყენის და ლანგ-თემურის ურდოები რუსის ანუ ქართველ ხალხზე გონებით გახსნილნი იყვნენ?. ნუ თუ ძველი პაწაწინა საბერძნეთის ხალხის განათლება რიცხვზე იყო დამყარებული? ახლანდელი ხალხების: ინგლიზების, ჰოლლანდიელების, ბელგიელების კეთილ-მდგრადერება ნუ თუ რიცხვზე არის დამოკიდებული? ავტორის აზრები აქაც არეულ-დარეულია.

ყველა ხალხის გონებითი ძალა ხალხის უბრალო რიცხვზე კი არ არის დამყარებული, ჯერ სიმდიდრის ქონებაზეა და მერე განაწილებაზეა. გო-

ნებითს შრომას თავისუფალი დრო, მოცლა უნდა; მოცლისოვის ლონისძიება ეჭირვებათ. მწერლებს, სწავლულებს, მასწავლებელთ, საზოგადო საქმის მკეთებელთ, რასაკვირველია, ლონისძიება უნდებათ, რომ თავიც იჩინონ და საზოგადო საქმეც გააკეთონ. განა ამისთანა კაცები უექველად იმ ხალხში ჩნდებიან, რომელიც რიცხვ-მრავალია, თუ სხვა პატარა ხალხებშიაცა ჩნდებიან? ეს ყველა მცოდნე კაცმა იცის, რომ სწავლა და განათლება იმისთანა ხალხებშია, დიდებშიაც და პატარებშიაც, საღაც მოქალაქობრივი განწობილება უკეთესია, საღაც ხალხის შემაჯგენელ ნაწილებს შორის უფრო ადამიანური ერთობაა და საღაც მეტს მცხოვრებელს საზოგადო საქმე თავისს საკუთარ საქმედ მიაჩნია. ევროპის ხალხების რიცხვი რომ შევადაროთ აზიის ხალხებს, აზიელები რიცხვ-მრავალნი გამოვლენ. საქმით კი ყველამ უწყის, რომ ევროპიელების უკანასკნელი რიცხვ-მცირე ხალხი დაწინაურებულია აზიის უპირველესს რიცხვ-დიდს ერზე. დიდი და მცირე რიცხვიანი ხალხები რომ სრულებით ერთგვარ ეკონომიურს და პოლიტიკურს მდგომარეობაში იყვნენ, ერთგვარი ბუნება ერტყათ და ერთგვარი სიმდიდრე ბუნებისა, ერთგვარი წარსული ისტორიული ცხოვრება ჰქონდეთ. ყოველივე სათვითაოდ და ყველა ესეები ერთად, მაშინაც კი საეჭვოა, რომ რიცხვით გაისინჯებოდეს გონებითი ძალა ხალხებისა. ავტორი, რასაკვირველია, თავის აზრს ამყარებს იმ საფუძველზე, რომ თეთრი ტომის (რასსის) ხალხნი ერთის ნიჭისანი არიან.

ჩვენა ვსოქვით, რომ ყველა კაცს ერთი მიზან-აზრი
აქვს ცხოვრებაში და ამისა გამო თან და თან ერთ-
მანეთს უახლოვდებიან, რადგანაც თან-და-თან
წინ მიღიან გახსნითა: მაგრამ აქვე უნდა ვსოქვათ,
რომ სანამ ისე გაიხსნებოდნენ, რომ ერთის ხალხის
შედარება მეორესთან მარტო რიცხვით შეიძლებო-
დეს, მანამდის იმისთანა მაგალითებსა ვნახავთ, რომ
ერთის ენით მოლაპარაკე ხალხი იშლება ნაწილ-
ნაწილათა, როგორც ინგლისს ჰუმრდება ირლან-
დია და როგორც სამი ხალხის ნაწილი მოჰუმრებია
თავისას და შეერთებულა კავშირათ შვეიცარიაში.

აი, რა რიგათა აქვს დამტკიცებული და მოყ-
ვანილი სჯა პატარა ხალხების ენების გაუქმებაზე!
საიდგან წარმომდგარა ესეთი სჯა და აზრები? იმ
თეორიიდგან, რომელიც ნაპოლეონ პირველის შემ-
დეგ აღმოჩნდა: ამასა ჰქეიან სახელმწიფოების ერთ-
უონობა, თანტოლობა (რავშივნეცი). ამ თეორიის
ძალით ევროპაში უნდოდათ, რომ ყველა სახელ-
მწიფო თავისს მიჯნებში დარჩეს და ორც წინ წაად-
ვმევინონ ფეხი და ორც უკან. სწორედ ამ გვარიდ
ჰუკიქობს ბროშურის ავტორი მსოფლიო კაცობ-
რიობის დაყოფვასა და ჩამოთვლილი აქვს, რა-და-რა
ხალხებმა უნდა დაიყონ მრთელი დედამიწის ზურ-
გი! უეჭველად ეს აზრები აი რა ნაირად წარმოს-
დგებოდა: მსოფლიო, კაცობრიობა წარმატებაში
ნელ-ნელა შედის და ბიჯს წინა სდგამს მძიმედ:
ამასთანავე ვხედავთ, რომ ძლიერი ხალხები მიჯ-
ნებს თან-და-თან განზე სწევენ. ბოლოს ერთი ძლი-
ერი სახელმწიფო მეორეს უნდა დაპირდეს. რაუ ამ

გვარად ძლიერი სახელმწიფოები შეჰვდებიან ერთ-მანეთს, დარწმუნდებიან, რომ კმარა მიჯნის გაგა-ნიერება და ეხლა შინაგანი საქმეები უნდა ჰმართონ, ესე იგი, როგორც ავტორი ამბობს, თავიანთი ძა-ლა ბუნების შემუშავებასა და თავისს გამდიდრებას უნდა მოახმარონ. სჯაში და ლაპარაკში თითქოს ეს აზრი კუთხისთან ახლოს იყოს; მაგრამ ფრიად შე-სანიშნავი მაგალითები რომ ყოფილა ისოტრიაში, ესაც არ უნდა დავივიწყოთ. არას დროს ერთს სახელმწიფოს თავისთვის არ დაუდვია მიჯნა. თუნ-და სხვასაც განესაზღვროს, თვითოეული სასარგებ-ლოთა პედავს რომელისამე მხრით, რომ საჭიროა კიდევ სხვა ადგილიც დაიკიროს. მეორე, ევრო-პის ხალხებმა გვიჩვენეს, რომ ტყვიასავით ყალიბ-ში ჩამოსხმა ხალხებისა ისტორიულ გახსნას ეწინა-აღმდეგება. აი ამის გამო ეს თეორია რამდენჯერ იქმნა დარღვეული 1815-წლიდგან ვიდრე ჩვენამდე.

დავასრულოთ ეს ლაპარაკი და შევუდგეთ თვით ენის არსებასა. რა არის ენა კაცისა, ხალხისა? ენა არის ნივთიერი იარაღი ჩვენის აზრისა, ჩვენის მსჯე-ლობისა. სახელოვანი და გამოჩენილი ფილოლო-გოსი შლეიხერი ამბობს: „ენა არის ყურთა სმენით შესმენილი გამოთქმა იმისთანა საქმიანობი-სა, რომელიც ნივთიერად აერთებს ერთმანეთსა და დამოკიდებულსა პყოფს ტვინისა და სიტყვის იარა-ღის შენობასა თავიანთის ნერვებითა, ძვლებითა, მუსკულებითა და სხვა.“ ამ გვარად ენა არის გა-მოთქმა ჩვენის ტვინისა და ენის მუშაობისა. „რო-გორც მზეს ნათელი გამოსდის—ამგვარათვე ენას

ყურთა სასმენი ხმა გამოსდის. როგორც მზის სინათლის თვისება წარმოსდგება ნივთიერის (მატერიალურის) მიზეზისაგან, აგრეთვე აქაც ხმის თვისებაა... ამისათვის ენას უყურებთ ისე, თითქმის რაღაცა ნივთიერი არსება იყოს, თუმცა არც ხელით შეხება შეგვიძლიან, არც თვალით ხედვა; მხოლოდ მარტო თითქმის ყურით მივიღებთ.“ ამისა გამო, როგორც ყოველ ორგანოს მოქმედება კაცის აგებულებისა (მუსულებისა, ტვინისა, კუჭისა) თვითონეულის ორგანოს თვისებაზეა დამოკიდებული, აგრეთვე თვითონეული ენა დამოკიდებულია ლაპარაკის იარაღის თვისებაზე. შლეიხერი განაგრძობს: „თუ ადამიანის სიტყვა, ენა მჯგომარეობს ტვინისა და ენის ორგანოს განსაზღვრულს შენობაში, დედა ენის გარდა, ერთის ანუ რამდენისამე ენის შეთვისება როგორ შეიძლებაო, მკითხვენ. მე შემიძლიან მოკლედ გიპასუხოთ, რომ თხეთაც შეიძლება სიარული და ერთის ფეხითაც, მაგრამ არავის ეჭვათ არ მოუვა, რომ ჩვენი ნამდვილი სიარული ჩვენს აგებულებაზეა დამოკიდებული... ყველაზე პირველად ეს კითხვა იბადება: უცხო ენა როდისმე ეთვისება კაცისა სრულიად და შემთავრებით? მე რომ მითხრან, აი ესა და ეს კაცი ერთგვარათ კარგათ სწერს და ლაპარაკობს ნემეცურათ, ფრანკუზულად და ინგლისურათო, ამისთანა ფაქტის არსებობაზე უარს ვიტყვი.“

ამ ცოტაოდე სიტყვებში იმდენი აზრია, რომ კარგა დიდი ახსნა მოუნდება. თითქმის მრთელი ევროპის და ნახევარ აზიის ხალხები, როგორც

შეკრიულებით გამოკვლეულია, ყველანი სულ პირ-
ველად ერთის ხალხისაგან წარმოებულან და მო-
ფენილან სხვა-და სხვა აღგილებში, აზიაში და ევრო-
პაში. აღგილის დავვარათ შესცვლიათ პირის სახის
და ტანის მოყვანილობა, ფერი კანისა და თმისა.
და ბოლოს ენა. ბუნებას დიდი გავლენა ჰქონია,
აქვს კაცზე და ექნება. ამ ბუნების დაგვარათ იცვ-
ლება კაცის აგებულება. მაგალითად მთის კაცმა სხვა
სიარული იცის, ვიდრე ბარისამ,— მიხვრა-მოხვრა,
ფეხებს გადადგმა, სირბილი, ჯდომა სულ სხვა და
სხვა აქვთ. *) ენაც სწორედ ამ გვარათვე იცვლება.
პირველი აღმზრდელი კაცისა ის ბუნებაა, რასაც
თავისს გარშემო ჰქედავს. პირველი იმისი აზრები
ამ ბუნების მოვლინების ქვეშევრდომობაში იბა-
დება, იზრდება და იხსნება. წამ და უწუმი და-
კვირვება გარეშე მყოფ ბუნებისა ჰბადებს შედა-
რებას საგნებისასა იმათის თვისებისას და მოქმე-
დებისას. ამ გვარად არსდება კავშირი კაცის გო-
ნებასა და ბუნებას შორის და ეს კავშირი წარ-
მოშობს ხალხის თვითონეულ გონების ჰანგსა, მო-
საზრების წყობასა, შეზავებასა (რომელსაც რუსე-
ბი უწოდებენ რევაზი). ეს ჰანგი თვით ენის ხმისაც
ერვისება და ენაზე ისეთი მეტის მეტი გავლენა
აქვს, რომ ადრინდელ მოძმე ენას სრულებით
ვერ დაამგზავსებს კაცი. აბა, ერთი მითხარით, რა

*) დარვინსა აქვს მოყვანილი თავისს წიგნში „კაცის
წარმოებაში“ ის მაკალითი, რომ საქართველოში ნემეც მო-
სახლეებს მეორე თაობაში თმა და თვალები გაჭრავებიათ.

ერთობა აქვს ამ ორ სიტყვას: რუსულს „ხორ-ში“-ს და ქართულს „კარგი-ს“. თავად ეს ორი სიტყვა უთუოდ ერთი უნდა ყოფილიყვნენ: მაგრამ ქართველს ხალხს, რაღაც მთიან ადგილას დასახლებულა, ისეთ ასოებათ შეუცვლია. რომ მთაშიაც კაცს გააგონოს, რადგანაც პ და გ უფრო ძლიერი ხმანია, ვიდრე ხ და შ.—ეს რა? სიტყვა კარგი იცვლება კიდევ და ხშირად ხალხში გავიგონებთ: კარქი.—ასოს ხ მთებში ისე ხმარობენ, თითქმ არი ასო იყოსო ქ. ძველ წიგნებში ვხედავთ სიტყვას „ზროხა“ ეხლა ვხმარობთ ძროხა. ზ იცვლება ქ-ად, უ კიდევ ჯ: (აბუანდა — მბჯანდა), ძ იცვლება ჯ-ად (ძაბუნი, ჯაბანი)—ასე, რომ რუსულ სიტყვას „დერჟი“ ქართველი კაცი იძახის „დარჯი“, თითქმს უნდა თქვას „დაიჭი“. აი რა დიდი გავლენა აქვს ბუნებასა. ყველა კაცი, რაც უნდა მოლაპარაკე მოიყვანოთ მთაში, ის ბოლოს ისე გადააკეთებს თავის სიტყვის ხმასა, რომ პირველისას ალარ ემსგავსება. ჩვენს მთაზრეს ეს ბუნების გავლენა სრულებით დაპირიშებია, რომ ერთის ენით მოლაპარაკე მალე დაიწყობდა სხვა-და-სხვა ენის შედგენასა.

შეორე გარემოება ის დაპირიშებია, რომ სხვა-და-სხვა ხალხისაგან რომელისამე ენის მიღებისათანავე ენა მალე გადასხვაფერდება. მაქს მულლერის სიტყვით, ეხლანდელი ფრანცუზულ, ესპანურ და იტალიანურ ენების განსხვავება წარმოსდგა მარტო ლათინურისაგან კი არა, არამედ ლათინთა სხვა-და-სხვა ხალხების ყველა ენებისაგან

და პროვინციის ხალხების ენებისაგან. ლათინურ
ენის ქვედა ენები მიიღეს, მაგალითად, ფრანციაში
და შესდგა ფრანცუზული ენა. ამ გვარათვე იტა-
ლიაში.

მაგრამ ამითიც არ გათავებულა. იტალიაში ხა-
ლხი მარტო წმინდა იტალიანურის ენით არა ლა-
პარაკობს, არამედ სხვა-და-სხვა ნაწილებში გადა-
სხვაფერებით. მაგალითად, ქალაქ ნეაპოლის ლაბა-
რონშა წმინდა იტალიანური ლაპარაკი არ იყის და
თითქმის არ ესმის. ვენეციელი კიდევ სხვა კილოთი
ლაპარაკობს ფლორენციელზე; ფრანციაში პრო-
ვანსის ენა გადასხვაფერებულია. იტალიის და ფრან-
ციის მიჯნაზე ორივ ენები თითქოს შერეულა და
ორსავე ჰშორდება. ბუნება ესე მძლეველიდ იჩენს
თავისს კანონის ძალას, რომ ყოველივე იმისი ნა-
წარმოები თან-და-თან განსხვავდება.

ეს განსხვავების აღმოჩენა, დიჭერენტივობა
სჩანს მრთელს ბუნებაში: ამავე კანონსა ვხედავთ
კაუბრიობის ნამუშევარში, სადაც ყოველივე იმისი
მოქმედება იყოფება, სხვავდება, დიჭერენტივობს. და-
ვაკვირდეთ ამ კანონსა. მრთელი მსოფლიო, რო-
მელსაც შეადგენენ წვრილი და დიდი ზეციური ტნა-
თობები, ვარსკვლავები და მზეები, პირველში ყო-
ფილან არეულ ოშხივარ მსგავს მასსად; მას უკან თვი-
თო მნათობის, თვითო მზის წყობად, სისტემად და-
ყოფილა. მზის წყობა ამგვარადვე დაყოფილა უმ-
თავრეს მზედ და პლანეტებად; ამ პლანეტებში ჩვე-
ნი დედამიწაც ასე განსხვავებულა. დედამიწაზე შე-
დულების, შემტკიცების შემდეგ აღმოჩენილა მცე-

ნარეულობა და სულდგმულობა. თვითოეული ამაოგანი პირველში ერთმსგავსი ყოფილა და მერე თან-და-თან განსხვავებულა, ეხლაც სხვავდება შეუყენებლად და ვხედავთ სიმრავლეს სხვა-და-სხვა მცენარისას და სულდგმულისასა. გადავიდეთ ადამიანზე. კაცობრიობა დაყოფილია რამდენსამე რასსად, ესენი იყოფებიან ტომებად, ტომები ქვედა ტომებად, ბოლოს (გეოგრაფიულის მნიშვნელობით) თემებად. ავილოთ კაცობრიობის საზოგადოებითი მოვლინება, მაგალითად, მმართებლობითი უფლება. უფლება ჯერ შერეულია; მერე იყოფება: კანონმდებელ, სამსაჯულო და ოღმასრულებელ უფლებად. დავხედოთ ხალხის ცხოვრების სახსარს: პირველათ შერეულია: ერთი და იგივე კაცი, ველურ მდგომარეობაში, პურის მომყვანიც არის, მკერვალიც არის, ფეიქარიცა და ვაქარიცა. მერე იყოფება ხალხის მუშაობა სათვითაოდ და ჩნდება მიწის მომქმედი, ფაბრიკანტი ანუ ხელოსანი და ვაჭარი. შინა ოჯახში მოსამსახურობა რა არის? იქაც ვხედავთ განყოფასა. პირველ მდგომარეობაში მსახური მზარეულიც არის, მაინდელიც (ლაქიაც), ყმაწვილების მომცლელიც; მერე კი ეს შერეული საქმე სათვითაოდ იყოფება.

აი, რა კანონი ყოფილა ბუნებაში და კაცის ცხოვრებაში. ნუ თუ მარტო ენისათვის სხვა კანონები უნდა იყოს? ამას არ გვეუბნება წარსული ისტორია ენებისა. სულ პირველში, როგორცა ვსთქვით. ნახევარ-აზის და თითქმის მთელი ევროპის ხალხების (ინდოევროპიელების) წინაპართ ერთის ენით ულაპარაკნიათ; შემდეგ თან-და-თან ეს ენა შეც-

ცლილა და გაცალ-ცალკევებულა. აი კიდევ: დი-
დი ნაწილი შეერთებულ შტატების ხალხისა გადა-
სახლებულა ინგლისიდგან ამერიკაში და ლაპარა-
კიბს ინგლისურის ენით. ერთის გამოჩენილ ნატუ-
რალისტის ლაიენლის აზრით გადასახლებულ ხალხის
ენას შეუძლიან გაძლება, თუ დედა-ქვეყნიდგან მო-
სახლეები უწყვეტელად შემოვლენ ხოლმე ამ ხალხ-
ში. მაგრამ ამასთანავე ვხედავთ, რომ, თუმცა შე-
ერთებულ შტატებში ახალი მოსახლეები შედიან,
მაინც და მაინც ფილოლოგისები კარგა გარკვევით
ამცნევენ, რომ ინგლისური ენა ამერიკაში თან-და-
თან იცვლება და ჰშარდება დედა ენას. ამგვარსავე
უფრო ძლიერს მოვლენას ვხედავთ, მაგალითად, ჩვენ-
კენ გადმოსახლებულ ნემეცებში და რუსებში. ნე-
მეცები (მეტადრე სოფლებში) ითვისებენ ქართულს
ენას საქართველოში და იციან ადვილად ლაპარაკი
მეორესა და მესამე თაობაში მრთელის სოფლობით;
ნემეცები და რუსის დუხობორები ოსმალოს მიჯნებზე
ითვისებენ ამგვარადვე სომხურს ანუ თათრულს; სო-
მხები საქართველოში — ქართულს.

მაშასადამე, ამ გვარად ენაც ზემოხსენებულ გან-
სხვავების კანონს ექვემდებარება, ესე იგი ექვემდე-
ბარება ბუნებას, რომელიც მას გარს არტყია და
რომელიც ზრდის იმის აზრსა, აზრის წყობასა და
ხმის თვისებასა. ამის გამო, როგორც კარლ ფოგტი
ამბობს, „სულელობა იქნებოდა ერთი ენა მრთელის
კაცობრიობისათვისაო. ეს ენა არავის მოთხოვნი-
ლებას არ ეთანხმებოდა და მალე შეცვლით იმ-
გვარადვე დაიყოფებოდა, როგორც ინდო-ევროპიე-

ლების პირველი ენა, ესე იგი დაიყოფებოდა დამო-
უკიდებელ ენებად, რომელნიც მხოლოდ თავისის
საძირკველით გვიჩვენებდნენ ერთობას შთამომავ-
ლობისას.

რასაკვირველია, თვით ბროშურის ავტორი წი-
ნაალმდეგია იმ აზრისა, რომ საყოველთაო ენა შე-
სდეს როდისმე. მაგრამ თუ კი კაცობრიობის გონე-
ბითსა და ნივთიერს გამდიდრებაზე ამყარებს რამდენი-
სამე ენის ალორძინებას და გაძლიერებას, რატომ
არ შეიძლება, რომ ისიც კი ვიფიქროთ, რომ ბო-
ლოს ისინიც შეერთდებიან; რომ ყოველივე სიბრძნე
კაცისა ერთს ენაში დაიტიოს და ადვილი იარაღი
გახდეს ეს ენა კაცობრიობის კეთილდღეობისათვის?
საქმეც ის არის, რომ ავტორს თავისი სჯა მარტო
საკუთარ სჯაზედ და მოფიქრებაზედ დაუმყარებია
და არა ბუნების კანონზე.

რა საშინელი მდგომარეობა უნდა წარმომდგა-
როყო კაცობრიობისათვის, რომ მართლა ხალხებს
თავისი ენები დაეგდოთ. ზემოხსენებული გამოჩე-
ნილი ნატურალისტი ფოგტი ამბობს: „შვეიცა-
რიის ერთ ნაწილში ვატლანდის კანტონის მცხო-
ვრებ ლები (ნემეცები) ფრანცუზულათ ლაპარა-
კოპენ, ფრანცუზულადა სწავლობენ — ერთის სი-
ტყვით, ფრანცუზობა უნდათ; მაგრამ, ამისდა წი-
ნაალმდეგ, საგანი ნემეცურად ესმისთ, ნემეცუ-
რი წყობა აქვსთ გონებისა და აზრებისა და ამის
გამო ისინი არას დროს არაფერს არ აწარმოე-
ბენ თვითმყოფობითს, თვითარსებითს, რადგანაც

იმათი ენა არ ეთანხმება იმათს სულიერს მოთხოვნილებასა.“

რაღა უნდა იყოს იმ ხალხის მდგომარეობა, რომელიც ისე დაეცემა, რომ თავისის გონებით სიმდიდრის გარღმოცემა აღარ შეეძლოს იმ ერთად ერთის იარაღით, რომელსაც ენა ჰქვიან. მაშასადამე, ამგვარი ხალხი გონებითს ასპარეზზე ისეთი მუშაკი კი აღარ იქნებოდა, ბროშურის ავტორის აზრისამებრ, როგორც განმანათლებელი ენის ხალხები არიან; არამედ იქნებოდა თვით უქნელი, უნაყოფო, მოუქმედებელი და სხვის იმედით მცხოვრებელი, სხვის მომლოდინე და, მაშასადამე, პარაზიტი და არა მოქმედი გონებითსა და ნივთიერს წარმატებაში. მაგრამ აქაც უკვდავი კანონი ბუნებისა მღვაობს და ვხერიავთ, რომ ერთხელ დაჩაგრული ენები სლოვენებისა გადაპრჩნენ ნემეცურის ძლიერებასა, ბერძნული—ოსმალურსა, წართული—სპარსულს, არაბულს და ოსმალურს, სომხური—ოსმალურს და სპარსული—არაბულს და თათრულს.

რა საფუძველი უპოვნია ბროშურის ავტორს სწავლა-მეცნიერებაში თავისის აზრის დასკვნისათვის, თვით ბროშურაში კი არ არის მოხსენებული, მაგრამ, ვგონებთ, ავტორი დამყარებია დარვინის ერთს აზრს, მოყვანილს „კაცის წარმოებაში“, რომ „გავრცელებული ენები შორს იფინებიან და სხვა ენებს ჰკვლენო.“ ერთ გავრცელებულ ენად ინგლისური ენაა აღიარებული. მაგრამ ეს ენა ინდოეთში იქაურ ენებს არა ჰკლავს. (ინდოეთის ენები უეპელად ამისათვის ბროშურის ავტორს მომავალში

ძლიერ ენებად ულიარებია, თუმცა ეხლა ამაებს ძლიერს არავინ უწოდებს) საქმე იმაში მდგომარეობს, რომ დარვინს ეს აზრი საზოგადოდ აქვს მოყვანილი. ამისათვის ეს სიკედილი უნდა მივაწეროთ ველურ ამერიკელების ენებს, რომელთაგან ზოგის მრთელი სიტყვები ორმოციოდზე და ასილდზე მეტი რიცხვისა არ არის. და ამასთანავე ენის გაძლიერება შეერთებულია საზოგადოდ თეთრის ტომის ხალხის გაძლიერებასთან ამერიკის და ავსტრალიის ველურ ხალხებში. ძალიან სამწუხაროა, რომ ასე შეუტყობელი დარჩენილა ბროშურაში ეს აზრი და მიზეზი ყოფილა არევ-დარევისა.

დიახ და ძნელი საქმეა აზრების გამოურკვევლობა და არევ-დარევა, აზრების ანარხია. თვით ავტორი გვეთანხმება ამაში. ავტორი სწუხს, რომ პატარა ხალხების ენის საქმე არეულია სხვა-და-სხვა საქმეებთან და ამიტომ გულგრილად და ბეჯითად ვერ გამოკვლეულია. საქმეების არევ-დარევის, ანარხის მიზეზს ჰპოვებს აზრების ანარხიაში და დასამტკიცებლად მოჰყავს ორი აზრი, ერთი რენანისა, რომელიც ერთს შემთხვევაში ძმობასა ჰქადაგებს და მეორე შემთხვევაში თეთრ ტომის ხალხს ბატონობას აძლევს შავსა და ყცითელ კანიან ტომებზე; მეორე ის აზრი ნემეცებისა, რომ ნემეცები უნდა ბატონობდნენ სლოვენის და ლათინის ხალხებზე. სწორედ სამწუხაროა ამისთანა არევ-დარევა აზრებისა და მოქმედებისა. მაგრამ ესაც უნდა ვსთქვათ, რომ აზრი და მოქმედება კაცისა მუდამ შეერთებულია ერთმანეთთან. აზრების გაწმენდა დიალ

პატიოსანი საქმეა, გამოკვლევა საგნისა დიალ სა-
სარგებლოა, მაგრამ ყოველივე მოქმედებაზეა დამ-
ყარებული. პირველად მოქმედების სიწმინდე აიყ-
ვანს კაცს მეცნიერების სიწმინდემდისა და აზრებს დას-
წმენდავს და მერე დაეშვება ხელ-ახლავ ცხოვრების
თანაშემწეო: ისათვის. ბეღნიერნი არიან ისინი, ვინც
ემსახურებიან განწმენდასა და ცხოვრების განათლე-
ბასა. ჩვენი ლოცვა-კურთხევა იმათ, რომელნიც თა-
ვისს შრომას დასდებენ აზრების განწმენდისათვის!
სამწუხარო ეს არის, რომ აზრების განწმენდას ბევ-
რი მუშაკი არა ჰყავს. პირ-იქათ, ხშირად რაც ევ-
რობის ცხოვრებას და სწავლა-განათლებას მოუტა-
ნია ხალხებისათვის, იმ გამოცდილებას და ცოდ-
ნასაც ურვევნ და ჰელართავენ. ეს რევა და დახ-
ლართვა ხალხის ცხოვოების მუშაკთა მიუხვედრო-
ბაზეა დამოკიდებული, რომელთაც ვერ გაუტჩევიათ:
დღეს რა გვეჭირვება და ხვალ რა? რა საგანსაც
მიაწყდებიან, ისა ჰელიათ ცხოვრების საჭიროება
და არა ისა, რასაც თანამედროვეე ცხოვრება ეუბ-
ნება თავისის მიმდინარეობითა და ხალხის საჭირო-
ების მიმართულებითა.

მაგრამ დავშორდით ბროშურის გარჩევასა. ჩვენ მაგდენს არაფერს აღარ ვიტყვით იმ ნაწილზე,
რომელშიაც ავტორი ლაპარაკობს: რა აუგილი
უნდა ეჭიროს სახელმწიფოს წყობაში პატარა ხალ-
ხების ენებს, სანამ სრულებით გაუქმდებიანო? ავტო-
რის აზრით ადგილობრივს ენებს, რაც აღაგი უჭი-
რავთ, იქაც კი არ უნდა მიეცეს არა მარტოობითი,
არამედ სახელმწიფო ენასთან პარალლელათ უფლე-

ბა; სახელმწიფო ენა ადგილობრივს ენებთან უნდა იყოსო თანასწორად ყველგან, უკანასკნელ სახალხო სოფლის სკოლაშიაც. ადგილობრივს ენებს იმიტომ უნდა დაეთმოს აზგილიო, რომ ბუნებითი ენა შეიქმნას ძლიერის ენის მიღების ადვილ ია ჩალათაო. ეს აზრი ეკუთვნის ერთს მსწავლულს, უფალს უ—რს, ფილოლოგიისათვის მშრომელს, რომელსაც სრულებით ეთანხმება ჩვენი ავტორი. *) ბოლოს ამბობს, რომ ამ აზრის ასრულება სხვა და-სხვა გვარ მოხმარებას ითხოვსო, რომელიც წმინდათ სახელმწიფოს პოლიტიკურს ვითარებაზეა დამოკიდებულიო. ყოველს დათმობაში ადგილობრივის ენების სასარგებლოდ ერთი ხელმძღვანელი აზრი ის უნდა იყოსო, რომ რაც დაუთმონ ადგილობრივს ენებს, იმდენად უნდა დაუთმონ, რამდენათაც მცხოვრებლების ნამდვილი გონებითი და ზნეობითი საჭიროება მოითხოვს ამასა და არა მეტიო. ეს დათმობა იმ

*) უფალმა უ-რმა შეადგინა კავკასიის ენების ანბანები, რომელთაც ასოები შესღება რუსულისა, ორიოდ ქართულისა [წ. ჭ.] და ორიოდ ლათინურისაგან [წ. ქ.]. იქნება ათა-თორმეტი წელიწადი ჰსურს იმას, რომ მმართველობამ მთიულთა სკოლებში გაავრცელოს ეს ანბანი. სურვილი იქნება კარგი იყოს, მაგრამ იმისთვის კი არ მიუაყრია ყურადღება, რომ, პირველი, ყველა მაჰმადიან ხალხებში მიღებული აქვთ არაბული ანბანი და ყველგან, საცა ძველაზგანვე საკუთარი ჰქონიათ, მაგ. სპარსეთში, იქაც კი გადავარდნილა და შესულა არაბული; მეორე, მთებში ეხლავე არაბული წერა-კითხვაა გავრცელებული ხალხში და მესამე, ამასთან ფანატიკურათ შეჰედვენ რუსულ-ქართულ-ლათინურ ანბანს, რადგან ქრისტიანებისაა. აბა რა პრაქტიკული აზრია!

ზომისა უნდა იყოს, რომ სახელმწიფოს ვნება და განხრწნა არ მოჰყვესო.

ამ სიცუკვებით თავდება ბროშურა. უკანასკნელი აზრები ისე არეულ-დარეული აზრებია, რომ გაწმენდა ეჭირვება. მმართველობას ცველა ქვეყანაში ბევრი ორგანოები აქვს, რომლითაც თავიდგან იშორებს სახელმწიფოს ვნებასა და გახრწნასა და, მაშასადამე, ენაზედ ამ მხრივ ლაპარაკს საჭიროება არ მოითხოვს. მაგრამ რა ზომით და წონით უნდა განისაზღვროს ენის მდგომარეობა? ავტორი ამბობს, იმ ზომით, რამდენათაც ვნება არ მოაქვს სახელმწიფოსათვის და რამდენათაც მოითხოვს ადგილობრივი ხალხის გონებითი და ზნეობითი ნამდვილი საჭიროებაო. მაც-და-მაინც ეს საჭიროება რით უნდა გაიზომოს, რა უნდა იყოს საზომი? მაგალითად: მმართებლობა ადგილობრივ ენების სწავლებას საჭიროა ჰედავს; გაზეთი „მოსკოვის უწყებები“- კი ამ აზრის წინააღმდეგია და გამოსთქვა, რომ მმართებლობა სახელმწიფო სასწავლებლებში ადგილობრივს ენებს არ უნდა ასწავლიდესო, „დაე, როგორც უნდოდეს, აჰყვავდეს ქართული, სომხური და თათრული ლიტერატურაო“, მმართველობას ხელი არ უნდა ჰქონდესო. ავტორი უფალის უსრის აზრისა არის, რომ ადგილობრივი ენები, როგორც იარაღი, მმართებლობამ უნდა ხელში ჩაიგდოს და მოიხმაროსო. როგორც ვსთქვით, „მოსკოვის უწყებები“ ამ აზრის წინააღმდეგია. არის კიდევ კერძო აზრები, რომ კავკასიის ენებზე სწავლა, წერა, სტამბა უა სხვანი არ არის საჭირო .. რო-

მელი აზრი უნდა მივროთ ამათში? ვინ უნდა გან-
გვისაზღვროს გამორკვევით მიჯნა ენის ხმარებისა?
ნუ თუ ავტორს შეუძლიან ამისი ახსნა?

აი რასა ჰქვიან აზრების არევ-დარევა და ანარ-
ხია! ვისაც ენების როლის განსაზღვრა უნდა, ჯერ
უნდა კარგა დაფიქტდეს აზრების ანარხიაზე, დამო-
კიდებულს ყოფაქცევის ანარხიაზე.

მ. პეტრონე.

— — — — —

ს ა მ ზ ა დ ი ს ი

სკონები ქართულ თეატრის დაფუძნების დროისა

პეტრე უმიკაშვილისა.

სამზადისი

სულიერი ქართულ თეატრის დაფუძნების დროისა.
პეტრე უმიკაშვილისა.

მოქმედნი პირნი:

კნეინა ქეთევან თრბელიანისა
გაბალე ანდრიევსკისა.

კნ. ტასო გაგარინისა (კნიაჟნა თრბელიანისა).
გრიგოლ შანშავი.

თ. რევაზ ერისთავი.

თ. გიორგი ერისთავი.

პლატონ იოსელიანი.

დიმიტრი ყოლანი.

თ. ვახტანგ თრბელიანი.

თ. რაფაელ ერისთავი.

თ. ილია თრბელიანი.

მიხეილ ჭილავევი.

თ. მიხეილ სვიმირის ძე ვარანცუავი.

მსახურნი. მოსაქრავენი, მესტვირე და საზარდარი.

მოქმედება სწარმოებს ტფილისს, თრბელიანთ უბანში,
დეკემბერს 1819 წელს.

პირველად წარმოადგინა ქართულმა დრამატიულმა დასმა
თავად-აზნაურთა თეატრში 1 იანვარს 1818 წელს ტფილისში.

(ზღიდრულად მოწყობილი ზალაა. უკან დიდი შემთხვევლელი კარი. მარჯვნივ და მარცხნივ ოთახის კარები).



გამოსვლა 1.

მსახური (სწორი და აღაეგის). ვაჟ, დედავ, წელი! ინ, დალახვრა ღმერთმა ყმის გამომცემი! ლამე ძილი არ არის და დღე მოსვენება. აქამდინ სტუპერების სიარულმა გამათავა, ახლა ე რალაც კამედიანჩიკობა მოიგონეს, უარესი მაშივიდა... ნეტა, ესმოდეს კაცი მაინც, რას თამაშობენ, რას ლაპარაკობენ?.. თავადიშვილი და კამედიანჩიკი!... ღმერთო, შენ ნუ გამოულევ ჭკუას... მაგრამ ესაც კი უნდა ვთქვაო, ღვთის წინაშე, რა ფიქრი აწუხებთ? შენი ჭირიმე. მოურავისა ეშინიანთ თუ ისაულის დაბარებისა... რა საქმე აქვთ? ან ქალალი უნდა ითამაშონ, ან კამედიანჩიკობა გამართონ. საკვირველი ეს არი, ქალბატონი ქეთევანი ჭკვიანი დედაკაცია, როგორ აჰყოლია, არ მესმის. ნეტა კი ერთი მაჩვენა, რა უნდა იყოს... ძალლების კამედია კი მინახამს, ჰე... ჰე... რა სახით თამაშობენ; დადიან, გახტებიან-გამოხტებიან, თითქო ადამიანები იყვნენ. ძან უსწავლებიათ, არ გაგონილა! სუ კი ფრანცუცების საქმეა, რსტატი ხალხია. იქ, იმათ ქვეყანაში, ძალლებს ასწავლიან თურ-

მე, აქ ახლა აღამიანებიც უნდა ათა-
მაშონ. მერე თავადიშვილები... აპულიან
ესენიც, ბატონი, მიღიან-და-მოღიან, მი-
ღიან-და-მოღიან და ჩვენ კი სულები
ამოგვართვეს... ე... ე... ე! — (მდერის).

ვაი, ვაი ვასაო, ყაფლანიანთ ყმასაო.

აპერდებენ ქვასაო, აძახებენ ვასაო.

ერთი ჯამი შეკამანდიბატონსა და ყმასაო!
(ასმას ზრის რეპა). ჰარიქა, კიდევ გა-
ჩნდნენ.. დიდი ხანია, არ მოთრეულან.
(ტაჭა).

გამოსვლა 2.

რევაზ და ტრიგონი.

რევაზ. აი, რეპეტიცია გაქვთ და სახლის პატრონი კი
არ გვეცებათ. ეს სადაურია?

გრიგოლ. არაფერია.

რევაზ. დოდი ფერია, შენმა მზემ. ეს ის გახლავთ,
რომ ირ მინდიხართო.

გრიგოლ. აბა, ჩემო საყვარელო რევაზ, ეგ რა სა-
ფიქრებელია?

რევაზ. დიახ საფიქრებელია. ძალათ მაცხონეო,
სწორედ ეს გახლავს. სახლში მოუხდებით
ხოლმე ძალის-ძალათ, მოუწვევრათ.

გრიგოლ. შენ ნუ მომიკედები, რევაზ, ავ გუნება-
ზედა ხარ.

რევაზ. თქვენ ხომ კაი გუნებაზედა ხართ და თა-
ვი მოგაქვთ, ქართულს თეატრს ვაფუ-
ძნებოთ.

გრიგოლ. რაზე გაკლია გული, ჩემი კარგო. ყველა ასე მოხარულია, აღტაცებაშია, სიხარულით აღარა ვართ, რომ ძლივს გველისა, ძლივს ბედმა გადმოგვხედა. ძლივს კარი გაგველო... (პაბრტექლებათ) „განგველო კარი ვაზაფხულისა“, ალექსანდრე ჭავჭავაძემ კარგა თქვა.

რევაზ. საკვირველი კარი განგველოთ, როლები რო ჩამოირიგეთ. ახლა რაო? მარტო თუ ვართ, ჩვენა ვართო, რაღა და იანვრის უ მითომ კიდეც წარმოდგენას თამაშობთ.

გრიგოლ. არ მესმის, რათა წყრები, საყვარელო...

რევაზ. აი, იმაზე, აი!.. ჩვენა ვართ და ჩვენაო... დამაცადეთ, ერთი ვნახოთ, რა გამოვიდეს?.. შენ რო სეკლეტრის როლი გაიკარ, ვითომ მე რაღა ნაკლები ვარ, რომ ერთი უხეირო იმერლის როლი ვერ მეთამაშნა... აბა კაცი იქნები და იტყვი, ჩემსავით ითამაშებს ვინმე იმერელსა?

გრიგოლ. აი, მეორედ შენ ითამაშე, გიორგი აპირებს ახლა კამედია დასწეროს. ახლა კი, რაც არის, გათავებულია.. სულ ერთია, ოლონდ კარგა გამოვიდეს, ვინც უნდა იყოს.

რევაზ. ვინც უნდა იყოს, ჰა? მაშ კარგი. ვნახოთ ერთი, როგორ ითამაშებთ. თქვენ ალა, ალა გგონიათ, რაღა. რამდენი მომზადება უნდა! (თავისთვის) ესენი ერთი უნდა შევაფუცხუნო. (გრიგოლს) კაცო, ერთი მისახა, კოტებათ, რომლს ვთანაშოს. როგორ

მივცემ ნებას, რომ სცენაზე მითხრან, „სე-
კლეტარს ოც თუმნათ მაიმუნად ვაქცევო“.
არ გესმის, რა დაცინვაა?

გრიგოლ. ჩემზე ხო არ არის ასე ნათქვამი.

რევაზ. ისეა მაგრამ, მაინც დაცინვაა და არ ვი-
ყაბულებდი. არა, სულ ჩაიშლება.

გრიგოლ. რა თქვა, თქვენი ჭირიმეთ! ჩაიშლებაო!..
ჩვენ აქ გაფაციცებული ვართ, კნეინა ქე-
თევან ამოდენა გარჯაშია და ჩაგეშლე-
ბათო!.. ევ რა სათქმელია? რო იშლებო-
დეს კრდეც. შენ გული უნდა გაგვიკეთო.
რა ჩაიშლება... კნიაზი ვარანცოვი ცოც-
ხალი გვყვანდეს, თორემ ვის რა შეუძ-
ლიან?... მართალია, ცოტა გულში შიში
გვაქვს, ვად, თუ თამაშობა კარგა ვერ მო-
ვახერხოთ და შევრცხვეთო, მაგრამ ჩა-
შლა... რა სათქმელია!?

რევაზი. კარგი, აი ვნახამ. რა, რეპეტიცია გაქვთ?

გვარევლა პ.

იგანავე. გაორცა, დიშიტრი და ბლატონ.

გრიგოლ. მობრძანდით, საყვარელნო!

გიორგი. სხვა არავინ არის?

გრიგოლ. აა, თქვენი რევაზ ერისთავი ბძანდება, ერ-
თი ამბავი აქვს, ერთი ამბავი. როლები
ჩამოგირიგებიათ, მე კი არ მალირსეთო.
ჯავრობს ვერაფერს ვერ მოახერხებთო
ორ იანვრისთვის, ჩაგეშლებათო.

გიორგი. მალიან სცდება.

გრიგოლ. ოა ვიცი, ძალიან კი ცხარობს და (დიშიტრას ცალპე). მართლა კი არაფერი გამოტყველება. ხომ იცი. საყვარელო დიმიტრი, ფათერაჟი არ ასია. ათასია...

დიმიტრი (ლექსილ). ჰაა, ასეა და ჰაა ისეა.
თურმე სოფელი ასეა.

არა გრიგოლ?

გრიგოლ (ედრაჯება). ჰო, სწორედ მაგას ვამბობ.

დიმიტრი. ნუ შეფერხენდა, შე მხდალო, შეგვშინდა. გარა?

გამოსვლა 4.

ავანიგე და ქათაგან.

ქეთევან (კაშადას თოახადას). მშვედრა თქვენს მოსრდანებასა! ოა ამბავია, ბატონებო?

გიორგი. იჩარხება ყველაფერი.

რევაზი. არა მგონა.

პლატონ. კნეინათა კნეინავ, ღილ ამბავში ძრძანდებით, არა ხუმრობთ

ქეთევან. სიხარულის ამბავში. თქვენის თავის მზესა ვუაცავ. პლატონ. მცონია გავიმარჯვოთ, ვცდილობთ.

პლატონ. აი გიახელით, ჩვენო კნეინათა კნეინავ, თუ ნებას მიბოძებთ. მინდა თქვენს რეპეტირიას დავესწრა.

ქეთევან. დიდათ გვააშებ და სასიამოვნოა.

გიორგი. ჩვენის საქმისას ხომ არასა ბძანებთ ახალსა?

რევაზ. ცოტა საწყენი რამ უნდა მოგახსენოთ.

დიმიტრი. ორგორა, ბატონო?

ქეთევან. ოა ამბავია, ბძანეთ.

რევაზი. ბატონიშვილს მარიამს საყვედური სადმე
შემოუთვლია თქვენთვის ბატონის შვილის
თამარის პირით.

პლატონ. ბრძენი მანდილოსანია, მოდებს არ მის-
დევს, ვითარტუა მრავალნი პრიყვნი.

ქეთევან. მადლობას მოგახსენებთ კამპლემენტისა-
თვის.

გიორგი. ოა შემოუთვლია, რევაზ?

რევაზ. რაღა ოა, ეგ ლა გვაკლდა, პამპულობა
შემოილოთო. ხალხი ბარემც გადარიოთო,
თვალით აღარ დამენახოთო.

გიორგი. დალოცვილმა მეტის-მეტი იცის. იმისი
არ იყოს, დღევანდლამდე ქოში არ გაი-
ხადა და შინ სკამი არ შეატაინა.

ქეთევან. თქვენი მტერი, კიდევ იმ დღეს დამაყენებს:
შლაპა რომ დავიხურე, თვენახევარი არ-
მინახულა. ანჩისხატში თვალი არ გაუ-
სწორებია. „ნეტავი, ჩემს თვალებსა, რომ
რაღაცა კოლოფი ჩამოიცვი თავზედათ.
დედი შენის გაიანეს მშვენიერ კავებს არა
ვხედავო!“ წყრებოდა, სტიროდა, მაგრამ
რას ვიზამდი. ბარემ არ მინდოდა, მაგრამ
იმ დროთ პოლიტიკა იყო, შლაპები დაი-
ბურეთო.

დიმიტრი. ოა გაეწყობა, კნეინავ. საქმეს ხომ არ და-
გვიბრკოლებთ.

გიორგი. დავიწყოთ, კნეინავ. ამოდენა შრომა იკი-
სრეთ...

- რევაზ.** ბატონიშვილის წყენა ხუმრობა არ არის. კნეინას ნუ შევაცვენთ, მიზეზი ნუ გახდებით.
- ქეთევან.** რა სათქმელია? ჩვენი განზრახვა ყოვლის უმიზეზოთ უნდა ასრულდეს. რა ვქნათ, დიდ სიხარულს წყენაც არ ასცვება. უნდა ვავუძლოთ.
- გიორგი.** რა მაღლობელი უნდა ვკავნეთ.
- გრიგოლ.** თქვენის მაგალითით ჩვენც გული გვეძლევა, მხნეობა გვემატება.
- რევაზ** (თავისითავი). შეხე, შეხე. აბა თუ წავაბორძიკო.
- ქეთევან.** ეს ყველა იქით იყოს, პატუნებო, მაგრამ რეპეტიციებში რომ დაბრულება გვიჩნდება მოურავის გამო.
- რევაზ.** ბატონო, ბევრი დაბრულება გამოჩნდება კიდევ, რას აგიხირებიათ და თავსიტყივებთ.
- გიორგი.** გაგვირიგეთ, ბატონო, რამე?
- ქეთევან.** არავის ერისთავი რაფიელ არა მეონია გავვიწყრეს როლის ჩამორთმევაზე. გუშინ კნიაზმა ვარანცოვმა მკითხა რეპეტიციების ამბავი. მეც მოვახსენე, ასე და ასე გახლავს ჩვენი გაჭირვება და თქვენ ხელთ არის ჩვენი გამოყვანა მეთქი. თქვენი აღუტანტი ნიკო უნდა დაგვითმოთ მეთქი.
- დიმიტრი.** რა მაღლობელი ვართ.
- გიორგი.** რა ბძანა?
- ქეთევან.** ნებას დავრთავ, მაგრამ კამენდანტი კი ვერ დაესწრება წარმოდგენასაო.

- გიორგი.** მაშ ახლა აღარა გვიჭირს რა (დიმიტრის და გრიგოლის). ჩვენი საქმე იჩარხება (ჩუმა ელაპარაკება.).
- პლატონ.** (ცალპე ქეთევანს). კნეინათა კნეინავ, ჩვენის გაჭირვების ტალკვესი ხარ.
- ჩევაზ.** გიორგი, იცი, რა მოგახსენო!
- გიორგი.** რას ბრძანებ?
- ჩევაზ.** და თქვენც, კნეინავ, გირჩევთ, ამ ხათაბალას თავი დაანციპოთ. იქ ბატონის შვილი დეითა თქვენი წყრება, ბრძენი მანდილოსანია, აქ ახლა არაგვის ერისთავი უნდა შეიოიშვრომოთ. არ გირჩევთ.
- გიორგი.** მაგის ნუ გეფიქრება, რაფაელ თითონვე ჰედავს და როლის გაფუჭებას არ ისურებს.
- პლატონ.** მე მვონი დიახაც იწყენს. ეს ერთი. მაგრამ უმთავრესი და უპირველესი ის გახლავთ. რომ აგილიათ თავი და ამ რუსულ და ფრანგულ სპექტაკლებით გამობძანდებით, ჩვენც ნახირ ნახირაო, დიდი სიბრივეა. რა აქტორები ხართ, რა სკოლა გამოგივლიათ, რა გრძახავთ?
- ჩევაზ.** აი კეშარიტი სიტყვა.
- გიორგი.** ახლა საიდამ გამოვიწეროთ ქართველი აქტორები?
- პლატონ.** აი კოშედიებს გვიწერ და ქართული ენა კი ის იცი.. გამოვიწერ “რომელი ქართულია?
- ქეთევან** (აცანას).

გიორგი. კარგია შენ დღეგრძელობას, რა დროს
ხუმრობაა.

გრიგოლ. მაშ როგორ ითქმის, საყვარელო პლატონ.

პლატონ. ქართულად იტყვიან „და... ვი... ბა... რებ“. — დავიბა... რე წი... გნი პარი... უი... დამ და ვი... რი თავრი... ზილან.

უველანი (იცინაან).

რევაზ. რაც მართალია, მართალია.

ქეთევან. რა არის, ჩემო პლატონ, არ იქნება, თუ დარბაისელთ ყრილობაში სახედარი არ ახსენო.

პლატონ. რა ვქნა, შე დალოცვილო, ქართველობა-ში უვირისთავოთ ქორწილიც კი არ იქ-ნება.

უველანი (იცინაან).

ქეთევან. კიდევ, უი, თქვენი კირიმეთ!

დიმიტრი. თქვი, პლატონ, რას ბძანებდით.

პლატონ. რო შემაწყვეტინეთ! ჰო... იმას მოგახ-სენებთ, რომ რის იმედით გამოიდიხართ ასპარეზზედ? კომედიას თამაშობთ. მე, კნეი-ნავ, თქვენის მაღალ გონიერებისა მიკვირს, ამათ როგორ აჰყოლიხართ.

ქეთევან. კაია, შენს დღეგრძელობასა.

გიორგი. რას ოხუნჯობ. გამოგვიგორეს ბურთი...

დიმიტრი. გადავდგათ ნაბიჯი და ავიტაცოთ.

გიორგი. თორემ:

ვიქნებით შვილთა ჩვენთაგან
გინებით შოსაგონარი.

პლატონ. დიდი თავდადებაა. დიდი მოუფიქრებლობაა... არა ფიქრობთ, რა ღონე გვაქვს... თეატრი დიდი...

რევაზ. საქმეა. ჩაგრძამ საფუძველიც მკეიდრი უნდა. ეკრანიაში ისტორიამ შეამუშავა, საუკუნეებით იხრდებოდა. სახელმწიფო ინახავდა, ახლაც...

პლატონ. მილიონებსა ხარჯავენ... რით ვერ გაიგეთ, რომ ესხედვართ უდაბნოსა მომხრებისასა.

გიორგი. ნუ ვეშინიან, გული იყოს, თორემ ყველა მოვა.

დიმიტრი. არ მოვა და მოვათრევთ.

პლატონ. ვინ შეუწყობს ხელსა, ვინ აღზრდის, ვინ დაამკეიდრებს?

დიმიტრი. ჯერ ჩვენა და მერე ჩვენი შვილები... შენ აქ რისთვის მოხველ, გული უნდა აგვაცრუებინო?

პლატონ. მართალი სიტყვა უნდა ლალადებდეს თვით უდაპნოსა შინაც.

გიორგი. აი, რამდენი ტყუილი შენ გეთქვას! ბერძნული უმარტო ჩვენოვან ხომ პლატონ ფილოსოფოსის სიტყვად მოიტანე, დაგავიწყდა, განა?

ქეთევან. კმარა ხუმრობა.

გიორგი. ნეტა. არ მინდა. მოჰყვე ავყიოპასა.

რევაზ. პლატონმა ამდენი საბუთი წარმოადგინა, რომ სწორეთ სჯობიან თავი დავანებოთ. უკეთესს არას იზამთ.

გიორგი. რამ აგრია, კაცი! თავი დავანებოთ?..

პლატონ. დიახ. გონივრობა იქნება.

გიორგი. დაჩუპდი, კმარა... დღეს თეატრი გვებადება... რატო არ ფიქრობო, მწერლობა ფრთას შეისხავს. გამოჩნდებიან მწერალნი, სასიხარულოთი გაგვახარებენ, სამწუხარო-თი გვატირებენ, დაგვაფიქრებენ, თვალს ა-გვიხელენ, საზოგადოება გაგვეწვრუნება. ამას უარსა ჰყოფ!?

რეგაზ. სრულებით, მტკიცედ უარს ვყოფ, სულ-გო-ნებას აგვირევენ, ის იქნება.

დიმიტრი. ბაჟონო, კუთხე არა გვაქვს, საზოგადოება ვნახოთ, თუ არ ქელებში ან ქორწილ-ში... განა ეს ცხოვრებაა.. თეატრში ერთმანერთს მაინც ვნახავთ. აზრი აზრს მოჰვედება...

პლატონ. ისიც კი იცოდე, მეძავ-კურობის ასპა-რეზი გაგვიჩნდება.

გრიგოლ. თქვენმა მზემ, პლატონ. სრულებით დავ-თრები უნდა დაგვაკარგვინო.

დიმიტრი. აյս აპირებდი, პიესას წინასიტყვაობას დაუ-წერ, როცა დაიბეჭდებაო, ახლა გადარ-ჯულდი? ლვის გულისათვის, ხალხი არ გადავვირიო.

ქეთევან. ხუმრაბს მგონი (წბიერად). მაგრამ ბევრი რამ შართალია. სწორეთ მოფიქრება ვფე-ჭირვება.

გიორგი. თქვენც. კნეინავ. ღმერთმან იცის, არ მეხუმ-რება. გული ყელში მომებჯინა.

რევაზ. ქეშმარიტს ბრძანებს კნეინა. მაღლობა ლმერთს, ჩემი მხარე დაიჭირა.

დიმიტრი. კმარა ხუმრობა.

გიორგი. ხუმრობა ხომ ხუმრობაა, მაგრამ მე რო პლატონის და ორევაზის ავყობა ვიცი, არც გამიკვირდება.

ქეთევან. ჩვენ ვერავინ რას მოგვაშლეინებს, არა ჩემო გიორგი?

გამოსვლა

იგინიგე, ტასო, მარიაშ, ალა, ვახტანგ, აზოვაჟაფ ჯ მახეილ.

ქეთევან. მობძანდით, მშვიდობა თქვენი ნახვა. ვახტანგ, რატო ასე ძვირი სანახავი გახდით.

ვახტანგ. აი, ბატონო, გიახელ და კაი ამბავიც მოგიტანეთ. დღეს კნიაზმა ნიკოს უბძანა, წალი, კნეინა ქეთევანს იახელ, საქმე აქციო; ეცადე, თხოვნა კარგა აუსრულოვო.

რევაზ. (რა ვაჟდეს, როლს გართმევენ, არა გრცხვენიან. არ დაუთმო, თუ ბიჭი ხარ.)

ქეთევან. აი, კარგი ამბავი... ახლა არა გვიჭირს რა, ბატონო, არაგვის ერისთავო!

რაფაელ. რას მიბრძანებ, ჩვენო სარდალო.

ქეთევან. უნდა მოგვიტეოთ.

რაფაელ. არ ვიცი, ბატონო, რა უნდა მქონდეს მოსატევებელი, დიდი ხანია, თეიმურაზ მეფემ თქვენ პაპას ქსნის ერისთაობა ჩამოართვა უა ჩვენ არაგვისა. დავა ალარა გვაქვს რა, ლომისის მაღლმა.

გიორგი. აგრე ერიდე, არაგვის ერისთავო, თორებ
„არაგვის თავთა კლდეთ შიგა
სისხლის წყარონი დიანო“.

ქეთევან. იყომსც მწყალობელი ლომისის წმინდა
გიორგი ორისავ ერისთვის სალოცვი, ნუ
შეგვრისხავ...

რაფაელ. ბრძანება თქვენი, აღსრულება ჩვენი.

ვახტანგ. ისმინეთ, დარბაზის ერნო...

ქეთევან. არაგვის ერისთავს ვერ გაუკადნიერდებით;
ვერ ვაკადრებთ მოურაობასა. სარდლო-
ბას მიშოდებთ და ჩვენ ამა პირობასა ზე-
და გაუჩინეთ ეს მოვალეობა ისევ ჩვენსა
მეგვარტომესა ქსნის ერისთავს ნიკოსა.

რაფაელ. იყოსმცა ნება სარდლისა. მრთელი „გა-
ყრის“ ასპარეზი რაჯი ყაფლანი შვილებმა
და ქსნის ერისთავებმა დაიჭირეს, მოურა-
ვობაც მომირთმევია. არაგვისა და ანანურის
დაკარგვას გაუძელით, ამას ველარ გავუ-
ძლებთ?

რევაზ (რაფაელს). ჰაა, შე ლაჩარო, შეგირცხვა
ვაჟკაცობა!

დიმიტრი. ბრავო, კნიაზ რაფაელ!

ვახტანგ. ბრავისიმო!

გიორგი. გიხარიან განა, თავი დააღწიე.

რაფაელ. გეუბნებოდი, ვერ ხერხდება მეთქი. ახ-
ლა იახუნჯობ კიდეც.

ვახტანგ. მე კი არ წავართმევდი როლს დიმიტრისა,
მაგრამ რას იზამ? კარგა თამაშობს.

ჩევაზ. რა გაეწყობა, ბატონიშვილის შვილმა რთ-
ლი აბაშიძის აზნაურს უნდა დაუთმო.

ვახტანგ. შშვენიერი ჰარმონიული ლექსია (და-
შატრანი).

„ჩვენთა ქალთა უგრძნობართა,
სიყვარულის უმეტართა
ტრუბისათვის არ აქვთ გული

II Т. Д.

ჩვენი ყრმანიც. გულგრილები,
თითქო იყვნენ ანგლიჩნები.

და მერე:

ლანწენეტის თამაშობით,
ვვონებ, სულ გაკოტრდებან!“
კარგათა აქვს დახასიათებული ჩვენი ყმა-
წვილები.

დიმიტრი. ეს ოფერლა მოგწონს? „Какая поэзия,
быть добрымъ, хоть и бѣдныиъ, по-
мѣщикиомъ да глоппугеиѣ შენი ყმანი...
ჩვენს ცხოვრებაში ოფერლის დისსონა-
ნით ისმის ეს სიტყვები, ოდესაც ხალხი
მღერის: „ვაი, ვაი, ვასაო, ყაფლანიანთ
ყმასაო.“”

ვახტანგ. Переворотъ, переворотъ! ვეუბნები,
რამდენი აზრი შემთაქვს ამ პატარა კო-
მედიას.

დიმიტრი (ქეთევანს). არ დაივიწყოთ, კნეინავ!

ქეთევან. ოფერლც გენებოსთ. ბაბალე ოთ გვა-
კლია.

გიორგი. მართლა... აბა, უმაյრინოთ ოოგორ დავრა-
წყოთ, მაგრამ სანამ ბაბალე მობძანზებოდ-
დეს, ნაწილ-ნაწილად სკენება გავშინჯოთ.

ქეთევან. საუცხოვო იქნება, მერე მთელი პიესა
სრულად ვითამაშით.

დიმიტრი. ძალიან კარგი იქნება.

პლატონ. კნეინათა კნეინავ, თქვენ რომ აქ ავან-
ჩივანი არ ბრძანებულიყავით, რიგის მიცემა
გიორგის გაუჭირდებოდა.

გიორგი. აბა კნეინავ (ქეთევანს), დაბძანდით! კნი-
აუნა ტასო, აქეთ მოუჯექით. ახლა სინი.
(აქეთ-იქით იხედება, ბლატონს დავთარს წა-
რიაშვის და ქეთევანს აძლევს) აი, პლატო-
ნის დავთარიც ლობიოს სინათ გამოდგეს.

ქეთევან (თაველას რთდშა). „ყაირათი ქენ, შეილო,
დღეს არა ხვალ ტანტიკინი გახდები“.

გიორგი. კიდევ შეგცდათ: „ტანტიკინმა“.

ქეთევან. უი, ჩემ ყოფას. დალახვრა ღმერთმა, ეს
ენა ვერ გადავაჩვე!.. ვიორგი, სომხები
შემჭამენ, ვეღარ დავენახვები... „დღეს არა
ხვალ, ტანტიკინმა გახდები; ვინც რომ
შენ წაგიყვანს“...

გიორგი. „წაგიღებს“.

რევაზ. არ გაგონილა, მამა არ წამიწყდება. ხი-
ბრეული ლაპარაკია.

ქეთევან. ოჯ გიორგი, შენგანა მჭირდეს... „ვინც
რომ შენ წაგიღოს, უთხრას, თუ ოჯახის
ქალი ყოფილა იმან“. მამიჩემის მზესა ვფი-



ტავ, გიორგი. მეტის-მეტია. ეს „იმან“ რა
უბედურებაა.

რევაზ. უნდა შესწორდეს.

ქეთევან. „შენზედ ყმაწვილი ვიყავ, ის ცხონებუ-
ლი ქალბატონუამ რამდენი რამეები, ყა-
რათი მასწავლა“.

გიორგი. საუცხოვოა, მაგრამ პატარა ხმა შეუც-
ვალეა. კნეინ-ურად ნუ ბძანებთ. სომხის
ქალივით მოუქციეთ, აი. როგორც ამ
დღეს.

ქეთევან. აგრე იყოს. ჩემო ხელმწიფევ.

გიორგი (შიკირტუქას არღვება). „თათელი, თათელი“!

ქეთევან. „პა-მე“!

გიორგი. „ვახშმათ რა გიქნია?“

ქეთევან. იიი... გიორგი, ეგ სიტყვა კი, შენს გზეს
ვფიცავ, არ შეგვფერის. დარბაისელოთ სა-
ზოგადოება რას იტყვის?

პლატონ. აი, მეც მაგას მოვახსენებ.

რევაზ. მეც სწორედ მაგას ვამბობ.

გიორგი. მოჰყვა... რა ვქნა, თუ კი ასე ლაპარა-
კობენ ჩვენი სომხები.

რევაზ. უნდა შესცეალო, რასა პგავს?

გიორგი. არ შევცვლი!

ქეთევან. რა გაეწყობა, რაც დაგიწერია, აგრე დარ-
ჩეს... „ალაჯან, შენ ძალიან დახარებული
ხარ!“

გიორგი. „კარგი რამეს გახარებ, შუშანი გაგი-
თხოვე“.

ქეთევან. „უჩემოდ იმან ვის მიე, ქალს კაი ფიქრი

- უნდა, ახარ“... უი, ეს „ახარ“, ქალი რო
არ იტყვის!
- რევაზ. თუ თქვენ ხალხი არ გადარიეთ, აი ნა-
ხავთ.
- გიორგი. კმარა.
- ქეთევან. ერთი რამ უნდა შევასწოროთ კიდევა:
„ბუღდანოვიანთ ხამფერას შურობით თვა-
ლი დავარდება“. დავარდება რომელია.
მოდით, ასე ვთქვათ: თვალი დაუდგება.
თორემ „დავარდება“, არა, პლატონ?
- რევაზ. „დავარდება“ საზაურია.
- პლატონ. დავარდება ვირო.
- გიორგი (პლატონს). საკვირველია, რა ტრფიალი
ხარ დიდყურაანთ შვილისა. (ქეთევანს)
არა, კნეინა, დარჩეს. (შინუილს) აბა, მი-
ხეილ, გამობძანდი... აი, ხათაბალა მენა
მყევხარ.
- მიხეილ (გაბრიელის როლში). „ჭუ. რა სკუჩნობაა ამ
სოპელში!“
- გიორგი. აი, აკი ვთქვი. პირველი ფრაზა და უხერ-
რობა. „სოპელში“ რა არის? სოფელში...
ფ... ფ... ფ... გამოსთქვი, კაცო.
- მიხეილ. ჭუ, რა სკუჩნობაა ამ სოფელში!
- გიორგი. მსუბუქათა სთქვი, რა ლვთის წყროშაა.
დუშელი კაცი ქართულს სად გადაეჩვიე?
რა გამოთქმაა, თითქოს რუმბს ბერავდე.
რევაზ. არაფერია, ძალიან კარგა ამბობს. გაჩარ-
ხულია, გაჩარხული. აი, სულ ამისთანა გა-
ჩარხულებს უნახავთ 2 იანვარს.

დიმიტრი. გასწორდება, გასწორდება.

Миხеел. Э́то здёна, где мы живём на севере. Поэтому мы забыли русский язык и говорим на финском языке. Просто, чтобы промучить меня за незнание груз. языка.

Любимъ. Такъ слѣдуетъ Васъ. Хорошенько
его, хорошенько, зомъго.

ମିଶ୍ରଙ୍କ. ନେଟ୍ରାଯି, ପାଲାବିଶି ମାନ୍ଦିଳୀ ପିଲାଗୁଡ଼ିଃ

რევაზ. იქ, აფერუმ! ხა... ხა... ხა!.. მთელი მა-
ყურებელი ხალხი აღტაცებაში მოვა! ხა...
ხა... ხა!..

፩፭፻፷፯ (፳፭፻፷፯) .

Зомбоз. Ну, чёртъ тебя возьми!

Зоё гош. А что? разве что не такъ?

зомбю. Какой тамъ зомбю?

Мибэйл Ну... ну... не сердись, постараюсь, постараюсь.. ڏاڻڻڙڻ. (ڙڻڻڻ ڙڻڻڻ ڙڻڻڻ). Постараюсь.

Зомбяк: Ну, смотри-же.

რევაზ (პლატონის). ბატონო პლატონ, ამ გიორ-
გიმ საქვეყნოთ თავი თუ არ მოგვერა, ნა-
ხამ. ამოდენა ხალხსაც შეარცხვენს და
თავსაც შეირცხვენს. სულ თითოთ საჩვე-
ნებელი გახდებიან. კაცი (გიორგის), თვა-
ლები რაზე აგბმია, ავტორი ვარო, აღარა
გეყურება რა

გიორგი. მოგვლამ, ეგრე მოგვლამ, როდს აń მო-
გცემ და შენი გაჯავრებული კი ვითა-
მაშებთ (ილიას). აბა, ილია.

- ილია** (დაჯდება მუხლ-მოდრეებიდან სკაშზე და სხვა-
სხეულით აშბობს ოფლას). „აი, ოჯახის და-
ლუპვა, გვარის დამცირება; გაზარდეთ ყმა-
წვილები რუსეთში; კარგს რასმე სწავ-
ლობენ. აღარც ძმის სიყვარული, აღარც
ნათესავისა, აღარც დედ-მამისა“...
- გიორგი.** ჰა!... ტა... ტა... ტა... ტა... დადეგ, რა
დაგემართა, თითქოს ლეკის ჯარს ერე-
კებოდე... დალისტანში ხომ არა ხარ, კაცი!
ილია. მაშ, ვითამაშო?
- გიორგი.** ითამაშე. მაშ, კაცი, უაზრობა გამოვა...
ისე სოქვი, რომ მაყურებელს ტვინში ჩაე-
ბეჭდოს რამე... მართლა. საწყალმა ტატობ
რამ დასწერა შენზე: „გასწი, გაკურცხლე
და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი
დღენიო“, განა ამისთვისა სოქვა.
- ვახტანგ** (დაქანა: მაცათ).
- თუ აქამომდე არ ემონა მას,
ნურც აწ ემინოს შენი მხედარი.
ეს, გიორგი, შენ უნდა გითხრათ რევაზის
გამოჯავრებით... ახ, სად არის, რატო არ
მოესწრო ჩვენ სიხარულს.
- გიორგი** (აშათხერით). რა დავკარგეთ, რა! (იღიას).
თუ ღმერთი გწამს, ყოველ სიტყვას და
მოძრაობას შესაფერი ძალა მიეცი, თო-
რემ დაგვლუპავ. ნუ დაივიწყებ, რომ
ქართულ სკენაზე პირველად შენ იწყებ
ლაპარაკს. პირველი სიტყვა და გამოსვლა-
შენია. პირველი შთაბეჭდილება ძლიერი

იქნება. სახის მეტყველება, მიხვრა-მოხვრა, მოძრაობა, ხელის გაქნევა, სიტყვის ამაღ-ლება და დადაბლება, შედგომა და ზედ მიყოლება. სულ ისე უნდა მოახერხო, თითქოს ნამდვილი, ცხოვრებაში მომქმედი იყო. არ დამღუპო კაცი, თორემ შენც წახდი და ჩვენც წაგვახდინე.

ოლია. მაშ კარგი, შენ ხომ შენი სთქვი, აბა, მი-ყურე (ჯდება და ოთლის შესაფერად ა-ბობს). «აი ოჯახის დაღუპვა, გვარის დამ-ცირება! გაზარდეთ ყმაწვილები რუსეთ-ში; კარგს რასმე სწავლობენ».

დიმიტრი. Bravo! Bravo!

გიორგი. აი, აგრე, ეხლა მესმის...

რევაზ. აბა, შენ არ მოუკვდე ჩემ თავს, თქვენ ვერ მოახერხოთ ორ იანვარს თამაშობა. იღუპებით და არ გესმით.

გიორგი. კმარა, კიდევ!

რევაზ. რა მენაღვლება, როგორც გინდათ, იმას-ხარეთ. მე ესენი მეცოდებიან, ქალაქში თავს ვეღარ გამოჰყოფენ, თორემ, ჩემთ ძმაო, ჩვენ: შენცა და მეც აძისში არავინ შეგვაწუხებს.

უველანი (იცინიან). ნუ გეშინიან.

რევაზ (თავისთვის). გაკერპებულან, სხვა ოინი უნდა მოვახერხო. (დათიქრდება) მაცა, მა-ცა, ძალიან კარგი იქნება, ახლავე წავი-დე, სულ ასე ავრიო, დავთრები დავუკარ-გო (შიდის).

პლატონ (ჩუმავი, რევაზის). სად მიხვალ?

რევაზ (ჩუმავი). უნდა წავიდე, მთელ ქალაქს შევატყობინო ამათი ამბავი!

პლატონ. ღმერთი არ გაგიწყრეს.

რევაზ. გეხუმრები. მალე მოვალ (გადის შეუძლებელ).

გამოსვლა 6.

იგინივე ურუვაზოთ.

გიორგი. აბა, ახლა დიმიტრი... მარტო ლექსი სთქვი:
იმ დღეს კარგა ვერ წაიკითხე.

დიმიტრი (ბახა ხშათ).

ჩვენთა ქალთა, უგრძნობართა,
სიყვარულის უმეცართა.

ქეთევან. პატარა ხმა რომ შეიცვალოთ, ვგონებ,
სჯობდეს, არა გიორგი?

გიორგი. დიახაც. (დიმიტრის) რა არის, ბუყბუყებ.
წმინდათ გამოსთქვი, კბილებს დააძგერე
ბგერა.

დიმიტრი. რა ვქნა, მეტყველების ორგანი ასეთი
გვაქვს გვარში. დალოცვილნი თავაღნი
ერისთავნი აზნაური შვილს ქალს არ მისცემ-
დნენ, რომ ერისთვიანთ მშვენიერი გა-
მოთქმა გამომყოლოდა.

გიორგი. ჰა, კიდევ ლ'ეგალიტე... ჰა... ქმარა, ახ-
ლა, ბაბალე, მაკრინეს როლი (ეძებს). არ
იქნა, ვერ გაჩნდა.

ქეთევან. საკირველია, რათ დაიგვიანა.

ხმები. რა იქნა, რა იქნა?

ପାଥରେବଳୀ ୮.



ატინიუე, რევზზ, შესტვირე და შერე სხვა მოსაპაკავენა.
რევაზ. აი, მესტვირე მომყავს, ქართულ თეატრში
გამოდგება.

ხმები. მესტვირე, მესტვირე!

გიორგი. რა დროსია, რა დროსია!

ხმები. კარგია, კარგი.

ვახტანგ. იყოს.

რევაზ. ხომ გიამათ? გიამათ, განა? (თავისითვის).
რევეტიცია კი არა, მგონი, თავიც დავა-
ვიწყებინო, მთელ საღამოს მოუნდებიან.

მესტვირე. ბატონებსა გამარჯვება.

მესტვირე გიახელია,
კარზე გადაგდევარ საწყალი,
აქ დამიქნიოს ხელია.

(ნდატონზე აჩვენებს).

ამ ბატონს ქებას შევასხამ
მიბრძანეთ, რა სახელია?

დიმიტრი. პლატონ.

მესტვირე. გწყალობდეთ მაღალი ღმერთი,
უფალი ზეცუერია,
პლატონ ღიღ-კაცი ბრძანდებით.
ამირანს გიგავთ წელია;
მაღალი და გონიერი,
მხარ-პეტი განიერია.

ვახტანგ. ყოჩალ, კარგა ამჟობს.

მესტვირე. სახე ბრძენი, შებლი პრტყელი,
გური უჩანს ძლიერია:
ქალებისა მტერი რის,
უყვარს მღვდელი და ბერია;

იბლვირება, მაინც მამუეშს,
ფულები ჯიბეს ბევრია.

პლატონ. მაგ იმედით იყავი.

მესტვირე. თუ კი პლატონ გამიწყრება,
ეს (დაშიცრაჲუ აჩვენები) ყმაწვილი
დამიტკებება.

სახელი თქვენი მიბრძანეთ,
დღეგრძელობა დაგიტკებება.

ვახტანგ დიმიტრი.

დიმიტრი (იცინია).

მესტვირე. სახელიც ლამაზი გქვიან,
ეგ სიცილი გიმშვენდება:
შენ რომ ქვეყნად დაიბადე,
მზე და მოვარე გეფინება;
საცა წახვალ და წამოხვალ,
ია-ვარდი გაგეშლება:
შენსა მნახველს გულის ჭირი
გადუვა და გადეყრება,
შენ იცი, რასაც მაჩუქებ,
იმედი არ მამეშლება.

დიმიტრი (ფულს ჩაუგდებს სტვირში).

მესტვირე ახლა ამ ბატონს რა ჰქვიან...

ილია. გიორგი ერისთავი ბრძანდება.

მესტვირე. გიორგი ერისთავია,
დიდი თავადი ბრძანდება,
ყმისა და ერის თავია;
წარბი შეიკრა, მგონია,
იფიქრა რაღაც ავია;
ნუ გამიწყრები, ბატონო,

მოგიკვდეს ჩემი თავია:
შენ რომ გამიწყრე, რალა ვქნა,
დღე დამიღვება შავია.
ქართლის ბატონი ბძანდები,
ბევრი გაქვს ლვინო-პურია,
გასპინძლობ ყველას, ვინც მოვა,
ქრისტიანი და ურია;
აქაც კი შემოგხვევიან,
აღათი თქვენებურია;
მეც მამათრიეს, რა ვიცი,
ვინ არის, საღაურია.

- გიორგი.** (უკუძის უცდების ს(ჯ)არშა). აპა, გამეცა.
ვახტანგ. სულ ჭამა და გროშების თხოვნა გახდა
სამღერი.
გიორგი. ვითომ ნამდვილი სურათი არ არის? მუ-
დამ დღე კარ-და-კარ არა ვგლახაობთ,
გროშებს არ ვეძებთ.
ქეთევან. ლექსებიც წაახლინეს. საფლა არიან ბლა-
აძე, ქებაძე. აი, მესტვირობა იმათ დაე-
კვეხნათ.
მესტვირე. ის ძველი მესტვირეები ძველ ბატონებს
გაჰყვნენ, თქვენი ჭირიმე!
ვახტანგ. წავიღნენ, წავიღნენ.
გიორგი. დრო მადის, დრო, საქმეს შევუდგეთ.
(ისმის საღამერის ხმა). კიდევ.
მესალამურე. (უკრავს „მივულ წალკოტს სანუგეშოდის“
ხშას).
ვახტანგ. იჭ, რა კარგია.
გიორგი. რაო, რა ამბავია?

მესალამურე. კნიაზები თამაშობენ, სალამური მო-
უნდებათო, მთელი დასტა ოქვენი ჭირი-
სანაცვლო იყოს.

გიორგი. მიუქარავთ.

დიმიტრი. ნუ უშელი, კარგი ნიშანია.

მესანთურეები (ერთს უჭირავს, მეორე უკრავს).

ხმები. სანთური. სანთური.

ვახტანგ. კნეინა, ლხინია, რა ამბავია, გაიხარე!

მედუდუკეები (შემოდის დაგვრით, აუგავს ექვებინ).
კნიაზები ადლეგრძელოს ღმერთმა! კამე-
დიას თამაშობენო, გამოგვეგზავნეს, საზან-
დრებიც მაცლენ.

ხმები. საზანდრები, საზანდრები!

გიორგი. ღმულობანი, ველარ მოვითმენ.

(შემოდის სათარა სეზანდარი დაშქაშებით).

მიხეილ. უტე, ბრაგეცე, ცერენადა.

გიორგი (მაჟპებუბა). ოჲ, სათარ აღა, ხოშ გელდი!
აი, კარგა მოხვედი, შენც უნდა წაგიყვა-
ნოთ თეატრში.

სათარა. ეს კნიაზი (რეკაზეზე აჩვენებს) მითხრა, მა-
დი, დიდი ქერჭი გააკეთე.

ხმები. აფერუბ, რევაზ!

ვახტანგ. აფერუმ, აფერუმ! გაგვამხიარულე. აბა, სა-
თარ აღა, ერთი „სულო ბოროტო“.

გიორგი. ახლა შენი მტერი. (რეკაზეს). მამა არ წა-
მიწყდება, რევაზ, შენ თუ არ შემო-
მაკვდი.

რევაზ. მადლობის მაგიერია. შენ პატივში ვარ და
მაყვედრი კიდეც.

სათარა (ჯდება დამქაშებით. მდერის და უკვრენ). .

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად
წინამძღვრად,

ჩემის გულისა და სიცოცხლის შენ
აღმაშფოთრად?!?

შეზურნეები (უპრაგენ, გარეთ პულასებში).

გიორგი. დავილუბე, თქვენი ჭირიმეთ, რევაზ.

ყველანი (წამოწვევაზან და გადიან შეზურნეებისკენ, გარდა
სათარასი და ამის დამქაშებისა).

გიორგი. უკაცრავად, სათარ-ალა, გაგაწყვეტინეს.
უოტა მოითმინე (გადას).

სათარა. მეც შენთან, კნიაზ! კარგი თამაშა. (გა-
სდებეს დამქაშებით, პულასებში ლეპურს უპრა-
ვენ შეზურნეება).

რევაზ. ჯან, რევაზ, ყაჩალ, ამოვიყარე ჯავრი
თუ არა. სულ დავთრები დაკარგეს. რის
რეპეტიცია.

გამოცვლა 8.

იგინივე და ბაბალე.

ბაბალე (შემოლის გაკვირვებული). ეს რა ამბავია?
ქუჩა ბრბო ხალხით ავსებულა. ზურნა?
რა შემოსაყვანია სახლში. ბარემ მთელი
ქალაქი თავს შემოგვესხას, ეს გიორგის
საქმეა (მიღის გასასვლელად შეზურნეები-
საგენ).

რევაზ (გადუდგება წინ). არ მიბძანდეთ. ასეთები
არიან....

- ፳፻.
- ბაბალე.** ნასეამები თუ არიან, ვუი, სირცხვილო, ვუი, ჩემ გაგონებასა!
- რევაზ.** რა მოგახსენოთ, იქნება არც უიმისო იყვნენ, ძალიან გაერთნენ.
- ბაბალე.** თავტეხით გამოვეარდი რეპეტიციაზე, ქვეყნის საქმეები მქონდა, სტუმრებს თავი დავანებე და კაქ კი რა ამბავია თურმე. ისევ უკან წავალ.
- რევაზ.** თქვენი ნებაა, მავრამ რათ წყრებით.
- ბაბალე.** რათ ვწყრები!.. განა, ასე შეიძლება რეპეტიცია?
- რევაზ.** მოგახსენოთ. პატარა ხანს თქვენ მეორე ოთახში მოითმინეთ, დამშვიდდებიან, ქეთევანიც მობძანდება... აი, იქით მიბძანდით.
- ბაბალე.** ზურნა, აბა რა დროს ზურნაა, თქვე დალოცვილებო! (ჭავა).
- რევაზ.** აი, ერთი ციებ-ცხელებაც გიორგის.
- გიორგი** (ჭამდას). რევაზ, ეს რა ამბავი გადავვკიდე, შე ულმერთო, ხომ სულ ჟამაკარგვინე დრო, რა ეშმაკმა მოგიყვანა, შე... შე!.. არ გესვინიდისება, ამოდენა ხალხი გადარიე!..
- რევაზ.** არ მოგეწონა, გარეუდი. ბიჭები და პანლური მაგათ. მე მინდოდა მესიამოვნებინა.
- გიორგი.** აი, აგრემც კარგი მოგივიდა... ახ, ნეტა ეს ბაბალე მაინც მალე მოსულიყო.
- რევაზ.** ვინა?
- გიორგი.** ბაბალე-მეთქი.

- რევაზ. ჰო... ო... ო... აქ ვნახე, რო მოვდიოდი.
- გიორგი. აქა?
- რევაზ. ჰო... აქ... გზაზე... შინ მიეშურებოდა, მიაქანებდა კალასკას, რალაც უბედურება უნდა მომხდარიყოს, ვიღასაც შინ ფეხი მოსტეხიაო.
- გიორგი. ფეხიო? ვად, შენს გიორგის, ხომ ალარ ითამაშებს.
- რევაზ. ახლა რა გეშველება?
- გიორგი. დავილუპე, ლავილუპე! მერე რა რიგათ თამაშობს, რო იცოდე... ცეცხლი მეკი-დება! რა ლმერთი გაუწყრათ. (გასძახას). ყმაწვილებო აქეთ.
- უფელანი (გამოდიან და გიორგის). რა არის, რა ამ-ბავია.
- გიორგი. ვიღუპებით, ბაბალესას ვაღასაც ფეხი მო-სტეხია. ..
- ხმები. ფეხი მოსტეხია?
- ქეთევან. ვუი, ჩემს გაგონებასა!
- დიმიტრი. ეხლავე უნდა შევიტყოთ.
- შედუდუკე (რევაზს ჩუმათ). არ გვისტუმრებთ.
- მეზურნე. კნიაზებო, ცული დრო დაგვიდგა, გაჭირ-და საქმე. ჩვენ საკრავს პატივი ალარა აქვს. ეხლა თქვენი იმედი გვაქვს, კამედიებმა იქნება გვიშველოს.
- გიორგი (გახტანგს). ესენიც ჩვენ შემოგვჩავიან.
- ვახტანგ. ლმერთი მოწყალეა (ფულს აძლევს და სხვებაც).
- რევაზ. აბა, ერთათ ყველამ.

გიორგი. კმარა, თუ ღმერთი გწამთ, კმარა.

რევაზ. შენც არ მომიკვდე. დაუკარით. აბა, მე
სტვირეს აჰყევით. აბა, „მე ვარ და ჩემი
ნაბადი“.

მესტვირე (ამბობს, უკრავს სტვირს და უველა მესაკა
ვენი საკრავს აუთლებენ.)

მე ვარ და ჩემი ნაბადი
გამთენებელი ლამისა,
მოვკვდები, ჯავრი ჩამყვება
სამი ლამაზი ქალისა.
ერთია მეტათ ლამაზი,
მეორე ლერწამ-ტანისა,
მესამე ასეთი არის,
დამყენებელი თვალისა.

ხმები. აფერუმ, აფერუმ! (ფულს აძლევენ).

მოსაკრავენი. გმადლობთ (გავლენ).

პლატონ. დრამა ხომ დავაფუძნეთ, ახლა ოპერას
ვმარტავთ.

ვახტანგ. ორკესტრია, ნამდვილი ორკესტრი.

გიორგი. ძლივს არ გათავდა... (ქეთევანს) რა ვქნათ,
კნეინავ? მე წავალ, შევიტყობ, რა ამბავია.
არავინ გაუშვათ, კნეინავ.

ქეთევან. ნუ შიშობ.

დიმიტრი. მოიცა, ვიფიქროთ.

გიორგი. აბა ვიფიქროთ, მაგრამ რა ვიფიქროთ?
შევცვალოთ როლის მოთამაშე, როდისლა
მოვასწრობთ... ორი იანვარი გვეშლება,
ოჭ, სირცხვილო!

რევაზ. სრულებითაც არაფერია, რა სირცხვილო,
უკეთესად მოემზადებით.

დიმიტრი. ჩას ლაპარაკობ.

ქეთევან. ბატონო, უეჭველად ორ იანვარს უნდა მოხდეს. თავი ცოცხალი ნუშვინდა. კნიაზის, მთავარმართებლის სურვილია, ორ იანვარს ასი წელიწადი სრულდება რუსული თეატრის დაფუძნებათ და დღესასწაული უნდა გადავიხადოთ.

რევაზ. ეჭ, თქვე დალოცვილო, ასე გვონიათ, გულის პირის გამოქრა იყოს. თუ კი ვერ მოახერხებთ.

გიორგი (დამიტრის). ვის მივსცეთ როლი, აბა, ვინ ითამაშებს ისე. აი უბედურება.

დიმიტრი. ვერავინ.

გამოსვლა ۹.

აგინძვე და ბაბალე.

ბაბალე (გამოდის თთახიდან).

ხმები. ბაბალე, ბაბალე!

ბაბალე. ეს რა ამბავია, ზურნა, კნეინავ (ქითუგანის შესალმება)!

რევაზ. ლხინია, ლხინი!

გიორგი. ეს რა შევიტყეთ, ღმერთ გეფიცებით, ისე შევშფოთდით, არ ვიცოდით, რა გვექნა. გვიბძანეთ. რა იყო, რა მოხდა?

ბაბალე. ბატონო, არ ვიცი ეს როგორი საქმეა, რამდენი საქმეები მქონდა, ვეშურები და აქ მეზურნეები შეგიყრიათ.

გრიგოლ. ასე შევსწუხდით, ასე შევსწუხდით.

გიორგი. შეწუხება ხომ შეწუხება იყო, ახლა რე-

- პეტიცია ჩაგვეშალა... ფეხი ვინჭიტკინა? როგორა აქვს!
- ბაბალე.** რა ფეხი? არ მესმის, რას ამბობთ? უბე-
დურება ხომ არავის მოჰქვლია, თუ ღმერ-
თი გწამთ, ნუ დამიმალავთ.
- გიორგი.** რა იქნა რევაზ? (ექვის და შოაუგანის) შენ
რა სთქვი, ფეხი იტკინა, მოიტეხაო.
- რევაზ.** ვერ გეტყვით.
- ბაბალე.** ლვითის გულისათვის, სთქვი, დამანებეთ შინ
წავიდე ჩემ თავს რაღაც უბედურებაა,
სწორებს არ მეუბნებით.
- რევაზ.** შაბაშ! მე ვთქვი, ესენი შევაფუცხუნე.
- ბაბალე.** არა, მიმალამთ. ლვითის გულისათვის, მი-
თხარით.
- რევაზ.** ღმერთ გეფიცებით, ვიხუმრე, მოვიგონე,
ბაბალე ვეღარ ითამაშებს მეთქი.
- ხმები.** კიდევ, რევაზ, კიდევ.
- გიორგი.** კიდევ იცრუა.
- რევაზ.** ამოვიყარე ჯავრი, თუ არა. ახლაც არ
მამცემთ როლსა.
- ქეთევან.** მივცეთ იმერლის როლი, გიორგი.
- გიორგი.** მოველავ და არ მივცემ.
- დიმიტრი.** აბა, შევუდგეთ, დროს ნულარ დავკარგავთ,
დავიწყოთ.
- გიორგი.** მაკრინე, აბა, ბატონო, შაბალე და გრიგოლ.
- ბაბალე** (როდები). «მობძანჯით, კნიაზო, რა ამბავია,
ასე დაგვიკიწყეთ».
- გრიგოლ** (როდები). «მრავალთა საქმეთა გამო არა
მქონდა დროება. სხვა გვარ, კნეინავ, რო-
გორ არის გარემოება თქვენის საქმისა».
- ბაბალე.** „როგორ არის? ნულარას მიბძანებთ.
უკვენი ძმა, როგორც მოგეხსენებათ, დაუ-
დევნელი არის... არა იცის რა. ივანე

- სულილობს გაყრას, მაგრავ ჩე თქვენზედა
მაქვს ფიქრი“.
- გიორგი.** კარვია... შემდეგ ის ადგილი. „აი უბე-
დურება“.
- მსახური.** (ჩემსა ქეთევას). კნეინავ, მობძანით, თქვე-
ნა გოხოვენ.
- ქეთევან** (ჩემსა). ვინ არის?
- მსახური.** (ჩემსა). ბძანება მაქვს, არ ლაშალოს. მა-
მაშობა, ვერ მოგახსენებთ, ვინც არის.
- ქეთევან** (თავისივის). ვინ იქნება? (გადას).
- ბაბალე.** „აი უბედურება ოჯახისა, ოჯახი მეღუბება“
| და დროს შეუძნებელ ქეთევას მოუძღვის გა-
რანცვალ და შედგებას გარებოთან. ვერავა
| წერდავს!“.
- ბაბალე.** „შიმშილით ვიხოუებით ტიტვლები, გასა-
თხოვარი ქალი ჰინ გვიზის, აგრ თცის
წლისა შესრულდება და მიბერდება... სა
უბედურებაა, ძალები და ძალები...“
- ხმები.** ბრავო! ბრავო!
- ვორონცოვი.** Прелесть...
- უველანი** (შემრთებას და წამოუდიებას).
- ვორონცოვი.** Восхитительна... будетъ памятенъ
день первого представлениѧ.
- ლიზიტრი.** Будетъ благословенна память мецена-
та въ нашихъ сердцахъ!
- პლატონ.** И на скрижалихъ исторіи древнѣй-
шаго народа Іверіїскаго.
- ყოველი სურათები.

(სხვ და სხვ ნოტი ვარანცოვს მაღლობის და მთ-
წარების უცხადებენ. ვარანცოვი უურადვის და დმ-
იდერებას კამოჭხატავს).



ს ა რ ჩ ე ვ ი

პეტრე უმიგაშვილი. ფ. გოგიჩაიშვილის	3
ქრებლეს გლოვა	26
სოლოდას ლექსი	27
ლევან ბატონიშვილზე	28
ლათუნას ლექსი	29
ეთერიანი	30
ერებლე	39
ხარი	40
მონადარე	41
ნანა	41
აფორიზმები	42
შცირე ტომთა ქნებზე. მ. ნეტრიძე	46
საშზადისი	82

(52)